

# სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

(2025 წელი)

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დასახელება: **ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი**  
სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელი: **ისტ. დოქტორი როინ მაღაყმაძე**  
სამეცნიერო კვლევითი ერთეულის განყოფილებები:

- **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება**
- **ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება**
- **ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება**

სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო შემადგენლობა (სტრუქტურებისა და თანამდებობების მიხედვით):

- **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება:**

**თამილა ლომთათიძე** (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)

**ჯემალ ვარშალომიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**ნაილა ჩელებაძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**რუსლან ბარამიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი)

**ჯემალ მიქელაძე** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი)

**ანა ზაგრატიონი** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მაგისტრი)

- **ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:**

**ოლეგ ჯიბაშვილი** (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

**ოთარ თურმანიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)

**ნინო ინაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**მაია ჭიჭილეიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი)

**ირინე ვარშალომიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**ტარიელ ებრალიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**მერაბ მეგრელიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

**სულხან მამულაძე** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

- ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება:

ელზა ფუტკარაძე (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)

ნარგიზ ახვლედიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)

ნაილე მიქელაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)

ვატი აბაშიძე (მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)

ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი)

ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

ცისნამი ბერიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

კაკალა ებრალიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

**I.1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი/პროექტების ჩამონათვალი**

- ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება:

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის შესრულების ვადები (დაწყებისა და დამთავრების წლები)	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„წაშლილი, დავიწყებული და ტრანსფორმირებული მეხსიერება (მეხსიერების კვლევა ბიოგრაფიული ინტერვიუების (ზეპირი ისტორიების) საფუძველზე“	5. - სოციალური მეცნიერებანი 5.4. - სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები, სოციალური სამუშაო)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი	2024-2028 წწ.	პროექტის ხელმძღვანელი: თამილა ლომთათიძე  შემსრულებლები: ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, როინ მალაყმაძე, რუსლან ბარამიძე, ნაილა ჩელებაძე, ანა ბაგრატიონი, ნუგზარ ჩხაიძე

		7.6. - სოციალური მეცნიერებები		
I ქვე-პროექტი:  ეთნოკულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - წარსული და თანამედროვეობა	5. - სოციალური მეცნიერებანი 5.4. - ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები, სოციალური სამუშაო)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.6. - სოციალური მეცნიერებები	2024-2028 წწ.	ქვე-პროექტის ხელმძღვანელი: თამილა ლომთათიძე  შემსრულებლები: ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, როინ მალაყმაძე, რუსლან ბარამიძე, ნაილა ჩელეზაძე	
II ქვე-პროექტი:  აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა	5. - სოციალური მეცნიერებანი 5.4. - ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები, სოციალური სამუშაო)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.6. - სოციალური მეცნიერებები	2024-2028 წწ.	შემსრულებელი: ანა ბაგრატიონი	

	<p>III ქვე-პროექტი:</p> <p>ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)</p>	<p>5. - სოციალური მეცნიერებანი</p> <p>5.4. - სოციოლოგია</p> <p>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p> <p>7.6. - სოციალური მეცნიერებები</p>	<p>2024-2028 წწ.</p>	<p>შემსრულებელი: ნუგზარ ჩხაიძე</p>
--	---	---	----------------------	------------------------------------

• ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის შესრულების ვადები (დაწყებისა და დამთავრების წლები)	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	<p>„აჭარის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“</p>	<p>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</p> <p>6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p>6.4. - ხელოვნება, ხელოვნების ისტორია; არქიტექტურული დიზაინი;</p> <p>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p> <p>7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	<p>2024-2028 წწ.</p>	<p>პროექტის ხელმძღვანელი: ოლეგ ჯიბაშვილი</p> <p>შემსრულებლები: მაია ჭიჭილეიშვილი, ოთარ თურმანიძე, მერაბ მეგრელიშვილი</p>
2	<p>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“</p>	<p>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</p> <p>6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p>	<p>2024-2028 წწ.</p>	<p>პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ინაიშვილი</p> <p>შემსრულებლები: გიორგი თავამაიშვილი, ირინე ვარშალომიძე,</p>

		7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები		ტარიელ ებრალიძე, სულხან მამულაძე
3	„ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისათვის“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.1. - ისტორია და არქეოლოგია;	2024-2028 წწ.	შემსრულებელი: უჩა ოქროპირიძე

- ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება:

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის შესრულების ვადები (დაწყებისა და დამთავრების წლები)	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკონი“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.2. ენები და ლიტერატურა (ლექსიკოლოგია)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2024-2028 წწ.	პროექტის ხელმძღვანელი: ელზა ფუტკარაძე  შემსრულებლები: ნარგიზ ახვლედიანი, ნანული ნოღაიძე, ციალა ნარაკიძე, ცისნამი ბერიძე, კაკალა ებრალიძე
2	„ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კვლევა“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.2. ენები და ლიტერატურა  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2024-2028 წწ.	პროექტის ხელმძღვანელი: ელზა ფუტკარაძე  შემსრულებელი: ფატი აბაშიძე

3	„მითოსური თქმულება-გადმოცემები აჭარაში“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.2. ენები და ლიტერატურა (ფოლკლორი)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2024-2028 წწ.	პროექტის ხელმძღვანელ-შემსრულებელი: ნაილე მიქელაძე
---	---	--	---------------	---

**I.2. დასრულებული პროექტი/პროექტები (იმ შემთხვევაში, თუ პროექტი/პროექტები დასრულდა საანგარიშო წელს)**

- ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება:

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის შესრულების ვადები (დაწყებისა და დამთავრების წლები)	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„აჭარული დიალექტის ლექსიკონი“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.2. ენები და ლიტერატურა (ლექსიკოლოგია)  7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2020-2025	პროექტის ხელმძღვანელი: ელზა ფუტკარაძე  შემსრულებლები: ნარგიზ ახვლედიანი, ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე, ნაილე მიქელაძე

**ანოტაცია:**

როგორც ცნობილია, დიალექტის ლექსიკონის მომზადება მნიშვნელოვანი, აქტუალური, ფასეული და შრომატევადი საქმეა. ლექსიკონში წარმოდგენილ ერთეულებს ახლავს განმარტება საილუსტრაციო წინადადებებით (ფრაზებით), რაც უფრო გასაგებს ხდის სიტყვის მნიშვნელობას.

თითოეული ლექსიკური ერთეული შედარებულია ძველი ქართული ენისა და ქართული ენის დიალექტების ლექსიკონებთან და სალექსიკონო მასალასთან.

ლექსიკონში წარმოდგენილი ერთეულები საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. გამოვლინდა არქაული ლექსიკური ერთეულები, საერთო ქართველური ლექსემები. განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები, ხატოვანი სიტყვა-თქმები. კვლევას აქვს თეორიულ - პრაქტიკული ღირებულება. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი, წარმოდგენილია დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს. წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა მრავალმხრივ საყურადღებოა.

**შედეგი:**

გამოიცა „აქარული დიალექტის ლექსიკონი“. მასში 16146 ლექსიკური ერთეულია განმარტებული. ლექსიკონს გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

**I.3. მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/პროექტების საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოები**

- ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„წაშლილი, დავიწყებული და ტრანსფორმირებული მეხსიერება (მეხსიერების კვლევა ბიოგრაფიული ინტერვიუების (ზეპირი ისტორიების) საფუძველზე“	5. - სოციალური მეცნიერებანი 5.4. - სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის	2024-2028 წწ.	პროექტის ხელმძღვანელი: <b>თამილა ლომთათიძე</b>  შემსრულებლები: <b>ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, როინ მალაყმაძე, რუსლან ბარამიძე, ნაილა ჩელევაძე, ანა ბაგრატიონი, ნუგზარ ჩხაიძე</b>

		კვლევები, სოციალური სამუშაო)  <b>7. - საქართველოს          შემსწავლელი          მეცნიერებანი</b> 7.6. - სოციალური მეცნიერებები		
--	--	--	--	--

**ანოტაცია:**

პროექტი ითვალისწინებს მეხსიერების ანთროპოლოგიურ კვლევას. კვლევების სიახლეა ადამიანების და ჯგუფების მეხსიერებაში შემონახული მიღწევა ან ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ინფორმაციის დაფიქსირება ზეპირი ნარატივების მეშვეობით და იმ ისტორიულ-კულტურული პროცესების შესახებ მათი ცოდნის შესწავლა, რომელთა თვითმხილველები და მონაწილენი არიან რესპოდენტები. დაფიქსირებული და შესწავლილი იქნება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო და მცირე ჯგუფების მეხსიერება, რომელიც სხვადასხვა საკითხებს ეხება, მუდმივად განიცდის გარე ზემოქმედებას, ყოველდღიური საინფორმაციო ნაკადების, მეხსიერების პოლიტიკების და სხვადასხვა ცვლილებების გავლენით. ასევე, იგი მიღწევადაა მეხსიერების ბიოლოგიური სპეციფიკის გამო, რადგან ადამიანები დროთა განმავლობაში ივიწყებენ ან განსხვავებულად იხსენებენ სხვადასხვა დეტალებს. ამიტომ, ჩვენი ინტერესი ეხება მიღწევა და ტრანსფორმაციას დაქვემდებარებული ცნობები, რომელთა გამოვლენა და დაფიქსირება ჯერ კიდევ შესაძლებელია. პროექტის შემსრულებლები ბიოგრაფიული ინტერვიუებზე დაყრდნობით მოიპოვებენ, ხოლო შემდგომ ისეთი მიდგომების გამოყენებით, როგორცაა ზეპირი ისტორიები, დისკურს-ანალიზი, შედარება და სხვ., გაანალიზებენ მოპოვებულ მასალებს. პროექტი ხორციელდება სამი მიმართულებით: 1. ეთნოკულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - წარსული და თანამედროვეობა; 2. აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული მეხსიერება; 3. ე. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)

I ქვე-პროექტი:  <b>ეთნოკულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - წარსული და თანამედროვეობა</b>	<b>5. - სოციალური მეცნიერებანი</b> 5.4. - ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები,	2024-2028 წწ.	ქვე-პროექტის ხელმძღვანელი: <b>თამილა ლომთათიძე</b>  შემსრულებლები: <b>ნოდარ კახიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე, როინ მალაყმაძე, რუსლან ბარამიძე, ნაილა ჩელეზაძე</b>
---	---	---------------	--

		<p>სოციალური სამუშაო)</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.6. - სოციალური მეცნიერებები</p>		
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>კვლევა განხორციელდა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გზით. შესწავლილი იქნა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლები ისტორიულ წარსულს, როგორ აღიქვამენ მოვლენებს. ეს არის არა დამკვირვებლის თვალთ დახახული, არამედ მოვლენის უშუალო მონაწილეთა მიერ განცდილი და მათ მეხსიერებაში დალექილი მოვლენების აღწერა და შეფასება. კვლევის შედეგად შესაძლებელია როგორც საბჭოთა პერიოდის სპეციფიკის გამოვლენა, ისე დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან დღემდე განვითარებული პროცესების რეკონსტრუქცია.</p>				
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>2025 წელს პროექტით გათვალისწინებული იყო სავსე მასალის შეგროვება და დამუშავება. მომზადდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკითხის გარშემო, შემუშავდა მეთოდოლოგია, მომზადდა კითხვარი, შეირჩა სამიზნე ჯგუფები და განხორციელდა მისი აპრობაცია, დაიწყო ინსტიტუტის საფონდო მასალის დამუშავება.</p>				
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>2025 წელს, დამყარდა კონტაქტები სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლებთან, წინასწარ შედგენილის კითხვარისა და თავისუფალი ინტერვიუების საშუალებით ჩაწერილი იქნა მათი ადამიანებისა და ოჯახების მიკროისტორიები, მათი პირადი მოგონებები, დაიწყო სავსე მასალის დამუშავება.</p>				
	<p>II ქვე-პროექტი:</p> <p><b>აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული მეხსიერება</b></p>	<p><b>5. - სოციალური მეცნიერებანი</b></p> <p>5.4. - ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები, სოციალური საკითხები, ოჯახის კვლევები,</p>	2024-2028 წწ.	<p>შემსრულებელი: ანა ბაგრატიონი</p>

		<p>სოციალური სამუშაო)</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.6. - სოციალური მეცნიერებები</p>		
--	--	--	--	--

**ანოტაცია:**

აღნიშნული მიმართულებით შესწავლილი იქნა სხვადასხვა პერიოდის ადგილმონაცვლე პირთა მეხსიერებაში შემონახული მიგრაციის პროცესები და მიგრანტთა კულტურულ-რელიგიური ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები. მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია გაშუქდა ისტორიულ ჭრილში, რათა მომხდარიყო მასში შემონახული ნარატივების არა მხოლოდ ფიქსაცია, არამედ მათი მეშვეობით ისტორიული პროცესების რეალურად და თანმიმდევრულად გადმოცემა. კვლევა განხორციელდა აჭარიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებულ ეკომიგრანტთა სოფლებში.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

2025 წელს პროექტით გათვალისწინებული იყო საველე მასალის შეგროვება და დამუშავება.

**შუალედური შედეგები:**

შემუშავდა საველე კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგია, მომზადდა კითხვარი, შეირჩა სამიზნე ჯგუფები და განხორციელდა საველე-ეთნოგრაფიული კვლევა აჭარიდან სხვადასხვა წლებში წალკის მუნიციპალიტეტში მიგრირებულ მოსახლეობაში; დაიწყო საველე მასალების დამუშავება.

	<p>III ქვე-პროექტი:</p> <p><b>ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)</b></p>	<p><b>5. - სოციალური მეცნიერებანი</b></p> <p>5.4. - სოციოლოგია</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.6. - სოციალური მეცნიერებები</p>	2024-2028 წწ.	<p>შემსრულებელი:</p> <p><b>ნუგზარ ჩხაიძე</b></p>
--	--	---	---------------	--

**ანოტაცია:**

პროექტის მიმდინარე ეტაპზე დიფერენცირებულად იქნა შესწავლილი ქ. ბათუმის მოსახლეობის ცალკეული სოციალური სეგმენტები, რაც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ქ. ბათუმის ცალკეული სოციალური ჯგუფების წინაშე მდგარი ცხოვრებისეული პრობლემები და დაისახოს მათი გადაჭრის გზები.

2025 წელს კვლევა განხორციელდა ბოლო პერიოდში ქ. ბათუმში მიგრირებული სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი ქალაქის მცხოვრებლების დამოკიდებულების შესასწავლად.

<p>სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და განსხვავებული მიდგომები სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგრირებულთა მიმართ.</p>
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>ქალაქში მცხოვრები და ბოლო პერიოდში მიგრირებული სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი ქ. ბათუმის მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა (სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით).</p>
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარების მიზნით მომზადდა ანკეტის კითხვარი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა კვლევა ქ. ბათუმის მოსახლეობის სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის. რესპოდენტების გამოკითხვის მასალები დამუშავდა. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები განზოგადდა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიქმნა სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნულ საკითხზე.</p>

• ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:

სამეცნიერო - კვლევითი პროექტი: „აჭარის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“  
ხანგრძლივობა: 2024-2028 წწ.

პროექტის ხელმძღვანელი: **ოლეგ ჯიბაშვილი**

№	ქვე-პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	ბათუმი და ნავთობსამრეწველო ბუმი აფშერონის ნახევარკუნძულზე (XIX ს-ის 80-90-იანი წწ. – XX ს-ის დასაწყისი)	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b></p> <p>6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	2024-2028 წწ.	ოლეგ ჯიბაშვილი

**ანოტაცია:**

2025 წელს დასრულდა საკვლევი თემის – „როგორ იქცა ბათუმი ნავთობპროდუქტების საექსპორტო ცენტრად (XIX ს-ის 80-იანი წწ.)“ – შესწავლის მეორე ეტაპი (გეგმით, კვლევა გადანაწილდა 2024-2025 წლებზე). აღნიშნული საკვლევი თემა წარმოადგენს ქვე-პროექტის –

„ბათუმი და ნავთობსამრეწველო ზუმი აფშერონის ნახევარკუნძულზე (XIX ს-ის 80-90-იანი წწ. – XX ს-ის დასაწყისი)“ – შემადგენელ ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:

1883 წელს ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებისა და 1886 წელს პორტოფრანკოს გაუქმების შემდეგ ქალაქმა სწრაფად დაიწყო ზრდა.

ბათუმის დაკავშირებამ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტში უცხოური კაპიტალის წილი გაზარდა. შესაბამისად, გაიზარდა ნავთობპროდუქტების საექსპორტო მოცულობა. განსაკუთრებით კვლავ როტშილდები აქტიურობდნენ. მათი ინიციატივით, 1889 წელს პირველად იქნა გამოყენებული ბათუმის ნავსადგურიდან ნავთის საზღვარგარეთ გასატანად სპეციალური გემი-ცისტერნა – ტანკერი. 1890 „კასპია-შავი ზღვის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“ ნავთობპროდუქტების მთავარი ექსპორტიორი გახდა. მათ ეკუთვნოდათ ექსპორტის მთლიანი მოცულობის 26%. 18%-ით მეორე ადგილზე იყო ძმები ნობელების „ბრანობელი“. დარჩენილი პროცენტები ნაწილდებოდა ყველა სხვა ექსპორტიორზე. ნავთობპროდუქტები იგზავნებოდა დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, ინდოჩინეთში, ოსმალეთში, იაპონიაში, საბერძნეთში, ჩინეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, მალტაზე, პორტუგალიაში, ალჟირში, ფილიპინის კუნძულებზე, დუნაისპირა სამთავროებში. მხოლოდ როტშილდებმა 27.600.000 ფუთი ბაქოს ნათი გაიტანეს ბათუმის ნავსადგურიდან.

აღნიშნული ტენდენციების გამო მოთხოვნილება ბაქოს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე გაიზარდა. ადგილობრივ და უცხოელ მეწარმეებს (კაპიტალისტებს) არასაკმარისად მიაჩნდათ ბაქო-თბილისი-სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობა. დაისვა საკითხი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანის თაობაზე, რომელიც დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1884 წლიდან დადგა. აღნიშნულ წელს გენიად წოდებულ ინჟინერ ვ. გ. შუხოვის მიერ შეიქმნა ბაქო-ბათუმის ტრანსკავკასიური ნავთობსადენის პროექტი. მილსადენის საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო 820 ვერსი, ხოლო მილები – 6 დიუმიანი, პროექტის საერთო ღირებულება კი – 15.700.000 რუბლი. გათვალისწინებული იყო 35 გადამქაჩი ქვესადგურის მოწყობა, პროექტს გამოუჩნდნენ როგორც მხარდამჭერები, ისე მოწინააღმდეგეები. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიზანშეწონილად აღარ ჩაითვალა ნედლი ნავთობის დიდი რაოდენობით ექსპორტზე გატანა და ნავთობსადენის ნაცვლად შეთანხმდნენ ნავთსადენის გაყვანაზე. როტშილდებმა მზადყოფნა გამოხატეს მილსადენის მშენებლობის კონცესიის აღებაზე. ისინი ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ ვ. შუხოვს პროექტზე მუშაობის პროცესში. პროექტის რეალიზებისათვის ლომის წილი როტშილდების პარიზის სახლმა გაიღო. ბაქო-ბათუმის მაგისტრალური ნავთსადენის მშენებლობა 1897 წელს დაიწყო და 10 წელს გაგრძელდა. იგი ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის გასწვრივ მიემართებოდა. პროექტს საბოლოო სახე მისცა ცნობილმა ინჟინერმა ნ. ლ. შჩუკინმა. ძირითადი სამუშაოები 1900 წლისათვის დასრულდა, ხოლო 1907 წლიდან ბაქო-ბათუმის ნავთსადენი სრული დატვირთვით ამოქმედდა. მისი ექსპლუატაციაში ოფიციალური მიღება სამთავრობო კომისიის მიერ სწორედ 1907 წლის 24 ივლისს განხორციელდა ტიფლისში, რასაც თან ახლდა ვრცელი სამადლობლო სიტყვა როტშილდების მისამართით.

ნავთსადენის სიგრძე იყო 882 კმ., წლიური გამტარუნარიანობა – 60 მილ. ფუთი. მშენებლობა 21 მილ. რუბლი დაჯდა, რაც სრულად იქნა ამოღებული 4 წელიწადში.

ბაქო-ბათუმის ნავთობ-საექსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობა შეუდარებლად გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა ბათუმისა და მისი პორტის სამრეწველო პოტენციალი.

ბათუმი თანდათან გადაიქცა ევროპული ტიპის ქალაქად და მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად თავისი მრავალრიცხოვანი და ეთნო-კონფესიურად ჭრელი მოსახლეობით.

<p>აქ დაბანდებული იყო როგორც რუსული, ისე მსხვილი უცხოური კაპიტალი. ბათუმის პორტი, თავისი ტვირთბრუნვით, პეტერბურგისა და ოდესის პორტების შემდეგ მესამე ადგილზე იყო რუსეთის იმპერიაში. აქ საქმიანობდა სხვადასხვა ქვეყნის სანაოსნო, სავაჭრო და სადაზღვევო კომპანიები. ფუნქციონირებდა ბანკები, სასტუმროები, უამრავი მსხვილი და წვრილი საწარმო, ასობით სავაჭრო ობიექტი.</p>				
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>საკვლევ თემასთან დაკავშირებით განხორციელდა წყაროებისა და დოკუმენტების მოძიება-შესწავლა, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, ინტერნეტ-მასალების მოძიება-დამუშავება, რუსთაველის უნივერსიტეტისა და ბერძენიშვილის ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდებში მუშაობა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ფონდების დამუშავება, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდების დამუშავება, სასემინარო თემის, საკონფერენციო მოხსენების და ძირითადი სტატიის მომზადება.</p>				
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>პროექტის 2025 წლის ეტაპზე შესწავლილი იქნა 1880-იანი წლების II ნახევარში ნავთობ-სამრეწველო საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბაქო-ბათუმის ნავთ-სადენის დაპროექტება-ექსპლუატაციაში გადაცემის საკითხზე, რასაც 1880-იანი წლების შუახანებიდან ჩაეყარა საფუძველი.</p> <p>აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საინტერესო მომენტები უფრო ვრცლად აისახა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე - IV“ – 20 სექტემბერს გამოტანილ მოხსენებაში „ბაქო-ბათუმის ნავთის მილსადენი – ახალი იმპულსი ბათუმის ინდუსტრიული განვითარებისათვის“ (<a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/libraryFiles/downloadPublic/41">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/libraryFiles/downloadPublic/41</a>). მოხსენების ვრცელი ვერსია, სტატიის სახით, 2026 წელს გამოქვეყნდება.</p> <p>შედეგები აისახა, აგრეთვე, საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით, 9 ივნისს ჩატარებულ სემინარში – „როტშილდებისა და ნობელების ურთიერთკონკურენცია და ნავთობპროდუქტების ექსპორტი ბათუმიდან (1880-იანი წლები)“ (<a href="https://bsu.edu.ge/sub-56/page/22386/index.html?lang=ge">https://bsu.edu.ge/sub-56/page/22386/index.html?lang=ge</a>).</p>				
2	ბათუმის არქიტექტურა (XIX-XX სს.)	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b></p> <p>6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p>6.4. - ხელოვნება, ხელოვნების ისტორია; არქიტექტურული დიზაინი;</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p>	2024-2028 წწ.	მაია ჭიჭილეიშვილი

		7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები		
--	--	----------------------------------	--	--

**ანოტაცია:**

2025 წელს დასრულდა საკვლევი თემის – „მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში“ – შესწავლა. აღნიშნული საკვლევი თემა წარმოადგენს ქვე-პროექტის – „ბათუმის არქიტექტურა (XIX-XX სს.)“ – შემადგენელ ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბათუმის ურბანული განვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის დიმიტრი ბაქრაძის, ნიკო ნიკოლაძის ალექსანდრე ფრენკელის, ევგენი ვეიდენბაუმის და სხვათა ჩანაწერები. ურბანული წინსვლის მიუხედავად, 1860-1870-იან წლებში ბათუმი პატარა, პროვინციულ ოსმალურ ქალაქად რჩება. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის მიერთებისა და მზარდი ეკონომიკური პროცესების შედეგად, ქალაქის ურბანული სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. შემუშავდა სამშენებლო საქმიანობის წესები. რეგულარული განაშენიანების პრინციპით გაშენდა ახალი უბნები, აიგო მულტიკულტურული რელიგიური შენობები, პარკი, ბულვარი, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, სასწავლებლები, საზოგადოებრივი, სამრეწველო და სამეურნეო ტიპის შენობები.

ბათუმის განაშენიანებაში თავს იჩენს ბურჟუაზიული ქალაქებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი დიფერენცირება. უბნების არქიტექტურული სახე მეტ-ნაკლებად გამოხატავდა ქალაქის ცალკეულ ნაწილთა ფუნქციურ დიფერენციაციას. არქიტექტურული თვალსაზრისით XIX-XX სს-ის მიჯნაზე ბათუმის განაშენიანებაში გამოიყოფოდა სამი ზონა: 1. სამრეწველო 2. სავაჭრო-საქმიანი 3. საზოგადოებრივი, საპარკო და საცხოვრებელი ზონა. საპორტო ქალაქის სპეციფიკამ ხელი შეუწყო არქიტექტურული სივრცის ბუნებრივი დომინანტისაკენ – ზღვისაკენ ორიენტირებას. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ბათუმში ისეთივე სურათია, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში თავს იჩენს მზარდი კაპიტალისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მის არქიტექტურულ იერსახეს ახასიათებს მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნება, სინთეზი და ეკლექტურობა.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

საკითხის ირგვლივ წყაროებისა და დოკუმენტების მოძიება-შესწავლა, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება. სემინარის მომზადება, საკონფერენციო მოხსენების მომზადება, სტატიის მომზადება.

1. აღნიშნულ საკითხებზე წარდგენილ იქნა მოხსენება „მოდერნის სტილი ძველი ბათუმის არქიტექტურაში „Modern Style in the architecture of Old Batumi“ საერთაშორისო კონფერენციაზე „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ IV (19-20.09.2025).
2. მომზადდა სტატია „მოდერნის სტილი ძველი ბათუმის არქიტექტურაში“, რომელიც გადაცემულია დასაბეჭდად. ნაშრომში განხილულია XX საუკუნის ბათუმის არქიტექტურაში წარმოდგენილი მოდერნის („არტ ნუვო“) სტილის ნიმუშები.
3. აღნიშნულ თემაზე ჩატარდა სემინარი: 20.12.2024 - „მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში (საკულტო ძეგლების მიხედვით)“

**შუალედური შედეგები:**

XIX–XX სს-ის მიჯნის ბათუმის არქიტექტურას ახასიათებს ეკლექტიზმი, სტილთა მრავალფეროვნება. ნაგებობათა ფასადებზე გამოხატულებას პოვებს ხან მსუბუქად, ხან კი საკმაოდ მკაფიოდ გამოვლენილი კლასიციისტური, ბაროკული, რენესანსული, თუ გოთური მოტივები, რასაც მოგვიანებით ენაცვლება რომანტიზმით, მოდერნით, თუ კონსტრუქტივიზმით შთაგონებული ნიმუშები. ამასთანავე ნიშანდობლივია ის, რომ ბათუმში უფრო მეტად იკაფავს გზას „კლასიციისტურ-ბაროკული“ ეკლექტიზმი, რაც, თავის მხრივ მოწმობს, რომ ბათუმი თავიდანვე გაიაზრებოდა, როგორც, შედარებით, სადა ევროპული ქალაქი, რომლის არქიტექტურულ გადაწყვეტაში სჭარბობდა დასავლეთიდან მომდინარე მხატვრულ სტილთა ელემენტები. XIX-XX მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში წარმოდგენილი სხვადასხვა რელიგიური მრწამსის სალოცავები ხასიათდება ტიპებისა და მხატვრული-სტილისტური გადაწყვეტის მრავალფეროვნებით. ნაგებობის კომპოზიციური გადაწყვეტისა და სტილის თვალსაზრისით იკვეთება საკულტო შენობების დიფერენცირების სურათი.

3	სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარაში (1921-1940 წწ.)	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b></p> <p>6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	2024-2028 წწ.	ოთარ თურმანიძე
---	--	---	---------------	----------------

**ანოტაცია:**

2025 წელს დასრულდა საკვლევი თემის – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების სისტემა და მართვის ფორმები“ – შესწავლა. აღნიშნული საკვლევი თემა წარმოადგენს ქვე-პროექტის – „სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარაში (1921-1940 წწ.)“ – შემადგენელ ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:

სახელმწიფო ორგანოების რაციონალურ მოწყობასა და ნორმალურ ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, პოლიტიკური სტაბილურობის, დემოკრატიისა და საზოგადოების სოციალური განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, პროექტის ეს ნაწილი უაღრესად აქტუალურია. ერთი მხრივ, იგი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ და გავაშუქოთ ისტორიის ერთი კონკრეტული მონაკვეთი, მეორე მხრივ კი, ჩვენი ახლო წარსულის მტკივნეული რეალობის გააზრება-გათვალისწინების საფუძველზე, მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრეცედენტები. საქართველოში, კერძოდ აჭარაში, ახალი ტიპის ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმი, სახელმწიფო ორგანოები, ერთპარტიული დიქტატურა სწორედ 1921-1940 წლებში ჩაისახა და ჩამოყალიბდა. ქვეთემა ითვალისწინებს ისეთი საკვანძო საკითხების შესწავლა-განხილვას, როგორებიცაა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი, მათი სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობა 1921-1940 წლებში. კვლევისათვის სათანადო ფონის შესაქმნელად ყურადღება გამახვილდება სხვა საკითხებზეც. ესენია: აჭარის ტერიტორია და მოსახლეობა, ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული მოწყობა, ახალი ტიპის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სისტემების შექმნა და სხვა. ქვეთემის მთავარი საკითხების გაშუქება სწორედ ამ კონტექსტში განხორციელდა. რაც მთავარია, კვლევა არ არის შეზღუდული იდეოლოგიური და კონიუნქტურული ცენზურით.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**  
 5 წლიანი პროექტის 2025 წლის საანგარიშო ეტაპზე, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, შესწავლილი იქნა ისტორიის ერთი კონკრეტული მონაკვეთი ჩვენი ახლო წარსულიდან. კერძოდ, გაანალიზდა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – აჭარაში მიმდინარე ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორცაა ახალი ტიპის ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის, სახელმწიფო ორგანოების, ერთპარტიული დიქტატურის დამყარება და ფუნქციონირება. ქვეთემა ფარგლებში განხორციელდა ისეთი საკვანძო საკითხების შესწავლა-განხილვა, როგორებიცაა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი, მათი სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობა 1921-1940 წლებში.

**შუალედური შედეგები:**  
 2025 წელს შესრულებული თემის ფარგლებში საფუძვლიანად შესწავლილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების სისტემა და მართვის ფორმები. გაანალიზდა ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმი, სახელმწიფო ორგანოები და ერთპარტიული დიქტატურა. შეფასებული იქნა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი, მათი სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობა 1921-1940 წლებში.

4	სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში XX ს-ის 40-50-იან წლებში	<b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b> 6.1. - ისტორია და არქეოლოგია;  <b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b> 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2024-2028 წწ.	მერაბ მეგრელიშვილი
---	---	--	---------------	--------------------

**ანოტაცია:**  
 2025 წელს დასრულდა საკვლევი თემის – „სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში XX ს-ის 40-50-იან წლებში“ – შესწავლა. აღნიშნული საკვლევი თემა წარმოადგენს ქვე-პროექტის – „სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში (XX ს.-XXI ს-ის დასაწყისი)“ – შემადგენელ ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:  
 მოხერხებული ბუნებრივი მდებარეობიდან გამომდინარე, ბათუმს გააჩნდა და დღესაც გააჩნია დიდი გეო-სტრატეგიული მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ფლობს მოხერხებულ ნავსადგურს, რის გამოც იგი ცნობილ საზღვაო ქალაქს წარმოადგენს, მასზე გადის არანაკლები მნიშვნელობის სახმელეთო გზები. კერძოდ: ბათუმი-ახალციხე-თბილისი, ბათუმი-ართვინი-არტაანი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ტრაპიზონი, ბათუმი-ფოთი-სოხუმი ან ქუთაისი. ცარიზმის დროს, ბათუმის მეშვეობით, მასზე გამავალი საზღვაო და სახმელეთო გზების კონტროლის

საშუალებით, რუსეთის იმპერია უზრუნველყოფდა თავისი სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოებას. XIX საუკუნემდე აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. შემდეგშიც, ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მნიშვნელობის მთავარ გზებს. შერივ ხიმშიაშვილის მმართველობის პერიოდში მოწესრიგდა ზემო აჭარასთან დამაკავშირებელი გზები. ცარიზმის დროს მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ არა რადიკალურად. XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, მაგრამ ვერ განხორციელდა აჭარის ყარსთან დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა. გეო-სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საბჭოთა პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო.

1921 წლიდან აჭარაში მოქმედებს გზათა მშენებლობის სამმართველო. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა უჩამბის, სხალთის, მერისის გზების გაყვანა-გამართვას. 1941 წლის 21 სექტემბერს აჭარის საგზაო სამმართველომ განაახლა სოფელ ახალშენის გზაზე მდებარე სამხედრო მნიშვნელობის მდინარე ბარცხანის ხიდის მშენებლობა. ასევე განაახლდა მერისის გზის მშენებლობა. მოეწყო გადასასვლელი გზები მდინარე მერიახევსა და აკავრეთზე, სოფელ ჩელტამდე. 1940 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ ხულოში ხიდების და გზების მშენებლობაზე გამოჰყო 156 995 მანეთი, ქედაში 43 398 მანეთი, ბათუმის რაიონში - 145 791 მანეთი, ქობულეთის რაიონში 174 966. 1940 წელს განაახლდა გონიოს გზის მშენებლობა. ადგილობრივი გზათა სამმართველოს უფროსის ხელფასი განისაზღვრა 1000 მანეთის ოდენობით. 1939-1940 წლებში აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ გზათა სამმართველოს უფროსად ისმაილ მოწყობილის ნაცვლად დანიშნა ოსმან შანიძე. 1939 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა რეგიონის გზათა მშენებლობის გეგმა, კერძოდ, ყარა-დერეს გზა (1,2 კმ) – ხულოს რაიონში, მერისის გზა (1,2 კმ), აჭარის აღმართის გზა (2 კმ) – ბათუმის რაიონში, კოხი-ჭახათის გზა (1 კმ) ქობულეთის რაიონში. ქობულეთი-კოხი-ჭახათის გზა იწყებოდა 4 ½ ვერსზე სოფელ კოხიდან, იგი ემსახურებოდა 8 სოფელს – 308 სულს. ჩაქვი-ჩაქვისთავის გზა – 17 ვერსზე იწყებოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულთან და მთავრდებოდა ჩაქვისთავის მეჩეთთან.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აჭარის შიგა და გარე გზების მშენებლობას. ომის შემდგომ აჭარაში აღორძინდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოება, რამაც მოითხოვა შიგა და გარე რეგიონებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო საშუალებების – საავტომობილო და სარკინიგზო გზების ინფრასტრუქტურის სრულყოფა. საავტომობილო გზების მშენებლობასთან ერთად გაფართოვდა სარკინიგზო ხაზების ქსელი.

მიმდინარე საანგარიშო წელს განხორციელდა აჭარაში მიმდინარე საგზაო სამუშაოების მნიშვნელობის გაშუქება, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა და გამორჩეულ პიროვნებათა საქმიანობის აღწერა, კომუნიკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შესწავლა, სახმელეთო გზების მშენებლობის არსებული გამოცდილების გააზრება

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

საკვლევ თემასთან დაკავშირებით განხორციელდა წყაროებისა და დოკუმენტების მოძიება-შესწავლა, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ფონდების დამუშავება, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდების დამუშავება, საგზაო რუკების შესწავლა, სასემინარო თემის, საკონფერენციო მოხსენების და ძირითადი სტატიის მომზადება.

**შუალედური შედეგები:**

XX საუკუნის 40-50-იან წლებში არსებული გზებისა და ხიდების შესწავლა, მიმდინარე საამშენებლო სამუშაოების აღწერა-შეფასება და თვალსაჩინო მასალების გამოქვეყნება. აჭარიდან

გურიაში გადასასვლელი გზების დადგენა, საგზაო რუკის შედგენა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ხიდების აღწერა.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტი: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“

ხანგრძლივობა: 2024-2028 წწ.

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ინაიშვილი

№	ქვე-პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	დაკრძალვის წესები და რიტუალები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ - ელინისტურ ხანაში (ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების მიხედვით)	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b>          6.1. - ისტორია და არქეოლოგია;</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b>          7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	2024-2025 წწ.	<p>ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი</p> <p>ნ. ინაიშვილის წვლილი:          ა) ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის მონაცემების დამუშავება;          გ. თავამაიშვილის წვლილი:          ა) ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის კოლხური სამაროვნის მონაცემების დამუშავება.</p>

**ანოტაცია:**

2025 წელს დასრულდა საკვლევო თემის – „დაკრძალვის წესები და რიტუალები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში“ – შესწავლა. აღნიშნული საკვლევო თემა წარმოადგენს პროექტის – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“ – შემადგენელ ნაწილს. არქეოლოგიური მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:

კოლხეთის სანაპირო ზოლში აღმოჩენილი სამაროვნები მდიდარი არქეოლოგიური არტეფაქტებით დიდი ხანია იქცევა ანტიკური ხანის ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და კულტურის ისტორიკოსთა ყურადღებას. ამდენად, ჩვენ მიერ შესრულებული კვლევა საინტერესო და გასათვალისწინებელი იქნება ანტიკოსთა მიერ ბერძნული კოლონიზაციის, ბერძნული ახალშენების თუ ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესების კვლევის თვალსაზრისით. ადგილობრივი სამეთუნეო ნაწარმის შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კოლხური

კულტურის კვლევის საქმეში, რამდენადაც კერამიკა და მეთუნეობა კოლხური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია.

ანტიკური ეპოქის დაკრძალვის რიტუალის შესწავლისთვის მრავლისმთქმელია ფიჭვნარის კლასიკური და ელინისტური ხანის სამაროვნების არქეოლოგიური მასალა. თვით ის ფაქტი, რომ ფიჭვნარში, საუკუნეების მანძილზე, იკრძალებოდნენ როგორც ადგილობრივები (კოლხები), ასევე მოახალშენები (ელინები), უდავოდ ზრდის ფიჭვნარის სამაროვნების სამეცნიერო მნიშვნელობას ძველი საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესის და სულიერი კულტურის კვლევის თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი, ჯერჯერობით, ერთადერთი ძეგლია ამიერკავკასიაში, სადაც ელინური ეთნოსის სამაროვანი ცალკეა დადასტურებული. რადგან ფიჭვნარის კლასიკური ხანის ბერძნულ სამარო-ვანზე დასტურდება კოლხური კერამიკა, ხოლო კოლხურზე – ბერძნული ნაკეთობები, არ არის გამორიცხული, რომ ბერძნები, გარკვეული ფორმით, რომელიც ეფუძნებოდა მათ ტრადიციულ ცხოვრების წესს, მონაწილეობდნენ ადგილობრივთა დაკრძალვის პროცესში და პირიქით, ბერძენთა გარდაცვალების შემთხვევაში, მკვიდრი კოლხი მოსახლეობაც არ რჩებოდა მეზობლის ჭირ-ვარამის მიმართ გულგრილი. ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა პოზიციას, რომ ფიჭვნარის ანტიკური ხანის კოლხურ სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის წესი, არსებული ფორმით და ატრიბუციით, აქ დასახლებული ელინური თემის გავლენით დამკვიდრდა ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრებაში.

#### **საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

პროექტის მიმდინარე ეტაპი ითვალისწინებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების – ციხისძირისა და ფიჭვნარის ადრეანტიკური–ელინისტური ხანის სამაროვნების მონაცემებზე დაყრდნობით დაკრძალვის წესებისა და რიტუალების შესწავლას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში. მასალის დიდი მოცულობის გამო მისი შესწავლა განხორციელდა ორი ავტორის – ნინო ინაიშვილისა და გიორგი თავამაიშვილის მიერ.

ავტორების ერთობლივი კვლევის მიზანი იყო ციხისძირისა და ფიჭვნარის სამაროვნების არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ზღვისპირა კოლხეთში გავრცელებული სამარხთა ტიპების, დაკრძალვის წესებისა და მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალების ანალიზი, მათი შედარება კოლხეთის სხვა რეგიონების (როგორც ზღვისპირა, ისე ცენტრალური, შიდა კოლხეთის) თანადროულ და წინარე ეპოქების (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის) მსგავსი ტიპის ძეგლების მონაცემებთან, სამხრეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენის მიზნით. ამასთანავე, გაანალიზებული იქნა კონკრეტულ ეპოქაში ბერძნული კოლონიზაციისა და ელინიზაციის პროცესის გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და რწმენა-წარმოდგენებზე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ კონსერვატიულ სფეროში, როგორცაა მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალები. მისი შესწავლა მეტ სინათლეს შეიტანს ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი კულტურის პრობლემების შესწავლაში, ასევე მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული კოლხეთის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუირება-გააზრებაში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ეპოქაში, არა მარტო კოლხეთის სანაპირო ზოლი, არამედ მთლიანად შავიზღვისპირეთი ხმელთაშუაზღვისპირეთთან ერთად ანტიკური კულტურის არეალში ექცევა, სამხრეთ კოლხეთის სანაპირო ზოლში აღმოჩენილი სამაროვნები მდიდარი არქეოლოგიური არტეფაქტებით საინტერესოა ანტიკური ხანის ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და კულტურის

ისტორიკოსთათვისაც. ამდენად, აღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ანტიკური ისტორიის მკვლევართა მიერ ბერძნული კოლონიზაციის, ბერძნული ახალშენების თუ ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესების კვლევის თვალსაზრისითაც.

2025 წელს განხორციელდა ფიჭვნარის ელინისტური ხანის მონაცემების დამუშავება და სტატისტიკური ცხრილების შედგენა დამარხვის წესის (ინჰუმაცია, კრემაცია), სამარხთა ტიპების (ორმოსამარხი, ჭურჭელში: ამფორა, დერგი და სხვ. დამარხვა), სამარხთა ორიენტაციის, ზომების, სამარხში მიცვალებულის პოზის (გამოტილი, მოკრუნჩხული), სამარხებში ინვენტარის ჩაყოლების და სამარხში მათი განლაგების, სააღაპო მოედნების, მონეტების ჩაყოლებისა და სამარხში მათი ადგილმდებარეობის ზუსტი აღნუსხვა, გამოქვეყნებული მასალების, ზოგიერთ შემთხვევაში კი, საარქივო მასალების (დღიურები, ნახაზები, ფოტოები, ანგარიშები) გამოყენების საფუძველზე. აღნიშნული სტატისტიკური ცხრილების მომზადება მნიშვნელოვანი ეტაპია დამარხვის წესის გარკვეული კანონზომიერების დასადგენად და ზოგადად, გათხრების პროცესში დაფიქსირებული მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსაჩენად. გამოიკვეთა ადგილობრივ მოსახლეობაში ელინისტური ეპოქის შესაბამისი ძვრებითა და ბერძენ მოახალშენებთან თანაცხოვრებით გამოწვეული ცვლილებები. ასევე, ბერძენი მოახალშენების მიერ საკუთარი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისა თუ ტრანსფორმაციის ნიშნები, ბერძნული და ადგილობრივი თემების ურთიერთგავლენა.

**შუალედური შედეგები:**

კოლხეთის სხვა რეგიონების (როგორც ზღვისპირა, ისე ცენტრალური, შიდა კოლხეთის) თანადროული და წინარე ეპოქების (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის) მსგავსი ტიპის ძეგლებთან შედარების საფუძველზე გამოიკვეთება ეპოქის შესაბამისი ძვრებითა და ბერძენ მოახალშენებთან თანაცხოვრებით გამოწვეული ცვლილებები. საინტერესოა ასევე ანტიკური შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში აღმოჩენილ თანადროულ სამაროვნებთან მსგავსება/განსხვავება, ბერძენი მოახალშენების მიერ საკუთარი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისა თუ ტრანსფორმაციის ნიშნები, ბერძნული და ადგილობრივი თემების ურთიერთგავლენა.

2	რომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ახ. წ. I-IV საუკუნეებში	<b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b> 6.1. - ისტორია და არქეოლოგია;  <b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b> 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი	2024-2028 წწ.	ირინე ვარშალომიძე
---	--	--	---------------	-------------------

**ანოტაცია:**

2025 წელს დასრულდა საკვლევო თემის – „რომაული მონეტების განძი ჭარნალიდან“ – შესწავლა. აღნიშნული საკვლევო თემა წარმოადგენს ქვე-პროექტის – „რომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ახ. წ. I-IV საუკუნეებში“ – შემადგენელ ნაწილს.

ახ. წ. I-IV სს-ში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიის, აქ განლაგებული რომაული თავდაცვითი ხაზის ფუნქციონირების, გარნიზონის ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის, ეკონომიკური ყოფის და კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის სრულყოფილად შესწავლისათვის ინფორმაციულია აჭარის სანაპირო ზოლში, სოფელ ჭარნალში გამოვლენილი რომის იმპერიის მონეტები, რომელიც სრულად პირველად ქვეყნდება.

სოფელი მახო მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქ ბათუმიდან დაახლოებით 14 კილომეტრის დაშორებით. ჩვენი საკვლევი თემა შეეხება ჭარნალში შემთხვევით გამოვლენილ სპილენძის მონეტებს, რომელთა რაოდენობა 230 ცალს აღემატება. მონეტები კერძო პირისაგან შეიძინა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ და ინახება გონიოს მუზეუმში. საფასურები აქამდე გამოუქვეყნებელი იყო.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**  
 2025 წელს მოხდა მონეტების ფოტოფიქსაცია, ზომა-წონის განსაზღვრა, დაახლოებით 100 მონეტის აღწერა, დათარიღება და ზარაფხანის დადგენა.

**შუალედური შედეგები:**  
 მონეტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მონეტები მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელებით: პრობუსი (277-282 წწ.), დიოკლეტიანე (284-305 წწ.), მაქსიმიანუსი (286-310 წწ). III საუკუნის II ნახევრის მონეტები აღმოჩენილია მახოში, ჩაქვში, ციხისძირში, ბიჭვინთაში, სოხუმში. ისინი ძირითადად, სპილენძისაა და მოჭრილია რომში, ანტიოქიაში, ქიზიკში, სხვა ზარაფხანები – მედიოლანუმი, ტიცინუმი, სისცია, თესალონიკა – თითო ცალითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდში არმიას ხელფასი ძირითადად სპილენძის მონეტების სახით ურიგდებოდათ. ამაზე მიუთითებს ე. წ. საარმიო ტიპი, წარწერა „დიდება არმიას“, ვიქტორია, ჯარისკაცები შუბებით და ა. შ. ჭარნალში გამოვლენილი სპილენძის მონეტები რომის ჯარისკაცების კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

3	აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები;	<b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b> 6.1. - ისტორია და არქეოლოგია;  <b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b> 7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები	2024-2028 წწ.	ტარიელ ებრალიძე, სულხან მამულაძე
---	--	--	---------------	----------------------------------

**ანოტაცია:**  
 2025 წელს, მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ოქროპილაურის, ჩხუტუნეთისა და ყოროლისთავის ციხე-კოშკების ტერიტორიაზე, ასევე, განხორციელდა ქვედა სამების ნაეკლესიარის შესწავლის პირველი ეტაპიც. პარალელურად, მიმდინარეობს თითოეულ ძეგლზე მოკვლეული არტეფაქტების შესწავლა.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

ოქროპილაურის და ჩხუტუნეთის (მაჭახლის ხეობა) ციხეების ტერიტორიებზე ჩატარდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები (ეტაპი II). (დაგეგმილი ამოცანების გარდა, დამატებით, მოხდა ყოროლისთავის ციხისა და ქვედა სამების ნაეკლესიარის შესწავლა).

**შუალედური შედეგები:**

**1.ოქროპილაურის ციხის ტერიტორიაზე 2025 წელს წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შუალედური შედეგები**

ოქროპილაურის ციხე მდებარეობს ჩირუხისა და ტბეთის (უჩამბის, სამოლეთის) წყლის შესართავთან (GPS კოორდინატები: 41.61344098880839, 42.183577596540644; 41.61349313683991, 42.18353200219988). აგებულია მდინარეების ხერთვისის მარცხენა მხარეს, შემადლებულ კლდოვან ბორცვზე, საიდანაც, უღრუბლო ამინდის შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება მარეთისა და უჩამბის ხეობების საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის ვიზუალური კონტროლი.

ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარე წლის 1-20 აგვისტოში ჩატარდა.

ციხე არაწესიერი ოვალური მოყვანილობისაა. ერთი მხარე მომრგვალებული აქვს, ხოლო მეორე ოთხკუთხა. აშენებულია კლდოვანი მასივის თხემზე, რომელიც დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. მშენებლობაში გამოყენებულია დაუმუშავებელი ფილა ქვები და კირდუღები. ციხის ზომები, განსაკუთრებით სიგანე, განსაზღვრული ჩანს კლდის თხემის ზომების მიხედვით. ციხის სიგრძე (დასავლეთიდან აღმოსავლეთის ხაზი) 18,35 მ-ია, სიგანეში საკმაოდ ვიწროა და 4,50, 5,75, 8,20 მ-ს შორის მერყეობს. სამი მხრიდან ციცაბო კლდეები და ფერდობები ციხეს მიუდგომელს ხდიდა, ერთადერთი რთულად მისადგომი მონაკვეთი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს იყო.

ციხეს ცალკე გამოყოფილი გალავანი და კოშკები არ ქონია. კედლებს შორის მოქცეული შიდა სივრცე სამ არათანაბარ (ზომები: I – 3,50-3,15 მ, II – 6,65-6 მ, III – 4,50-2,10-3,10 მ) ნაწილადაა (განყოფილებად) გაყოფილი. შედარებით კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები (სიმაღლე 8-10 მ-ს შორის მერყეობს). სამხრეთისა და დასავლეთის კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია (შემორჩენილი სიმაღლე დაახ. 3,20-3,50 მ). გარე კედლების სისქე სხვადასხვა მონაკვეთში 1,20, 1,70 მ-მდეა. პირველი და მეორე (ცენტრალური) განყოფილების გამყოფი კედლის სისქე 80 სმ-ია.

კედლების წყობაში შემორჩენილია ოთხკუთხა და წრიული მოყვანილობის საკოჭბეები, რომლის მიხედვით ნაგებობა სამი სართულისა მაინც უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებში დატანილი სათვალთვალო ნიშები კარგადაა დაცული.

ცენტრალური განყოფილების (II) იატაკი წარმოადგენს კლდის თხემის მოსწორებულ ბაქანს, რომელიც გვერდითი განყოფილებების (I და III) იატაკის დონესთან შედარებით მაღლა მდებარეობს. გვერდითი განყოფილებების იატაკი დამრეც კლდოვან ქანზეა გამართული მიწის მოტკეპნისა და მოსწორების გზით. იატაკის ზედაპირი თხელი კირხსნარის ფენით უნდა ყოფილიყო დაფარული.

ციხის მესამე განყოფილების იატაკში აღმოჩნდა ქვევრის ნაშთები. გადარჩენილია მისი ქვედა კორპუსის ნაწილი. აქვე მოპოვებულია სხვადასხვა ქვევრის პირისა და ტანის ფრაგმენტები, ზოგიერთი მათგანი შემკულია დაბალი ქედებით, რამდენიმეს შემორჩენილი აქვს წითელი წერნაქის კვალი. კერამიკულ ნაკეთობებს შორის გვხვდება ქოთნის, კეცისა და ჯამის ფრაგმენტები. აღმოჩნდა ქედებით შემკული თონის მასიური კედლის ნატეხებიც. საკუთრივ თონე აქ ვერ

მივაკვლიეთ. კულტურული ფენა ძალიან დაზიანებული დაგვხვდა. შუა საუკუნეების მასალებს შორის თანამედროვე მინის ნატეხების მოხვედრა და სხვა „შავი არქეოლოგიის“ კვალს ადასტურებს.

ციხის პირველ და მეორე (ცენტრალურ) განყოფილების გათხრებისას დაფიქსირდა ნაცრისა და ნახშირის საკმაოდ სქელი შრე (40 სმ-დან 1 მ-მდე), რომელშიც არეული იყო ჩაქცეული კედლისა და კერამიკის ფრაგმენტები. კედლები ატარებს ძლიერი ცეცხლის კვალს, კერამიკის ერთი ნაწილი კი მაღალი ტემპერატურის შედეგად დაწიდებულია. აღმოჩენილი მასალით ძნელი დასადგენია ხანძრის გამომწვევი მიზეზები და დრო. მოპოვებულ არტეფაქტებს შორის არ გვხვდება არანაირი საბრძოლო იარაღი, გარდა ორი ცალი ქვის ბირთვისა, რომელიც შეიძლება თავად მეციხოვნეებს ეკუთვნოდეთ. ძეგლზე მხოლოდ განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქვევრების, ქოთნების, ჯამების სასმისების, კეცების ფრაგმენტებია აღმოჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ გვიან შუა საუკუნეებში ციხე აღარ ფუნქციონირებს. ის რომ ციხე არ აღუდგენიათ ეს არცაა გასაკვირი. მცირე ზომის ციხე-სიმაგრეების უმეტესობა, რომლებსაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შიდა და გარე უსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ქვეყნის დეცენტრალიზაციისა და აჭარაში ოსმალთა გაბატონების შემდეგ (XVI ს) თავის ფუნქციას კარგავს. თუ როდის დაინგრა ციხე ეს ნახშირის ნიმუშზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი.

ყურადღებას იქცევს ციხის გარეთ, საავტომობილო გზის თავზე, სამკუთხედისებურად წაგრძელებულ კლდოვან მასივზე გამართული წრიული მოყვანილობის თონე. მისი ზედა ნაწილი დაზიანებულია. კარგადაა გადარჩენილი კედლები, რომელიც რამდენიმე რიგად განლაგებული კონცენტრული წრეებით ყოფილა შემკული. დიამ. 60-70 სმ. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ამ მონაკვეთში ნაგებობის კვალი არ დაფიქსირებულა. გათხრებისას ჩნდებოდა ნაცრისა და კერამიკის ფრაგმენტები. მათ შორისაა ვარდულებით, სამკუთხა ჭდეებით, გრძივი ხაზებითა და რომბული ორნამენტებით შემკული თონეების პირისა და ტანის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციხესა თუ მის გარეთ მინიმუმ სამი-ოთხი თონე მაინც უნდა ყოფილიყო. ამ მონაკვეთში ქვევრის, კეცის, ჯამისა და ქოთნის ფრაგმენტებიც იყო მიმოხილული.

ოქროპილაურის ციხე დარჩიძეების, მახალაკიძეების და ცინარეთის საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ერთად, ახორციელებდა კონტროლს არა მარტო აქ გამავალ მაგისტრალზე, არამედ ამ გზით დაკავშირებულ მხარეებზეც.

## **2. ჩხუტუნეთის ციხის ტერიტორიაზე 2025 წელს წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შუალედური შედეგები**

2025 წლის 7 ივლისიდან 31 აგვისტოს პერიოდში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეგიდით, საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს ვაწარმოებდით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში მდებარე ჩხუტუნეთის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე.

არქეოლოგიური სამუშაოები მიზნად ისახავდა 2024 წელს დაწყებული ჩხუტუნეთის ციხე-სიმაგრის არქეოლოგიური კვლევების გაგრძელებას. მიმდინარე წელს სამუშაოებს, ძირითადად, ვაწარმოებდით ციხე-სიმაგრის გალავნის შიდა ტერიტორიაზე. ამ მხრივ, კომპის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მივაკვლიეთ 4x2.25 მ ფართობის მინაშენს, რომლის სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია ქვის წყობის სამი ფენა, მისი დასავლეთ ნაწილი კი ჩამოშლილია. რაც შეეხება

ჩრდილოეთ მონაკვეთს, აქ ფიქსირდება შესასვლელი კარი, სადაც კარის ზღურბლისთვის სპეციალურად დაუმუშავებიათ მასიური ქვის ლოდი. სავარაუდებელია, რომ აქ ხის კარი უნდა ჰქონოდათ, რომლის სიგანეც 0.95 მეტრს შეადგენდა. შემოსასვლელიდან დაახლოებით 1.45 მეტრის მოშორებით სპეციალურად მომზადებულ თიხნარ ნაწილში გაუმართავთ ერთმანეთზე მიდგმული ორი პურის საცხობი თონე. რაც შეეხება უშუალოდ თონეებს, შემორჩენილია 8-10 სმ სისქის ყავისფერმინარევიანი კეცის, მრგვალი ფორმის ორი თონე. პირველის დიამეტრი 1.1-ს, ხოლო მეორის 0.98 მეტრს შეადგენს.

აღნიშნული ტერიტორიის იატაკი, როგორც ჩანს, კირხსნარით უნდა ყოფილიყო მოგებული, მისი მცირე ნაშთები 3-4 სმ სისქის ფენის სახით თონეების სამხრეთ-დასავლეთით ნაწილშია შემორჩენილი. ციხის ნგრევის კვალი თონეებზეც არის ასახული. მასში ჩაყრილია სხვადასხვა ზომის ქვები, რომელიც მიუთითებს, რომ აღნიშნული ნგრევის პროცესის შემდეგ ეს საცხობი აღარ აღუდგენიათ. განსხვავებით რეგიონში მიკვლეული სხვა თონეებისგან, აქ ვარდული, ან რაიმე ტიპის ორნამენტაცია არ შეინიშნება.

მეტად საინტერესო ნაგებობის ნაშთებს მივაკვლიეთ კოშკის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, თონის შესასვლელის მიმდებარედ, იატაკის სიმაღლიდან 20 სმ-ით დაბლა, მთელს სიგრძეზე ფიქსირდება 60 სმ სიფართის, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთით-აღმოსავლეთისკენ მიმართული კედელი. ჭრილში ჩანს, რომ მასზე ზემოდან მოგებული იყო 10 სმ სისქის კირხსნარიანი იატაკი და მისგან 20 სმ-ის ზემოთ ისევ, როგორც ჩანს, ხელმეორედ, მოუგიათ. ჩანს, რომ აღნიშნული ხელახალი იატაკის დონე, თონეების მონაკვეთის იატაკის დონის თანადროულია.

ასევე, მიმდინარე წელს, გავწმინდეთ კოშკის შესასვლელიც, რომელიც მას აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. როგორც ჩანს, ის კოშკის ნგრევის შედეგად ამოვსებულა. მისი სიფართე 90 სმ-ს, ხოლო სიგრძე 135 სმ-ს შეადგენს.

რაც შეეხება ციხის გალავნის შიგნით არსებულ გვირაბის საწყის მონაკვეთს, მისი გაწმენდისას სამი საფეხური გამოიკვეთა. საინტერესოა ისიც, რომ გვირაბის მიმდებარედ, ციხის აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიუყვება ადგილობრივი ჯიშის ქვისგან ამოყვანილი კედელი, რომლის ზომებიც რელიეფის შესაბამისად მერყეობს. ჩანს, რომ გვირაბის სამხრეთ კედელი ამ მონაკვეთზეა მიბჯენილი, ხოლო ჩრდილოეთი-გარე გალავანზე. ასევე, აქვე, ჩანს რომ, გვირაბის ციხის შიდა ტერიტორიასთან დასაკავშირებლად, რელიეფიდან გამომდინარე საჭირო გამხდარა საფეხურების მოწყობა, რომელიც როგორც შიდა ციხისკენ, ისე წყლის რეზერვუართან მისასვლელადაც გამოიყენებოდა.

ციხის ჩრდილოეთ მონაკვეთში გავწმინდეთ №1 და №2 გალავანს შორის სივრცე. გვირაბიდან დაახლოებით 10 მ-ის მოშორებით №1 და №2 გალავნებს შორის მოგვიანო პერიოდში გაუმართავთ №2 გალავნის გასამაგრებელი, მართობულად მიბჯენილი კედელი, რომელიც, როგორც გალავანს, ისე ფერდობსაც ამაგრებდა.

რელიეფიდან გამომდინარე, ჩანს რომ, ყველაზე დაუცველი იყო აღმოსავლეთ მონაკვეთი, რის გამოც მშენებლებს აქ, ფერდობის ძირში, 3-4 წყობა ქვის კედელი აუგიათ, რომელიც, ვფიქრობთ რომ, როგორც ფერდობის გასამაგრებელ, ისე დამატებითი გალავნის, ბარიერის, ფუნქციასაც ასრულებდა.

თანამედროვე ასასვლელის მარჯვნივ შეინიშნება საკმაოდ მასიური, ქვემოდან ფართო, ზემოთ შევიწროებული კედელი, რომელიც, როგორც ჩანს, ჩრდილოეთით მიმავალ კედელთან იკვრებოდა და კეტავდა ასასვლელს.

რაც შეეხება გვირაბს, ის კოშკის ჩრდილოეთ მონაკვეთში მდებარეობს და მისი ამჟამინდელი სიგრძე 30 მეტრს შეადგენს. სწორედ გვირაბის ამოსასვლელიდან იწყება გალავნის კედელიც,

რომლის სისქე 1 – 1.2 მეტრს შორის მერყეობს. გვირაბის შესასვლელი ნაწილის კონსტრუქციაში დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის ფოსოები. ისინი, როგორც ჩანს, მის ჩამკეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

აღსანიშნავის ისიც, რომ ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად საკმაო რაოდენობის მასალა იქნა მოპოვებული. წამყვანია კერამიკული ნაკეთობანი, როგორცაა: ქვევრებისა და დერგების პირისა და ტანის ნატეხები, ქოთნების, კეცების, ჯამების, დოქების, სასმისების, და სხვ. ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე, ფაიანსისა და მოჭიქული კერამიკის ნატეხები. საკმაო რაოდენობით გვხვდება გვიანშუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ჩიბუხებიც. მრავლად იქნა აღმოჩენილი დიდი ზომის ბირთვების, სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნებისა და მოგვიანო პერიოდის ლითონის მასალები.

ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის სტილისა და მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ ორი კულტურული ფენა: 1. შუასაუკუნეების XI-XV სს. და 2. ოსმალური პერიოდის XVI-XIX სს-ები.

არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად, ვაწარმოეთ მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვითი სამუშაოები, რომლის შედეგადაც, სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მივაკვლიეთ მეგალითური (პირველადი ვარაუდით) ძეგლის ნაშთებს. ძეგლი, მასიური, სხვადასხვა ზომის (1.5; 2; 2.5; 3 მ სიმაღლის), საგანგებოდ დადგმული კარგად თლილი ქვებისგან შედგება. ასევე, ჩრდილოეთით, დაახლოებით 15 მეტრის მოშორებით, ასევე, სპეციალურად განთავსებული ორი მასიური ქვის ლოდია ჩადგმული. ძეგლის საერთო ტერიტორია 200 მ<sup>2</sup>-ზე დიდ ფართობს მოიცავს. ამავე ძეგლის მოშორებით, სამხრეთ-დასავლეთით, ასევე მივაკვლიეთ ნამოსახლარების ნაშთებს. პირველადი ვარაუდითაც, ჩანს რომ, დასახლება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განლაგებული და როგორც საცხოვრებელ, ისე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს მოიცავდა. მოვახერხეთ სხვადასხვა კარგად შემორჩენილი ნაშთების აზომვა-ჩახატვაც.

გარდა ამისა, დაზვერვითი დაზვერვითი სამუშაოების პერიოდში, მივაკვლიეთ რამდენიმე საწნახლისა და ღია ტიპის მარნის ნაშთებსაც. მათ შორის აღსანიშნავია, ერთ-ერთი ადგილობრივის, ედუარდ კახიძის საკარმიდამო ნაკვეთში მიკვლეული ქვევრების ნაშთები. რელიეფის გათვალისწინებით, ტერიტორია ხელსაყრელი იქნებოდა აქ მარნის განსათავსებლად, თუმცა, ამას, რასაკვირველია, სამომავლო კვლევები ცხადყოფს. ასევე, სოფელ ჩიქუნეთში, ამირან მალაყმაძის ნაკვეთში მივაკვლიეთ საწნახლის ნაშთებს. მოვახერხეთ ტერიტორიის ზედაპირული გაწმენდაც, თუმცა, ქვევრის, ან რაიმე სხვა ტიპის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ.

### **3. ქვედა სამების ნაეკლესიარზე 2025 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შუალედური შედეგები**

2025 წლის 10 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომლის მიზანს წარმოადგენდა განვითარებული შუა საუკუნეების ნაეკლესიარის შესწავლა.

ქვედა სამება მდებარეობს კინტრიშის ხეობის მარცხენა მხარეს, ქ. ქობულეთიდან 6 კმ-ის დაშორებით (GPS კოორდინატები: N 41°47.460' E041°50.252'). ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ხელნაწერ ფონდში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (შეგროვებულია გასული საუკუნის 50-იან წლებში) მიხედვით სოფელში ორი ნასაყდრალი - „თეთრაულისა“ და „გორგილაურის“ - იყო შემორჩენილი (ქათამაძე, 1958). დღეს მათ შესახებ ცნობები მივიწყებულია

და ამ ეტაპზე ვერ ვახდენთ რომელიმე მათგანის ჩვენ მიერ შესასწავლ ძეგლთან იდენტიფიცირებას.

ძეგლი თანამედროვე სამაროვნის სიახლოვეს მდებარეობს, ჯ. გოგიტიძის საკარმიდამო ნაკვეთში. ეკლესია ბორცვის თავზე, ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში აუგიათ. სამი მხრიდან (ჩრდილოეთი, დასავლეთი, სამხრეთი) ქონია საკმაოდ მოზრდილი ეზო, რომელიც ტრადიციულად სამაროვნად გამოუყენებიათ. ნაეკლესიართან, ჩრდილოეთ ფერდობზე აღმოჩნდა ღია ტიპის მარანიც.

შესასწავლი ტერიტორია მცენარეთა საფარისაგან თითქმის გაწმენდილი დაგვხვდა ნაეკლესიარის კედლების ირგვლივ არსებული მონაკვეთების გარდა. ტექნიკის გამოყენებით მოხსნილი იყო ზედა ჰუმუსოვანი ფენაც. ამიტომაც სამუშაოები პირველ რიგში გასათხრელი ფართობის აგეგმვითა (ნაეკლესიარი და სამაროვანი ექცევა - NO სექტორი, კვადრატები 1, 2, 3, 4, 11, 12, 13, 14, 21, 22, 23, 24, 31, 32, 33. კვადრატის ზომები - 4x4 მ ) და კორდოვანი ფენის, ნაგებობის კედლებთან შემორჩენილი გადაჭრილი ხის კუნძების აღებით დავიწყეთ. თხრილი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით (ტაბ. IX).

ეკლესია დანგრეულია და ქვების დიდი ნაწილი გაზიდული. მთლიანადაა განადგურებული აღმოსავლეთი მონაკვეთი. ნაეკლესიარის შემორჩენილი კედლები, ზედა მონაკვეთში გვიანდელია, რასაც სამშენებლო მასალად ცემენტის გამოყენება მიუთითებს. გათხრებმა აჩვენა, რომ იგი მიუყვება ძველი ნაგებობის გეგმას და დაშენებულია მის ნანგრევებზე (ნაწილობრივ დაცულია ერთი რიგი).

ტექნიკური თვალსაზრისით ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა შემდეგია: კედლები დაზიანებულია - მორყეულია და დეფორმირებული. სამხრეთისა და დასავლეთი კედლების შეერთების კუთხეს აქვს ვერტიკალურად მიმართული ბზარები. ბზარები შეინიშნება საპირე ქვებზეც. სამხრეთ კედელზე, ქვების ამოვარდნის შედეგად, გაჩენილია ხვრელი. ქვის წყობებს შორის სივრცე წყლის ინტენსიური ზემოქმედების შედეგად დარეცხილია. შემაკავშირებელი სამშენებლო მასალა (ცემენტი) ცუდ მდგომარეობაშია და ზოგიერთ მონაკვეთში (განსაკუთრებით ქვედა) თითქმის დაშლილი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ნაეკლესიარი სხვადასხვა დროს გამხდარა „მოყვარულ არქეოლოგთა“ კვლევის ობიექტი, რასაც მნიშვნელოვნად დაუზიანებია როგორც ნაგებობა, ისე მის ირგვლივ არსებული კულტურული ფენები.

ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობაა. გეგმაში წარმოადგენს ერთიან სწორკუთხედს. კედლები სხვადასხვა ზომის, დაუმუშავებელი ქვებითაა ამოყვანილი მოყვითალო თიხნარ ნიადაგზე. ძირის წყობა ნაწილობრივ მიწაში იყო მოქცეული და საკმაოდ სქელ და მძიმე კედლებთან ერთად ინარჩუნებდა ეკლესიის მედეგობას. რიგების ჰორიზონტალობა არაა დაცული. ერთგან, პირველი რიგის ქვის წყობაში შემაკავშირებლად გამოყენებული ჩანს თიხამიწა, ხოლო შემდეგი (მოგვიანო) წყობები ქვიშითა და ცემენტის დუღაბითაა ნაგები. უსწორმასწორო პერანგის ქვებს შორის სივრცე ზოგიერთ მონაკვეთში წვრილი, ფლეთილი ქვებითაა შევსებული.

შემორჩენილი კედლები სხვადასხვაა ზომისაა:

ჩრდილოეთი კედელი - სიგრძე გარეთა მხარეს - 5,20 მ-ია, შიდა მხარეს - 4 მ; სიმაღლე გარეთა მხარეს - 1,40 სმ, შიდა მხარეს - 80 სმ; კედლის სიგანე - 90 სმ.

სამხრეთი კედელი (ზედა ნაწილში პერანგის ქვები შემოცლილი აქვს). - სიგრძე გარეთა მხარეს - 3,60 მ, შიდა მხარეს - 3,60 მ; სიმაღლე გარეთა მხარეს - 3,10 მ, აქედან პერანგის ქვები შემორჩენილია მხოლოდ 70 სმ სიმაღლეზე, შიდა მხარეს - 3,20 მ, აქედან პერანგის ქვები შემორჩენილია 1, 20 მ. სიმაღლეზე; კედლის სიგანე - 85 სმ.

დასავლეთი კედელი - სიგრძე გარეთა მხარეს - 4,70 მ, შიდა მხარეს - 3,10 მ; სიმაღლე გარეთა მხარეს - 1,20x3,30 მ, შიდა მხარეს 30x60x1,20 მ; კედლის სიგანე 90 სმ.

დარბაზის სიგანე - 3,10 მ-ია.

მიუხედავად იმისა, რომ ნაეკლესიარის აღმოსავლეთი მონაკვეთი მთლიანადაა განადგურებული, შემორჩენილი ზომები და გეგმა გვაფიქრებინებს, რომ ეკლესია უაფსიდო იყო. შესასვლელი კი სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში უნდა ქონოდა. ნაგებობის ორფერდა გადახურვა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელზე გადებულ საბჯენ კონსტრუქციას უნდა დაყრდნობოდა. გეგმის სიმარტივე, სამშენებლო მასალა (პერანგის ქვები) და მისი დამუშავების ხარისხი მოწმობს, რომ მშენებლობა ყველა სოციალური ფენისათვის იქნებოდა ხელმისაწვდომი. ხელოვნებათმცოდნე მ. ჭიჭილეიშვილი ფიქრობს, რომ ქვედა სამების ნაეკლესიარი განვითარებული შუა საუკუნეების ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც XIII საუკუნის შემდგომ პერიოდში უნდა აეგოთ, რასაც კედლის წყობის ხასიათით ხსნის (ჭიჭილეიშვილი, 2019:96-97). არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ძეგლზე დაფიქსირებული სხვადასხვა სამშენებლო პერიოდი, აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების ნივთიერი მასალა, ვფიქრობთ იძლევა იმის საშუალებას, რომ წინასწარ (დამატებითი ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარებამდე) ვთქვათ, რომ ეკლესია XIII საუკუნემდე უნდა აგებულიყო. რომლის დანგრევის შემდეგ, შედარებით გვიან, არაუადრეს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა. ძველი ნაეკლესიარი აღუდგენიათ, სადაც კედლების შემაკავშირებლად ცემენტია გამოყენებული.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტაძრების ძირითადი ნაწილი ერთნავიან დარბაზულ ეკლესიებს წარმოადგენს და ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ყველა ეტაზე გვხვდება. აჭარაში მათი მშენებლობის უწყვეტი ხაზი IX-XIII საუკუნეების განმავლობაში შეინიშნება. (მამულაძე, 1993:72-100; კახიძე, მამულაძე, 2016:93-100; ებრალიძე სურმანიძე, 2019; სურმანიძე, ებრალიძე, ასლანიშვილი, 2021). მკვეთრად გამოყოფილი აფსიდოანი ეკლესიების პარალელურად დადასტურებულია უაფსიდოებიც (ფურტიოს, თიკანაურისა და ჯვართანის ნაეკლესიარები) (მამულაძე, 1993:85-86; სურმანიძე, ებრალიძე, 2019). ბუნებრივია, ამ მხრივ არც კონტრიშის ხეობა ჩანს გამონაკლისი.

IX საუკუნის ბოლოს, პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ საეპისკოპოსოს კათედრა ხინოში გადაინაცვლა, რომლის იურისდიქცია სამხრეთით მდ. ჭოროხამდე ვრცელდებოდა (ქართლის ცხოვრება, 1973:791; დიასამიძე, 2009:72-74). ხინოწმინდის საეპისკოპოსომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება. მიუხედავად გვიან შუა საუკუნეებში, ოსმალთა მოძალების გამო შექმნილი მძიმე პოლოტიკური და კულტურული მდგომარეობისა ამ კუთხეში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესია-მონასტრების მშენებლობა XVII საუკუნემდე არ შეწყვეტილა (ჭიჭილეიშვილი, 2019:97).

არქეოლოგიური სამუშაოებისას დადგინდა, რომ ნაეკლესიარის გარეთ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ, შემორჩენილი იყო თავის ქალის, ყბისა და კიდურების ფრაგმენტები (ტაბ. VI/2, VII/1). ძვლოვანი მასალა დარღვეული სამარხებიდან მომდინარეობდა და მათთან ერთად ალაგ-ალად სხვადასხვა ეპოქის ლითონისა (ბრინჯაოს ნაღვენთი, ოსმალური ახჩა) და კერამიკის (ფაიანსისა და მოჭიქული ჭურჭლის) უსახური ფრაგმენტებიც შერეოდა.

დარღვეული აღმოჩნდა დასავლეთ კედელთან გამართული სამარხებიც, სადაც, მიცვალებულის ძვლები (თანამედროვე ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე) უწესრიგოდ იყო მიყრილი კედელთან და ამ მონაკვეთში დაფიქსირებული სამარხი ორმოებიდან დაახ. 30 სმ-ით მაღლა მდებარეობდა (ტაბ. V, VI/1, VII/2). პრეპარირებულ სამარხ ორმოში (თანამედროვე ზედაპირიდან ორმო იწყება 70 სმ-დან და ვრცელდება 90 სმ-მდე. სიფართე 30) ძვლოვანი მასალა არ შემორჩენილა (ტაბ. VI/2).

ნაეკლესიარის სამხრეთი კედლიდან 3 მ დაშორებით გავავლეთ საკონტროლო თხრილი. მოყავისფრო თიხატკეპნილი ფენის ალების შემდეგ, თანამედროვე ზედაპირიდან 80-85 სმ

სიღრმეზე გამოჩნდა მოყვითალო თიხნარი გრუნტი, რომელშიც კარგად შემოიხაზა ორი სამარხი ორმოს კონტური. თხრილის ჭრილის მიხედვით აღმოსავლეთითა და სამხრეთით სხვა სამარხებიცაა გამართული. საანგარიშო წელს თხრილის გაფართოვება ვერ შევძელით.

კონტურების მიხედვითაც კარგად ჩანდა, რომ სამარხები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი, ერთი სამარხის (№2) დასავლეთი მხარე ოდნავ გადახრილია ჩრდილოეთით. შესაბამისად სამარხებს შორის გამყოფი ზოლი დასავლეთით 15 სმ სიგანისაა, ხოლო აღმოსავლეთით 37 სმ.

სამარხები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ სამარხი ორმოს ზომებით. კუბოს ფორმები და ზომები კი თითქმის ერთნაირია(ტაბ. VIII/1):

სამარხი №1. სამარხი ორმოს სიგრძე 2 მ., სიგანე 1x1,05 მ, სიღრმე 40 სმ. კუბოს ზომები: სიგრძე 1,80, სიგანე 40 x 55 სმ. სამარხი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი №2. სამარხი ორმოსა და კუბოს ზომები ერთმანეთთან თანხვედრაშია, რასაც ადასტურებს სამარხი ორმოს კედლებთან დაფიქსირებული კუბოს ლურსმნები. სიგრძე 1,80 მ., სიგანე 40 x 50 სმ. სამარხი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. თავის მხარე ოდნავ ჩრდილოეთითაა გადახრილი.

მიცვალებულები ხის კუბოში ყოფილან დაკრძალული. სინესტის გამო როგორც ჩონჩხის, ასევე ხის ნაშთები არაა გადარჩენილი. კუბოს ფორმისა და ზომების აღდგენა შესაძლებელი გახდა, In situ მდგომარეობაში შემორჩენილი, ხის კუბოს შექედვისას გამოყენებული რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით. ძირის ლურსმნების ქვედა რიგი გვერდებიდან ჩანს მიჭედებული. სამარხულ ორმოში ხის კუბოს ჩაშვებისა და მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ კუბოზე დაუჭედებიათ სახურავი, რასაც სამარხებში წვერით ქვემოთკენ მიმართული, კუბოს ზედა ლურსმნების აღმოჩენის ფაქტიც ადასტურებს. ზომების მიხედვით მიცვალებულები ზრდასრული ადამიანები იყვნენ, კუბოში ისინი გამოტილნი მოუთავსებიათ. თავით დასავლეთით. ორივე სამარხის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ფეხების არეში აღმოჩნდა წყვილი რკინის, ბოლოებგახსნილი, ნახევარკალისებრი მოყვანილობის რგოლები (ტაბ. VIII/2). ფოტოფიქსაციის შემდეგ, ნივთები, დაშლის თავიდან აცილების მიზნით, მიწიანად ამოვჭერით. გაწმენდამდე დაზუსტებით ვერ ვიტყვით ისინი მიცვალებულს ფეხებზე ეკეთა თუ კუბოს სახურავი იყო გაფორმებული, რომელიც სახურავის ჩაქცევისა და ხის გაქრობის შემდეგ დარჩა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთი სამარხი ოდნავ ჩრდილოეთითაა გადახრილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი ტიპის გადახრები წელიწადის დროებთანაა დაკავშირებული და იშვიათადაა გამოყენებული ქრისტიანული სამარხების გამართვისას. ერთეული შემთხვევები აჭარის შუა საუკუნეების სამარხების შესწავლის დროსაცაა დაფიქსირებული. რადგანაც დასავლეთ საქართველოს შუა ფეოდალური ხანის ამ ტიპის სამარხები თითქმის არ არის გამოვლენილი და შესწავლილი (მამულაძე, 1993:118; კახიძე, მამულაძე, 2016:101). აქედან გამომდინარე სათანადო პარალელების მოტანა ჯერჯერობით ჭირს.

სამარხების ეკლესიის გარშემო თავმოყრა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეკლესიის ირგვლივ არსებული ტერიტორია ყველაზე საპატიო და გამორჩეულ ადგილებად ითვლებოდა. ქობულეთ-ფიჭვნარის, ბოზოყვათისა და ციხისძირის მაგალითზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამარხების საეკლესიო ნაგებობებთან დაახლოება ადრეული შუა საუკუნეებიდან იწყება (კახიძე, მამულაძე, 2016) აღმოსავლეთ საქართველოში კი ეს პროცესი IX საუკუნიდან დასტურდება, ხოლო მასობრივ ხასიათს X საუკუნეში ღებულობს (მამულაძე, 1993:127). ვფიქრობთ, რომ ქვედა სამების ნაეკლესიარზე გამოვლენილი სამარხები, სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. სამარხები, რომლის დარღვევის შედეგად ამოყრილი ძვლები ნაეკლესიარის კედლებთანაა თავმოყრილი, გვიანდელ შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ხოლო სამარხები, რომლებიც გაცილებით

ღრმადაა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან (სამარხი №1 და სამარხი №2) გაცილებით ადრეულია კონკრეტული თარიღი სამარხიდან აღებული ნახშირის კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი. გათხრებისას მიკვლეული არქეოლოგიური მასალა არაა მრავალრიცხოვანი. ქრონოლოგიურად ისინი სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებიან.

ყველაზე ადრეულია მოთეთრო ფერის კაჟისაგან დამზადებული საფხეკი (1 ც). ოვალური მოყვანილობის სამუშაო პირი შექმნილი აქვს ზურგის სიბრტყიდან. ამავე მხარეს აჩნია დარტყმის ბურცობი (ტაბ. XV/1). საფხეკის თანადროულია ობსიდიანის ანატკეციც (ტაბ. XV/2). რომელიც ნაეკლესიარის სამხრეთით მოყავისფრო თიხატკეპნილში აღმოჩნდა. ანატკეცს არ აჩნია დამუშავების კვალი. იგი წარმოების ნარჩენს წარმოადგენს. ორივე მათგანი მიკროლითურია და უახლოვდება მდ. კინტრიშის ხეობის სოფლებში - ხუცუბანი, ქობულეთი, კვირიკე, კოხი - ქვის ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებს (გოგიტიძე, 1978; ჩხატარაშვილი, 2023:9-23), რომელთა აბსოლუტური თარიღი ძვ. წ. X-VII ათასწლეულებით შემოიფარგლება (ჩხატარაშვილი, 2023:12-13) და აღნიშნულ ეპოქაში, კინტრიშის ხეობაში ადამიანთა ფართო განსახლებისა და ხანგრძლივი ცხოვრების მიმანიშნებელია. არქეოლოგიური სამუშაოების დროს ნაეკლესიარის დარბაზში დამწვარ დანახშირებულ ფენაში აღმოჩნდა ერთი ცალი სეგმენტისებური იარაღი(ტაბ. XV/3), ხოლო სამხრეთ კედლის გარეთ ჰუმუსში მცირე ზომის ბრინჯაოს ნაღვენთი.

სეგმენტისებური იარაღი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი კომპონენტია, რომელიც კოლხური ცულებისა და თოხების მსგავსად დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ძირითადად გვხვდება „მდნობელთა“ განძებში, რომელთა დიდი ნაწილი დაზიანებულია (ზოგჯერ განზრახ) და პრაქტიკული ფუნქცია დაკარგული აქვს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ განძებს, როგორც ჯართს მელითონეები ხელახალი გადადნობისა და ახალი იარაღის დასამზადებლად აგროვებდნენ. ასევე, ხშირად წირავდნენ მეტალურგთა მფარველ ღვთაებას. ასეთ განძებს შორისაა სოფელ სამების 1905 წლის მონაპოვარი(ტაბ. XV/4), რომელშიც ბრინჯაოს თოხებისა და მცირე ნაღვენთების გარდა სეგმენტისებური იარაღებიც იყო წარმოდგენილი (ქორიძე, 1965:23; რამიშვილი, 1974:15-16). დათარიღებულია ძვ.წ. XII-XI სს-ით. სამი ცალი ბრინჯაოს სეგმენტი, როგორც დასაკრძალავი რიტუალის შემადგენელი ნაწილი, დადასტურებულია სოფელ ხუცუბნის (ესაზღვრება ქვედა სამებას) სამარხშიც (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი) (ქორიძე,1965; რამიშვილი, 1974:18-19; იოსელიანი, 1973:114).

სეგმენტისებური იარაღის პრაქტიკული დანიშნულების საკითხს არაერთი მკვლევარი (ე. პახომოვი, ა. იესენი, მ. ივაშცენკო, ბ. კუფტინი ნ. ტრუბნიკოვა, ლ. სახაროვა, გ. ნიორაძე, ნ. ხომტარია, ო. ჯაფარიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, დ. ქორიძე, გ. ჩიტაია, ო. ღამბაშიძე) შეეხო. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებები ერთმანეთისაგან მკვეთრადაა განსხვავებული. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იარაღი გამოიყენება სადღურგლო სამუშაოს შესასრულებლად - ხის ქერქის საჭრელ ხვეწად, ტყავის დასამუშავებლად, ხორცისა თუ მცენარეულობის საჩეხ-საკეპად. ასევე სეგმენტს განიხილავენ, როგორც სამეურნეო იარაღს - მარტივი სახვნელის კბილანის დამცველი ნაწილი; აქვს ბარის, ნიჩბის ან თოხის ფუნქცია. არსებობს მოსაზრება მათი მონეტის ნაცვლად გამოყენების შესახებაც (რამიშვილი, 1974:66-67).

სოფ. ქვედა სამების ნაეკლესიარის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს სეგმენტი და ნაღვენთი შესაძლებელია იმ განძის ნაწილი იყოს, რომელიც დროთა განმავლობაში, ტერიტორიის სხვადასხვა მიზნით გამოყენებისა და ნიველირების დროს განადგურდა. ასევე არ გამოვრიცხავთ, რომ ზემოთ მითითებული სოფელ სამების განძის (ჩანაწერების მიხედვით JPS კოორდინატები არ იძებნება) შემთხვევითი აღმოჩენა სწორედ ამ ადგილს დაუკავშირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვედა სამების ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არტეფაქტები მწირია, მაინც წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ამ კუთხეში ლითონის წარმოების კვლევის თვალსაზრისით. ასევე საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ეპოქაში, მდ. კინტრიშის ხეობაში (ჩაქვისწყლის აუზთან ერთად) მოქმედებდა მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ლოკალური კერა, რომელსაც ქონდა თავისი საწარმოო უბნები (სახელოსნოები) (ქორიძე, 1965:122). აჭარის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევებით დასტურდება, რომ ლითონის სამსხმელო სახელოსნოები ფუნქციონირებდა ცალკეულ სამოსახლოებთან (ჩავლეიშვილი, 2023:147-148), რომელიც „მდნობელთა“ განძების აღმოჩენის ადგილებთან ახლოს უნდა ყოფილიყო გამართული.

არქეოლოგიური მასალის უმეტესი ნაწილი განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის. წარმოდგენილია მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის, ლითონისა და ქვის ნაკეთობებით (ტაბ. XV-XX).

მცირე ფრაგმენტების მიხედვით, მოჭიქული ჭურჭლებიდან, ძირითადად გამოიყოფა ჯამები. გამოყენებულია ცისფერი, ყვითელი და მწვანე ჭიქური. ერთ-ერთ ფრაგმენტზე კარგად ჩანს, რომ ჭურჭლის ზედაპირი ჯერ თეთრი ანგობითაა დაფარული, ხოლო შემდეგ აქვს გადავლებული ფერადი ჭიქური. ყველა ფრაგმენტის თიხა მოვარდისფროა და სუფთად განლეპილი. აღმოჩენილი ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტების პირი მომრგვალებული და მოყრილია, შიდა ზედაპირი ყვითელი ჭიქურითაა დაფარული, გარეთაზე მონაცვლეობს მწვანე ფერი. ორივე მხარეს პირის კიდე ერთი ან ორი ჰორიზონტალური ზოლითაა შემკული. გარეთა მხრიდან ერთ-ერთ ფრაგმენტს ტალღისებური სამკაულიც აქვს დატანილი. ორი ფრაგმენტი მწვანედ მოჭიქული ლანგარს ეკუთვნის, რომელიც ფართოდაა გადაშლილი, პირის კიდე ტანისგან გამოყოფილია (ტაბ. XVI/1-3). ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი ასევე ფაიანსის ნაკეთობებიც (ტაბ. XVI/4). მოუჭიქავი კერამიკიდან წარმოდგენილია დოქის, ქოთნის, სასმისის ერთეული ფრაგმენტებიც. გაცილებით მეტია კეცისა. აღმოჩენილ ნიმუშებს ახასიათებთ მომრგვალებული პირი, დაბალი მხრები და სქელი ძირ-კედელი (ტაბ. XVII/3). მსგავსი ტიპის კეცები საკმაოდ ხშირად ჩნდება შუა საუკუნეების საეკლესიო და საფორტიფიკაციო ძეგლებზე და მის ფორმებსა და დამზადების ტექნიკაში საუკუნეების განმავლობაში ცვლილებები არ შეინიშნება. თიხის კეცთან ერთად აღმოჩენილია ქვის კეცის ფრაგმენტიც (ტაბ. XVII/3). ქვისაგანაა დამზადებული ერთი ცალი არც თუ ისე ღრმა ტევადობის ჯამო, რომელსაც აქვს ოდნავ გამოკვეთილი, სქელი ძირი (ტაბ. XVII/2). ქვის ნაკეთობებიდან წარმოდგენილია ბირთვები და შურდულის ქვები (ტაბ. XVII/5). საეკლესიო ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ზარაკი (ტაბ. XVIII/2). მსხლისებური მოყვანილობის. მკვეთრად გამოყოფილი აქვს ყუნწი. ტანის ზედა მონაკვეთი სადაა, ქვედა კანელურებითაა დაფარული. აქვე აღმოჩნდა კოვზი (ტაბ. XVIII/2), რომლის ხელის თავი და შუა ნაწილში გაფორმებულია. ლითონის ნაკეთობებიდან გვხვდება რკინის ჯვრის ფრაგმენტები. აქ, შემთხვევით აღმოჩენილი ჯვრები ქობულეთის მუზეუმშიცაა დაცული (ტაბ. XVIII/1). ყველა მათგანს აქვს ბრტყელგანივკვეთიანი მკვლავები, რომლებიც ერთმანეთს უერთდება თითო მანჭვალით. დაბოლოებები სწორხაზოვანი, მომრგვალებული ან ნახევარკალისებური ჩალრმავეებით ხასიათდება. რაოდენობრივად აქისა და სიმონეთის აღმოჩენების მსგავსად საყურადღებოა. ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალაში გვხვდება რკინის საკეტებისა და მრგვალთავიანი ლურსმნის ფრაგმენტებიც (ტაბ. XIX).

ყველაზე დიდი რაოდენობით ნუმიზმატიკური მასალა გვხვდება. ძირითადად ოსმალური მონეტებია წარმოდგენილი. მათ შორის გამოიყოფა ახჩები, ფარები (5 და 20) და ყურუშები. ახჩები ვერცხლისაა, ხოლო ფარა სპილენძის. ამ ეტაპზე (გაწმენდამდე) ამოკითხული 2 მონეტები მოჭრილია სულთნების - სელიმ III (1789-1807 წწ.), მაჰმუდ II (1808-1839 წწ.), აბდულ მეჯიდ I

(1839-1861 წწ.) სახელით. ზოგიერთზე კარგად ჩანს სულთნის მონოგრამა (თულრა), მოჭრის თარიღი (ჰიჯრა) და ადგილი (კონსტანტინეპოლი). ახჩების ერთი ნაწილი გახვრეტილია.

ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება, რომ აქარაში გახვრეტილ მონეტებს (განსაკუთრებით ვერცხლისას) ზოგჯერ სამკაულადაც იყენებდნენ.

ოსმალური მონეტების გარდა გვხვდება სამი საბჭოთა ფულიც - 2 და 3 კაპიკი, მოჭრილია 1931 წელს, ხოლო 15 კაპიკი - 1932 წელს.

---

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაეკლესიართან, ბორცვის ჩრდილოეთ ფერდობზე, აღმოჩნდა ღია ტიპის მარანიც, რომელიც საგანგებოდ მოსწორებულ მოედანზეა გამართული. ტერიტორიის მცენარეთა საფარისაგან გაწმენდის შემდეგ ავეგემეთ გასათხრელი ფართობი (სექტორი NO, კვადრატები 29-30, 39-40). ეკლესიის ნანგრევებიდან ეს მონაკვეთი 18 მ-ითაა დაშორებული. თხრილი დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (8x6მ). არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა 13 ქვევრი (ტაბ. X/1; XIII). სავარაუდოდ, ქვევრები გაუთხრელ ფართობშიც უნდა იყოს დაფლული. საანგარიშო წელს თხრილის გაფართოვება, მარნის გავრცელების საზღვრების დაზუსტება და ერთიანი სურათის გამოკვეთა ვერ მოხერხდა. გამოჩენილი ქვევრების დაზიანებების გათვალისწინებით, თავი შევიკავეთ მათი სრული პრეპარაციისაგან (დროებით დავაკონსერვეთ). შესაბამისად, დღეს, შემოვიფარგლებით მხოლოდ აღმოჩენილი ქვევრების ზოგადი დახასიათებით.

ქვევრების ჩასადგმელი ორმოები მოყვითალო გრუნტშია ჩაჭრილი და კარგად იხაზება მათი კონტურები. ორმოებისა და ქვევრების კედლებს შორის სივრცე შევსებულია 10-15 სმ სისქის ნესტგაუმტარი თიხის ფენით. ერთ-ერთი ქვევრის (№7) ძირი სხვა ქვევრის კედლის ნატეხებზე იყო დადებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორმოში თავდაპირველად სხვა ქვევრი უნდა ყოფილიყო ჩადგმული, იგი დაზიანების შემდეგ ახლით ჩაუნაცვლებიათ. მისგან სამხრეთ-დასავლეთით, გრუნტში შემოიხაზა წრიული ორმოს კონტური (№4), პრეპარაციის შემდეგ დადგინდა, რომ აქაც, თავის დროზე, ჩადგმული უნდა ყოფილიყო საშუალო ზომის ქვევრი, რომელიც დაზიანების შემდეგ ამოუღიათ, ხოლო ახალი აღარ ჩაუდგამთ.

ყველა ქვევრი ერთმანეთისაგან განსხვავებულია ზომებით, ფორმებითა და შემკულობით. დიდი და მცირე ქვევრები ძირითადად ერთმანეთის გვერდით, ბუდეებადაა განლაგებული (ტაბ. X). პატარა ზომის ქვევრები, სავარაუდოდ, ღვინის გადასაღებად და დასავარგებლად იყო განკუთვნილი.

ქვევრი №1. აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. აღმოჩენილი ქვევრებისაგან განცალკევებით. ჯერჯერობით, თხრილის გაფართოვებამდე ვერ ვიტყვიტ ცალკე იყო დაფლული თუ სხვა ქვევრებთან ერთად დაჯგუფებით. ქვევრის გამოჩენილი ტანი სადაა, კასრისებური მოყვანილობის. მოყავისფრო. არათანაბრად გამომწვარი. პირი, ყელი და მხრის ნაწილი ქვევრში ჩანს ჩაქცეული. მხრის არე შემკულია მკვეთრად გამოყვანილი ქედებით. ტანის დიამეტრი 60 სმ, ქვევრის გამოჩენილი სიმაღლე 45-50 სმ, კეცის სისქე 1 სმ.

ქვევრი №2. პატარა ზომის. ყავისფერკევიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მომტვრეული აქვს პირ-ყელი. ქონია სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, რომლის ზედა გვირგვინი ბრტყელია. პირზე ამოკაწრულია ჯვარი. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა და ძირისაკენ დაგრძელებული. ქვევრის გამოჩენილი ნაწილი სადაა. ზედაპირი დაზარებულია. პირის გვირგვინის სიგანე 4 სმ., მხრის დიამ. 40 სმ., კეცის სისქე 0,8 სმ., ტანის ზედა გამოჩენილი კორპუსის სიმაღლე 24 სმ.

ქვევრი №3. პატარა ზომის. ყავისფერკევიანი. თიხა მსხვილმარცვლოვანი. მომტვრეული აქვს პირ-ყელის მცირე მონაკვეთი. ზედაპირი დაზარებულია. ხასიათდება ბრტყელი პირითა და დაბალი, მხრისკენ თანდათან გაფართოებული ყელით. მხარი მომრგვალებულია. პირის

გვირგვინის ქვემოთ, ყელის დასაწყისი შემკულია ოვალური მოყვანილობის „თითისებრი“ ანაბეჭდებით. პირის დიამ. 20 სმ, გვირგვინის სიგანე 3 სმ, კეცის სისქე 1,5 სმ, გამოჩენილი სიმაღლე 30 სმ, მხრის დიამ. 53 სმ. ფაქტურითა და მხრის მოყვანილობით გავს №7 ქვევრს.

ქვევრი №4. პრეპარაცია გაუკეთდა ორმოს, რომელსაც ქვევრის მოხაზულობა ქონდა. ალაგ-ალაგ შემორჩენილი იყო ორმოს კედელზე მკვრივად ჩამჯდარი ყავისფერკეციანი, თხელკედლიანი ქვევრის კედლის ფრაგმენტები. როგორც ჩანს ორმოდან დაზიანებული ქვევრი ამოუღიათ, მის ნაცვლად კი ახალი არ ჩაუდგამთ. გაწმენდილი ორმოს კონტურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ქვევრს ქონია კვერცხისებური ტანი, რომელიც ძირისკენ რამდენადმე დაგრძელებულია. ორმოს დიამ. 60 სმ, სიღრმე 66 სმ.

ქვევრი №5. ყავისფერკეციანი. ქვევრის ზედა მონაკვეთი მთლიანადაა დამტვრეული. გამოჩენილი ტანი დაზიანებულია და პრეპარაციის დროს მცირე ფრაგმენტებად იშლება, ამიტომ ამ ეტაპზე მისი სრული პრეპარაციისაგან თავი შევიკავეთ. ქვევრის დიამეტრი მუცლის არეში 54 სმ, კედლის სისქე 1 სმ, გამოჩენილი სიმაღლე 54 სმ.

ქვევრი №6. ყავისფერკეციანი. მომტვრეული აქვს პირ-ყელი და მხარი. ტანი დაზიანებულია. ქვევრი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ფრაგმენტის სახით შემორჩენილია ბრტყელი პირი, დაბალი მხრისაკენ თანდათან გაფართოებული ყელი. ძირი ტანისაგან ოდნავ გამოყოფილი, დისკოსებური. პირის დიამ 16 სმ, პირის გვირგვინის სიფართე 2,2 სმ, ტანის დიამ. მუცლის არეში 48 სმ, შემორჩენილი სიმაღლე 54 სმ, ძირის დიამ. 7 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ. ქვევრი №7. ყავისფერკეციანი. არათანაბრად გამოძწვარი. ხასიათდება ბრტყელი პირითა და დაბალი ყელით. მხარი მომრგვალებული, ტანის ქვედა კალთა ძირისაკენ შევიწროვებული. ძირი დისკოსებური, ტანისაგან ოდნავ გამოკვეთილია. ქვევრის ძირი დაზიანებულია სხვა ქვევრის კედლის ფრაგმენტებზე. პირის გარეთა გვერდი შემკულია ერთმანეთისაგან 7-8 სმ-ით დაშორებული მოკლე ვერტიკალური ზოლებით (ნაჭდევებით), სულ 8 ცალი. მათ ბოლოებზე შემორჩენილია გამოწვამდე შესრულებული კვეთის კვალი. ქვევრის შიდა ზედაპირი გაშავებულია. პირის დიამ. 20 სმ., შიდა მხარეს 14 სმ. სიგანე 3 სმ. სიმაღლე 80 სმ, ტანის დიამ. 54 სმ

ქვევრი №8. ყავისფერკეციანი. ქვევრის ზედა მონაკვეთი მთლიანადაა დამტვრეული. გამოჩენილი ტანი დაზიანებულია და პრეპარაციის დროს მცირე ფრაგმენტებად იშლება, ამიტომ ამ ეტაპზე მისი სრული პრეპარაციისაგან თავი შევიკავეთ. გამოჩენილი მონაკვეთის დიამ. 68 სმ, კეცის სისქე 1 სმ, სიმაღლე 32 სმ.

ქვევრი №9. ყავისფერკეციანი. ქვევრის ზედა მონაკვეთი მთლიანადაა დამტვრეული. გამოჩენილი ტანი დაზიანებულია. პრეპარირებულია ტანის შუა ნაწილი, რომელსაც ირგვლივ შემოუყვება წყვილი, ოვალური ჩაღრმავების მქონე (დიამ. 1,5-2 სმ), ერთმანეთთან დაკავშირებული ჭდეების რელიეფური სარტყელი. გამოჩენილი ქვევრის ტანის დიამ. 50 სმ, კეცის სისქე 1,5 სმ, სიმაღლე 40 სმ-ია.

ქვევრი №10. ყავისფერკეციანი. დიდი ზომის. ქვევრის ზედა მონაკვეთი მთლიანადაა წაკვეთილი. გამოჩენილი ტანის ქვედა კორპუსი დაზიანებულია და პრეპარაციის დროს მცირე ფრაგმენტებად იშლება, ამიტომ ამ ეტაპზე მისი სრული პრეპარაციისაგან თავი შევიკავეთ. ტანს ირგვლივ შემოუყვება სადა ქედებითა და მათ შორის მოქცეული, ჭდეებით შემკული ტალღისებური ორნამენტის თითო რიგი. ძირისკენ ქვევრი მხოლოდ, ერთმანეთისაგან დაშორებული ქედებითაა გაფორმებული. ტანის დიამ. 84 სმ, შემორჩენილი სიმაღლე 80 სმ, კეცის სისქე 1,5 სმ. ქვევრი დიდი ზომის ქვებით დაუმტვრევიათ.

ქვევრი №11. თიხა რუხი-მონაცრისფრო, განატეხში მოყავისფრო. შემორჩენილია ქვევრის მხრისა და ტანის ერთი გვერდი. მეორე ნაწილი, რომელიც №13 ქვევრის კედელთან იყო

მიდგმული, არაა დაცული. მხრის არე ვერტიკალური, სავარცხლისებრი ხაზებითაა დაფარული, ტანის არე სადაა. დიამ. 62 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ. შემორჩენილი სიმაღლე 70 სმ.

ქვევრი №12. ყავისფერკეციანი. მომტვრეული აქვს პირ-ყელი და მხარი. ტანი დაზარულია. ქვევრი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ფრაგმენტის სახით შემორჩენილი პირი შესქელებულია, ზედა გვირგვინი ბრტყელია, ხოლო გარეთა ოდნავ მომრგვალებული. ტანის დიამ. 47 სმ, კედლის სისქე 1 სმ, გამოჩენილი სიმაღლე 20 სმ.

ქვევრი №13. დიდი ზომის. ყავისფერკეციანი. შემორჩენილია ტანის ქვედა ნახევარი, პრეპარაციის შედეგად დადასტურდა, რომ მისი ზედა ნაწილი თვით ქვევრში იყო ჩაქცეული. ეს ქვევრიც დიდი ზომის ქვებით დაუმტვრევიათ. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ ყელის დასაწყისთან შემოუყვება წიბოებიანი ოვალური ჩაღრმავების მქონე, ერთმანეთთან დაკავშირებული ჭდეების რელიეფური ზოლი. ყელის დანარჩენი ნაწილი და კორპუსის ზედა შევიწროვებული მონაკვეთი დაფარულია მჭიდროდ განლაგებული მკვეთრი წიბოების მქონე ჰორიზონტალური ღარებით. შემორჩენილი ტანის დიამ. 84 სმ, კედლის სისქე 1,5 სმ.

ქვედა სამების მარანი ეკლესიის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. საქართველოში თითქმის ყველა ეკლესიას ქონდა საკუთარი მარანი თუ ქვევრი. საეკლესიო მეურნეობაში ვენახს სასულიერო პირები უვლიდნენ, ღვინოსაც თავად აყენებდნენ (ჭილაშვილი, 2004:119; ფრუიძე, 2018:24-36; მირველაშვილი, მალრაძემ 2015:121; კახიძე, 2019:317).

საეკლესიო მარნები აჭარაში გვხვდება თხილვანაში, ვერნებში, სხალთაში, ჯაბნიძეებში, (კახიძე, მამულაძე, 2016:14), ჩაქვის ჩაისუბანში (შემთხვევით აღმოჩნდა 2024 წელს). ეთნოგრაფიული მონაცემებით ქვევრები კინტრიშის ხეობის, ჯერ კიდევ არქეოლოგიურად შეუსწავლელი სოფლების - აჭყვისთავის, ცხემლარას, ტყემაკარავის, ჭახათის ნაეკლესიარებზეცაა დადასტურებული (ხალვაში, 1947:19, 35-36; კახიძე, 2019:265)).

ქვედა სამების ნაეკლესიართან არსებული მარანი ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მაჩვენებელია. ვახუშტი ბატონიშვილი კინტრიშის ხეობას (ხინოს ხეობა) „ვენახ-ხილიან და მოსავლიან“ კუთხედ მოიხსენიებს (ბატონიშვილი, 1941:175). ქობულეთელ მთხრობელთა მეხსიერებაში ვაზის ძველი ჯიშების შესახებ ცნობები ბევრი არ შემონახულა. საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ძირითადად მაღლარი ჯიშებია გავრცელებული. ესენია: ჩხავერი, კლარჯული, თეთრუმი, სამარხი, ხოფათური, ადესა, კაჭიჭი, ჭეიშვილი, თეთრი, ადესა, ტაკიმურა, ბათუმურა (ბაქრაძე, 1987:153; კახიძე, 1980; კახიძე, 2019:265). სოფელ ქობულეთში, მუხანესტატეში, ხუცუბანში, სამებაში, კვირიკეში, აჭყვისთავსა და ალამბარში მევენახეობა ისევე ყოფილა განვითარებული, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში (კახიძე, 2019: 266).

ქვედა სამების მარანს ფუნქციონირება ოსმალთა ბატონობის გავლენის შედეგად უნდა შეეწყვიტა. ცნობილია, რომ აჭარაში ეკლესიების გაუქმებასთან ერთად მოიშალა საეკლესიო მეურნეობაც. ისლამის კანონმდებლობის შესაბამისად დაპყრობილ რეგიონში აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება (კახიძე, 2009: 317-319). მიუხედავად ამისა გვიანობამდე (XIX ს-ის პირველ ნახევრამდე მაინც), ჯერ კიდევ, ქრისტიანად დარჩენილი ოჯახები, მაღულად მაინც ახერხებდა ღვინის დაყენებას (კახიძე, 2009: 317-318). რეგულაციებისადმი დაუმორჩილებლობას ზოგჯერ დამატებითი ზომების გატარება მოსდევდა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ საღვინე ჭურჭლების განზრახ დაზიანება. აჭარის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრებისა თუ, უკვე შესწავლილი, მარნების - ჩაქვის ჩაისუბანი (აღმოჩნდა 2024 წ. არაა გამოქვეყნებული), ზესოფელი, კაპნისთავი (კახიძე, სურმანიძე, ფარტენაძე, 2018; დუმბაძე, ფარტენაძე, 2021: 225; კახიძე, შალიკაძე, ნაგერვაძე, 2017: 54) - მიხედვით ჩანს, რომ ქვევრები, სადაც ხდებოდა ღვინის დაწურვა-დაყენება, მოზრდილი ქვებითაა ჩალეწილი. ანალოგიური სურათი

გამოიკვეთა ქვედა სამების ნაეკლესიარის მარანზე, სადაც დიდი ზომის ქვევრები (№10 და 13), სხვა ძეგლების მსგავსად დაუმტვრევიათ. ---- ქვედა სამების ნაეკლესიარზე არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ჩვენი ყურადღება მიიქცია ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილმა ხის თაყვანისცემის ტრადიციამ. ნაეკლესიარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან ამოსული ურთხმელის ხის (ტაბ. I/2, II) შესახებ მოვისმინეთ აქაურთა შეხედულებები. რესპოდენტების (ა. კახიძე, მ. ბლადაძე) თქმით სოფელში ეს ხე სხვაგან არ გვხვდება და გადმოცემით, ის მხოლოდ წმინდა ადგილას (ნაეკლესიარებზე) იზრდება. მისი მოჭრა არ შეიძლება. ჩვენ გავითვალისწინეთ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი და ურთხმელის ხე უვნებლად დავტოვეთ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გადმოცემებითა და წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოში გაფეტიშებული იყო არა მხოლოდ ურთხმელის ხე, არამედ რცხილა, მუხა, ნაძვი და სხვა. ეკლესიის გარშემო არსებული ე. წ. „ხატის ტყეები“ „ხატის მამულები“ წმინდად ითვლებოდა და ამ ადგილებში იკრძალებოდა ხის მოჭრა, ტოტის მოტეხა. უფრო მეტიც, ბუნებრივად მოტეხილი ხის გატანაც კი არ შეიძლებოდა. ცოდვად ითვლებოდა შეწირული ნივთების აღება (ხალვაში, 1947:6-7, 16, 34..., იოსელიანი. 1973: 52-53; ლომთათიძე, 2019: 311-312).

ხის საკრალიზება და წმინდა ტყეების არსებობა დასტურდება, კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აზიის, ევროპის ხალხებში. ხეების თაყვანისცემის ტრადიციას საფუძვლად უნდა დადებოდა წარმოდგენები ხის, როგორც ცოცხალი არსების შესახებ, რომელიც განასახიერებდა რომელიმე ღვთაებას ან მის საუფლოს (დუდუშაური, 2000: 85; ლომთათიძე, 2019: 312).

აჭარის მუზეუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში, კინტრიშის ხეობის შესახებ დაცული ცნობების მიხედვით ჩანს, რომ XX საუკუნის 40-60-იან წლებში, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო საკულტო ტყეებისა თუ ხეების შესახებ არსებული რწმენა-წარმოდგენები. ეს ყველაზე კარგად იკვეთება სოფ. სამებაში - თეთრაულის ნასაყდრალის, სოფ. ხუცუბანში - თეთროსნის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარის, სოფ. ქობულეთში - ინაიშვილების ნასაყდრალის, სოფ. ჭახათში - ნოღაიდელეების ნასაყდრალის, სოფ. კოხში - ხუტაძის ნასაყდრალის, აჭისა და აჭყვისთავის ნასაყდრალის ირგვლივ შეგროვებულ ეთნოგრაფიულ მასალებში (ხალვაში, 1947: 13-4, 18-19; ქათამაძე, 1960: 55-56; ლომთათიძე, 2019: 312; სურმანიძე, 2007: 14).

კინტრიშის ხეობის მაგალითზე დასტურდება, რომ ნასაყდრალებსა თუ ნასაყდრალებთან არსებულ ტყეებში ე. წ. „ნაზრალევის ქვასთან“ ხშირად მიჰქონდათ შესაწირავი: ნამცხვარი, ქათამი, სანთელი, ნაჭრები, ფერადი ძაფები, საუკეთესო შესაწირავად ითვლებოდა თეთრი მამალი და, ზოგჯერ ლითონის ნივთებიც (რკინის ან ბრინჯაოს ჯვარი, ნემსი, ლურსმანი, წალდი და ა. შ. (ხალვაში, 1947: 5-19; ქათამაძე, 1960: 55-56). არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენს მიერ ქვედა სამების ნაეკლესიარზე აღმოჩენილი ზოგიერთი ლითონის ნაკეთობა (რკინის ჯვრები, ლითონის კოვზი და ზარაკი, სპილენძისა და ვერცხლის ოსმალური მონეტები, რკინის ლურსმანი) ასეთ შესაწირს წარმოადგენდა.

დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „ჩურუქ-სუ სულ ერთიან გამუსლიმანებულა, თუმცა ქრისტიანობის კვალი ჯერ კიდევ შემორჩენილა. გზაში მაჩვენეს რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია, სახელდობრ სამებაში, ვარჯანაულში, ხუცუბანსა და გვარაში... ჩურუქსუს ტაძრები ნანგრევებად ქცეულა, მაგრამ მაინც ადგილობრივი მცხოვრები, ვერ ვიტყვით პატივს სცემენო, უბრალოდ ემინიათ: ჩვეულებრივ ავადმყოფობას, ყოველგვარ უბედურებას ოჯახში, საქონლის გაწყდომას ისინი ხშირად მიაწერენ მათ მიერ მიტოვებული ტაძრებისა და მათი ხატების რისხვას. ამიტომ არის, რომ დროდადრო მათ სწირავენ ცხვრებს, ქათმებს და სხვა“ (ბაქრაძე, 1987: 19-20).

ქვედა სამების ნაეკლესიარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვი, სადაც განვითარებულ შუა საუკუნეებში ეკლესია აუგიათ, ჯერ კიდევ, პრეისტორიულ ხანაში ჩანს ათვისებული. მიუხედავად ტერიტორიის სხვადასხვა დროს ნიველირებისა მაინცაა შემორჩენილი ამ პერიოდის მცირე რაოდენობის არტეფაქტები. ნაეკლესიარსა და მასთან არსებული სამაროვნის კვლევებმაც აჩვენა, რომ ძეგლი სხვადასხვა დროს გამხდარა ძარცვის ობიექტი. რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა აქ არსებული კულტურული ფენები.

#### **4. ყოროლისთავის ციხის ტერიტორიაზე 2025 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შუალედური შედეგები**

2025 წელს, 15 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოები ვაწარმოეთ ყოროლისთავის ციხის ტერიტორიაზე. ძეგლი მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მდინარე ყოროლისთავის მარცხენა მხარეს მდებარე კლდოვან ბორცვზე მდებარეობს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 315 მეტრია. ციხე-სიმაგრის სამხრეთით ჩამოედინება შედარებით მცირე ზომის მდინარე საყორნია, რომელიც მდინარე ყოროლისთავის მარცხენა შენაკადია. რაც შეეხება უშუალოდ ძეგლს, დღეისათვის შემორჩენილია კოშკი და მის აღმოსავლეთით მდებარე გალავნის ნაშთები. ციხე-სიმაგრის შიდა ტერიტორია დაახლოებით 300 მ<sup>2</sup> ფართობს მოიცავს. ციხის შედარებით ნაკლებად დაცული მხარე აღმოსავლეთ ნაწილია, შესაბამისად, მშენებლებს სწორედ ეს მხარე გაუმაგრებიათ მასიური სისქის მქონე გალავნით. გალავნის დღეისათვის ყველაზე უკეთ შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 10 მეტრს აჭარბებს, თუმცა, ნგრევის კვალის გათვალისწინებით, ის თავდაპირველად ბევრად უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. აქვე, კარგად ჩანს, რომ ციხე-სიმაგრეს შესასვლელი კარიბჭე სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდა. კარის სიგანე 80 სმ უნდა ყოფილიყო, ხოლო სიმაღლე 1.6 მეტრი. გალავნის კედლის ამ ნაწილში კარგად ჩანს სათოფურებიც, რომელიც ცხადყოფს, რომ მთელი ეს კონსტრუქცია განვითარებულ შუა საუკუნეებში ამოუყვანიათ, თუმცა, საძირკვლის კედლები ამჟამად ადრეულია.

ციხე-სიმაგრის შიდა ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გამართულია საკმაოდ დაზიანებული კოშკი, რომელიც ნაგებია ადგილზე მოჭრილი კლდის ფლეთილი ქვით, არაწესიერი წყობით. როგორც ჩანს, მშენებლებს დროის სიმცირის, ან სხვა მიზეზთა გამო, კოშკის მშენებლობისას მისი კედლების პროპორციულობაზე ნაკლებად უფიქრიათ, შესაბამისად, ნაგებობის კედლებიც არათანაბარია. მისი შიდა ფართობი 30 მ<sup>2</sup>-ია. ნაგებობის კედლების სიგრძე 6.8x6.2 მეტრია, კედლის სისქე კი 90 სმ-დან 1 მეტრამდე მერყეობს. მისი სიმაღლე კი 2.5-3.5 მეტრს აღწევს. კოშკის მთელი შიდა ტერიტორია დაფარულია ჩამონგრეული მასით.

ამ ეტაპზე, ზედაპირული დაკვირვებით, ციხე-სიმაგრის შიდა სივრცის დაგეგმარების, გალავნის სრული კონფიგურაციის და მსგავს სიმაგრეთა კომპლექსში შემავალ სხვა ნაგებობათა (წყლის რეზერვუარის; თონე; სამეურნეო დანიშნულების სათავსოები და სხვ.) შესახებ უფრო მეტის თქმა რთულია, ვიდრე არ მოხდება ძეგლის სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევა.

ხანგრძლივობა: 2024-2028 წწ.

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„ანტიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისათვის“	6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6.1. - ისტორია და არქეოლოგია;	2024-2028 წწ.	უჩა ოქროპირიძე
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>შესწავლილია სხვადასხვა ავტორ-მეცნიერთა, თუ საეკლესიო პირთა მიერ ანტიმოზ ივერიელის მიმართ გამოთქმული ის მოსაზრებანი, რომლებიც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ამაღლებულ სტილში წარმოაჩენენ; აგრეთვე, ჩენს მიერ განხილულია ამავე პიროვნების მიმართ გამოთქმული მოსაზრებანი რუმინულ და ქართულ, ამასთან სხვა ქვეყნების ჟურნალისტიკაში; ამავე თვალსაზრისით დამუშავებულია დიდძალი საისტორიო და ლიტერატურული მასალები ქართულ ენაზე ანტიმოზ ივერიელის ბიოგრაფიის სრული ვერსიის შესაქმნელად, აპრობირებულია შესაძლო ახალი ვერსიების დამუშავება ანტიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თანამედროვე ვერსიების შესამუშავებლად.</p>				
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>საკვლევ თემასთან დაკავშირებით განხორციელდა წყაროებისა და დოკუმენტების მოძიება-შესწავლა, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, ინტერნეტ-მასალების მოძიება-დამუშავება. დამუშავდა საკითხის ირგვლივ ადრე მოპოვებული ლიტერატურა და წყაროები, ისინი დალაგდა ნაშრომისათვის გათვალისწინებული თავებისა და სტატიების მიხედვით, - ვაგრძელებ მუშაობას მასალათა საბოლოო სრულყოფისა და მათი გამოსაცემად შემზადებისათვის.</p>				
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>მომზადდა სათანადო ნიადაგი, საკვლევ თემასთან დაკავშირებით, სამომავლოდ გათვალისწინებული მონოგრაფიის დასაწერად; საკვლევ თემასთან დაკავშირებით დაიწერა და გამოსაცემად გადაეცა სტატიები: „ამაღლებული ანტიმოზ ივერიელის მიმართ“ და „წმინდა ანტიმოზ ივერიელი — საქართველოსა და რუმინეთს შორის სულიერი და კულტურული კავშირის სიმბოლო“</p>				

- ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება

№	პროექტის დასახელება	მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით)
1	„ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკონი“	<p>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</p> <p>6.2. ენები და ლიტერატურა (ლექსიკოლოგია)</p> <p>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p> <p>7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	2024-2028 წწ.	<p>პროექტის ხელმძღვანელი: ელზა ფუტკარაძე</p> <p>შემსრულებლები: ნარგიზ ახვლედიანი, ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე, ცისნამი ბერიძე, კაკალა ებრალიძე</p>

**ანოტაცია:**

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერულად საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები-აჭარული და ტაო-კლარჯული. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განსაკუთრებით ღირებული და ფასეული ტაო-კლარჯული ლექსიკის კვლევაა. როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დიდხანს შეუსწავლელი იყო ტაო-კლარჯული მეტყველება. დღეს ამ მიმართებით არაერთი ფუნდამენტური კვლევაა. შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალა იძლევა საშუალებას დავაკვირდეთ საკვლევი დიალექტოლოგიური არეალის ლექსიკას. ამასთანავე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ, 2013 წლიდან ტაო-კლარჯეთში სისტემატურად ხორციელდება კომპლექსური ექსპედიციები, რომლის დროსაც მეცნიერთანამშრომელთა მიერ ჩაწერილია ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალა. აღნიშნული მასალაც დამუშავდება და გამოვლენილი სალექსიკონო მასალაც აისახება ლექსიკონში. მუშაობის პერიოდში, ყოველწლიურად ისევ მოეწეობა ექსპედიცია აღნიშნულ მხარეებში. შესაბამისად, სალექსიკონო მასალა გამდიდრდება-გადამოწმდება და დაზუსტდება. ბუნებრივია, ლექსიკონზე მუშაობის დროს, დამუშავდება საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სტატიები.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანი და ზედროულია, რამეთუ იქ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა ნაკლებად ან სულ აღარ იციან ქართული ენა. ენა ხანდაზმულ და შუა ასაკს გადაცილებულებშია შემორჩენილი. ყოველდღიურად კარგავს იქ ქართული ენა საოჯახო ენის ფუნქციას. ამას კომპლექსური მიზეზები განაპირობებს და რეალობაა ის, რომ ენის დავიწყების პროცესი შეუქცევადია. ამიტომ, მოსასწრები და დროულად გადასარჩენ-დასაფიქსირებელია თითოეული სიტყვა. აღნიშნული კვლევის საბოლოო შედეგით - „ტაო-კლარჯული ლექსიკონი“-ხელთ გვექნება დიალექტის სალექსიკონო მასალის პორტრეტი.

ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკური ერთეულების აღწერა და სალექსიკონოდ დამუშავება სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული დიალექტების ლექსიკის შესახებ. მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კვლევით პირველად შემოვა სამეცნიერო მიმოქცევაში საკვლევი დიალექტის ლექსიკონი.

<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალის დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა-განმარტება.</p> <p>მოგზაურთა ნაშრომებისა და შ. ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართული“, I, II, III ტ. დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა-განმარტება,</p> <p>ბსუ-ს ქართველოლოგიური ჯგუფის გამოცემების - “კლარჯეთი“ „შავშეთი“, „ტაო“-დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა- განმარტება,</p> <p>თ. შიოშვილის „კლარჯეთის ფილკლორი“ - დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა-განმარტება,</p> <p>რ. მალაყმადის, ე. ფუტყარაძის, ნ. ჩელებადის „ზედა მაჭახელი“- დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა-განმარტება,</p> <p>ჩვენ მიერ ტაო-კლარჯეთში ექსპედიციების დროს ჩაწერილი ტექსტების დამუშავება, სალექსიკონო ერთეულების ამოწერა-განმარტება.</p>				
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>კვლევის მიზნების შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოებით განსაზღვრული მასალიდან, ბარათებზე ამოწერილია ლექსიკური ერთეული კონტექსტით, შესაბამისი განმარტებით.</p>				
2	„ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კვლევა“	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b></p> <p>6.2. ენები და ლიტერატურა</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b></p> <p>7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	2024-2028 წწ.	<p>პროექტის ხელმძღვანელი: <b>ელზა ფუტყარაძე</b></p> <p>შემსრულებელი: <b>ფატი აბაშიძე</b></p>
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>როგორც ცნობილია, ემიგრანტული მწერლობა ქართული მწერლობის განუყოფელი და ორგანული ნაწილია. უცხოეთში მოღვაწე ქართველების მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი შექმნილია ქართულ და უცხოურ ენაზე. ბუნებრივია, ორივე შესასწავლია. ამ მიმართებით კვლევა აქტუალურია. მათი ნააზრევი სიღრმისეულ შესწავლას იმსახურებს. ცნობილია ზოგადი სურათი მათი ღვაწლისა. თითოეული ემიგრანტი მწერლის, პოეტის, ისტორიკოსის, პოლიტიკოსის- მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, ალექსანდრე მანველიშვილის, გიორგი კერესელიძის, მინდია ლაშაურის, აკაკი და თამარ პაპავების, გრიგოლ რობაქიძის, შალვა ამირეჯიბის, გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანის, სიმონიკა ბერეჟიანის და სხვათა შემოქმედება, სრულყოფილადაა საკვლევი.</p> <p>სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია გიორგი ყიფიანის, გიორგი გამყრელიძის, სიმონიკა ბერეჟიანის პოეტური ნააზრევ-ნაფიქრი. მათი ლექსების კრებულები პარიზშია გამოცემული. ჩვენთვის ამ კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი ცნობილია და გვაქვს წვდომა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობის გამოცდილებიდან</p>				

<p>გამომდინარე. ისინი მათ ნაწერებს ბეჭდავდნენ ემიგრანტულ პრესაში. ემიგრანტული პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაცულია სტამბოლის სავანეში.</p> <p>მათი შემოქმედების შესწავლა და საზოგადოებისათვის გაცნობა მნიშვნელოვანია. ამასთანავე, კვლევა მეცნიერული სიახლის იქნება. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპზე, კონკრეტულად და სიღრმისეულად შესწავლილ იქნა გიორგი ყიფიანის პოეზია. ამ ეტაპისათვის დამუშავდა საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე, დამუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული მასალა.</p>				
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>შესწავლილია გიორგი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა;  დამუშავებულია საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა;  გამოცემულია გიორგი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ სტატიები;  გიორგი ყიფიანი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ჩატარდა სემინარი.</p>				
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>კვლევით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად გამოიცა სტატია - ე. ფუტკარაძე, ფ. აბაშიძე, საქართველოს ბედისწერის ნაწილი და რუსთაველის ფეხთა მტვერის მეთათსედი (გ. ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდებიდან);</p> <p>მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, IV, მოხსენებით: მიძღვნილი ლექსები გ. ყიფიანის პოეზიაში; ჩავატარეთ სემინარი - გ. ყიფიანის პოეზია.</p>				
n	<p>მითოსური თქმულება-გადმოცემები აჭარაში. 2025წ.</p>	<p><b>6. - ჰუმანიტარული მეცნიერებანი</b>  6.2. ენები და ლიტერატურა (ფოლკლორი)</p> <p><b>7. - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი</b>  7.5. - ჰუმანიტარული მეცნიერებები</p>	<p>2024-2028 წწ.</p>	<p>პროექტის ხელმძღვანელ-შემსრულებელი:  <b>ნაილე მიქელაძე</b></p>
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>კვლევა ეძღვნება აჭარის თქმულება-გადმოცემების შესწავლას, როგორც რეგიონული ფოლკლორის მნიშვნელოვან ნაწილს. კვლევის მიზანია კონკრეტულად, ქრონოლოგიური სიზუსტით წარმოვადგინოთ და შევისწავლოთ უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის თქმულება-გადმოცემები (ქვის ანიმისტურ კულტთან დაკავშირებული ნარატივები, უძველესი ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების ტრანსფორმაციის საფეხურები, წარმართულ-ქრისტიანული ხანის სახელთა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები). განხილულია ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებიც ასახავს აჭარის ისტორიულ წარსულს, ეთნოკულტურულ თავისებურებებს, რწმენა-წარმოდგენებსა და ყოფით გამოცდილებას.</p>				

<p>განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თქმულებებში რეალური ისტორიული ფაქტებისა და მითოლოგიური ელემენტების ურთიერთკავშირს. პროექტი წარმოაჩენს თქმულება-გადმოცემების როლს კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნებასა და ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებაში და ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას თანამედროვე კულტურულ კვლევებში.</p>
<p><b>საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:</b></p> <p>საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ამოცანები: შევისწავლეთ აჭარის რეგიონთან დაკავშირებული ფოლკლორული წყაროები, სამეცნიერო ნაშრომები და არქივებში დაცული მასალები, რომლებიც ასახავს თქმულება-გადმოცემების თემატურ და ჟანრობრივ თავისებურებებს. ასევე შევავსოვეთ სავსე ექსპედიციების დროს ფოლკლორული მასალები. განხორციელდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერვიუები აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (ხულო, შუახევი, ქედა, ქობულეთი), ჩავიწერეთ ზეპირი გადმოცემები, ლეგენდები და ისტორიული თქმულებები.</p>
<p><b>შუალედური შედეგები:</b></p> <p>მოვახდინეთ მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი. შეგროვებული ფოლკლორული მასალა დამუშავდა თემატური, შინაარსობრივი და სტრუქტურული ნიშნების მიხედვით; გამოიკვეთა მითოლოგიური, ისტორიული და ეთნოკულტურული ელემენტები. გაანალიზდა აჭარის თქმულება-გადმოცემებში ბუნებრივი გარემოს, რელიგიური რწმენებისა და ისტორიული მოვლენების ასახვა. მომზადდა არაერთი საკონფერენციო მოხსენება.</p>

**II. სამეცნიერო საგრანტო პროექტები**

**II.1. ეროვნული დაფინანსებით:**

**II.1.ა. დასრულებული პროექტი/პროექტები (იმ შემთხვევაში, თუ პროექტი/პროექტები დასრულდა საანგარიშო წელს)**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწილე პერსონალის რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურულიდან პროექტში როლის მითითებით
1	<p><b>ჯადოსნური სკივრი მუზეუმიდან</b></p> <p>SPG-24-041</p> <p>2025 წლის იანვარი-ივნისი</p>	<p>სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი)</p>	<p>მკვლევართა ჯგუფი</p>	<p>6 მკვლევარი</p>	<p>ძირითადი შემსრულებლები: ირინე ვარშალომიძე, თამილა ლომთათიძე</p>

**ანოტაცია:**

საგრანტო პროექტის მიზანი არქეოლოგიის მეცნიერების პოპულარიზაციაა და ამ მიზნით სამეცნიერო-პოპულარული ფილმის შექმნა ინგლისური ტიტრებითა და ჟესტური თარგმანით მუზეუმებში დაცულ არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ მასალაზე, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეხმარება არქეოლოგიურ/ისტორიულ მუზეუმში დაცული ნივთების უკეთ აღქმაში, მათი დანიშნულების შესახებ სრული ინფორმაციის მიღებაში. მუზეუმი საზოგადოებრივი მეხსიერების საცავია. აქ დაცული არტეფაქტები კარგი საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომელთა მეშვეობითაც მოზარდები ეზიარებიან სამეცნიერო აღმოჩენებს, მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა კვლევის შედეგებს. მუზეუმის ძირითადი აქტივობები მეტწილად ამ სფეროდანაა და დაკავშირებულია საზოგადოების ყველაზე აქტიურ წევრებთან, ბავშვებთან, თუმცა ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოველთვის არაა, ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება მოზარდთა ჯგუფები სენსორული განვითარების დარღვევით (სმენა, მხედველობა). იმისათვის, რომ მათაც ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია, გაჩნდა იდეა სასწავლო ფილმის შექმნისა, რომლის მოქმედი გმირები მუზეუმის მეცნიერ-მკვლევრებია. ისინი ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ საუბრობენ მუზეუმში დაცული ექსპონატებიდან სპეციალურად შერჩეული ნიმუშების მეშვეობით. ფილმის გარდა შეიქმნა ამ ნივთების მულაჟები მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის, ხოლო სმენის პრობლემის მქონე ბავშვებისათვის ფილმს აქვს ჟესტურ ენაზე თარგმანი.

**II.1.ბ. მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/პროექტების საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწილე პერსონალის რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურულიდან პროექტში როლის მითითებით
1	ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში  FR-23-18809  2024-2026 წწ.	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ფუნდამენტური კვლევების კონკურსი)	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი	5 მკვლევარი + 1 უცხოელი (ყაზახი) კონსულტანტი	პროექტის ხელმძღვანელი: როინ მალაყმაძე  ძირითადი შემსრულებლები: თამილა ლომთათიძე, ოლეგ ჯიბაშვილი

**ანოტაცია:**

პროექტი - „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ - ითვალისწინებს აჭარიდან 1951-1952 წლებში დეპორტირებულთა, მათი ოჯახის

წევრებისა და შთამომავლების ზეპირი ისტორიების შეგროვებას, შესწავლას და გამოცემას. ეს იყო საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ყველაზე ბოლო მასობრივი დეპორტაციები. პროექტის მიზანია შესწავლილი იქნას არა მხოლოდ ამ მოვლენის ისტორიული კონტექსტი, არამედ პროცესების მონაწილეთა ნარატივები საბჭოთა ეპოქის ამ ერთ-ერთი ყველაზე ტრავმული პერიოდის მოვლენის შესახებ, მოვლენების შეფასება რეპრესირებულების მიერ.

ამ მიზნით ხორციელდება როგორც ისტორიული დოკუმენტების და საარქივო მასალის, როგორც ოფიციალური ისტორიული ნარატივის ანალიზი, ასევე, რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრების მეხსიერებაში შემონახული მოვლენების ინტერპრეტაცია, მოცემული ზეპირ ისტორიებში. ამიტომაც კვლევა შედგება ორი კომპონენტისაგან. პირველი კომპონენტი გულისხმობს სახელმწიფოს ხედვის რეპრეზენტაციას, თუ რატომ მოხდა 1951 წელს გადასახლებები აჭარიდან, რა მიზანს ემსახურებოდა ის და როგორი იყო სახელმწიფოს დამოკიდებულება ამასთან მიმართებით. მეორე ნაწილი კი გულისხმობს მსხვერპლთან უშუალო ინტერვიუების საშუალებით აღვადგინოთ მიკროისტორიები, შემონახული რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრების მეხსიერებაში.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა გააგრძელა პროექტთან დაკავშირებული საარქივო და სამუზეუმო მასალების დამუშავება. პროექტისათვის საჭირო ზეპირი ისტორიების შეგროვებისათვის განხორციელდა სამეცნიერო მივლინება ხელვაჩაურის, ქედის შუახევის მუნიციპალიტეტების სოფლებში. მივლინების დროს შეგროვდა რეპრესირებულებისა და მათი ოჯახის წევრების ზეპირი ისტორიები, შესწავლილი იქნა საოჯახო არქივები, შეგროვდა ვიზუალური მასალა (ფოტოები, დოკუმენტების ასლები, წერილები). დაიწყო სამეცნიერო მივლინების მასალების დამუშავება-ანალიზი.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „შავი ზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“- IV, გამოტანილი იქნა სამი მოხსენება:

- დავით ჯიშკარიანი, ოლეგ ჯიბაშვილი - „1951-1952 წლების დეპორტაციების კვალი აჭარის არქივში: ბიუროკრატია, საქმის წარმოება და ლოკალურობა“;
- ირინა შერვაშიძე - „ტრავმული მეხსიერება აჭარაში 1950-იანი წლების რეპრესირების მაგალითზე“;
- მანარა კალიბეკოვა (პროექტის უცხოელი კონსულტანტი) – „თანადგომა აკრძალვის მიუხედავად – ყაზახური თემის დამოკიდებულება 1951-1952 წწ. აჭარიდან დეპორტირებულთა მიმართ“

კონფერენციის პროგრამის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე: <https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/Programme> ). აღნიშნული კონფერენციის მასალები იბეჭდება ინტერნეტ-ფურნალში, რომელიც იბეჭდება ERIH PLUS ბაზაში.

2	აჭარის არქეოლოგიური ძეგლები საინფორმაციო გეოგრაფიულ სისტემაში BS-24-180	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5 მკვლევარი	ძირითადი შემსრულებელი: ირინე ვარშალომიძე
---	--	---	---	-------------	--

	2024-2026 წწ.	კვლევების საგრანტო კონკურსი- შავი ზღვის ლურჯი განვითარება)			
--	---------------	--	--	--	--

**ანოტაცია:**  
აჭარა ზღვისპირა რეგიონია, მდიდარი არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა პერიოდიზაცია პრეისტორიული ხანიდან იწყება. აჭარის ტერიტორიაზე განხორციელებულ სავსელე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა პერიოდის ნივთიერი კულტურის ძეგლები, მათგან ბევრია უნიკალური. ამის საფუძველზე შექმნილია საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ეხმაურება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციების არაერთ აქტუალურ პრობლემას. კვლევის შედეგები ქვეყნდება საქართველოსა და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში, გამოცემულია მონოგრაფიები. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მეცნიერებისათვის, ისე დაინტერესებული პირებისათვის, მაგრამ დღის წესრიგში დადგა ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენების აუცილებლობა.  
პროექტის საბოლოო პროდუქტი იქნება აჭარის ზღვისპირეთის პირველი ელექტრონული არქეოლოგიური რუკა სრული ინფორმაციით აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა არქეოლოგიური ობიექტის შესახებ (ობიექტის დასახელება, ტიპი, ქრონოლოგიური ატრიბუცია (ისტორიული ეპოქა, ზუსტი თარიღი), გეოგრაფიული კოორდინატები, შესწავლის ისტორია, თანდართული ფოტოებით, გრაფიკული ნახაზებით, სტატიებისა და სხვა სახის ნაშრომების pdf ვერსიებით). მიმდინარე საანგარიშო წელს მომზადდა მასალები ქვის ხანიდან დაწყებული ანტიკური ხანის ჩათვლით დათარიღებული ძეგლების შესახებ.

3	<b>პეტრა-ციხისძირის ნუმიზმატიკური საგანძური</b>  FR-24-18115  2025-2028 წწ.	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ფუნდამენტური კვლევების კონკურსი)	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4 მკვლევარი	პროექტის ხელმძღვანელი: <b>ირინე ვარშალომიძე</b>  ძირითადი შემსრულებელი: <b>ნინო ინაიშვილი</b>
---	---	---	---	-------------	---

**ანოტაცია:**  
შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სოფელ ციხისძირში (საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს ისტორიული ციხე-ქალაქი პეტრა, რომლის არქეოლოგიური შესწავლა გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ციხისძირი, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, აქ გამოვლენილი მასალის ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონისა (ძვ. წ. V - ახ. წ. XIX სს.) და სამონეტო ცენტრების სიმრავლიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია. საკვლევ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შემთხვევითი თუ არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილია 700-მდე მონეტა, რომელთა დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია.  
პროექტის მეცნიერულ სიახლეს განსაზღვრავს მისი საკვლევ ობიექტის უნიკალური ხასიათი, ესაა ერთადერთი ძეგლი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც თავს იყრის დიდი

ქრონოლოგიური დიაპაზონის მქონე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მონეტების თავმოყრა, გამოუქვეყნებელი ეგზემპლარების განსაზღვრა, შესწავლა, სრული საკვლევი მასალის ქრონოლოგიურად დალაგება და ქართულ-ინგლისურენოვანი კატალოგის შექმნა. პირველად მოხდება აქ აღმოჩენილი მონეტების XRF (x-ray fluorescence) ანუ რენტგენული ფლუორესცენციის მეთოდით შესწავლა, რაც განსაკუთრებით ეფექტური იქნება ადგილობრივი წარმომავლობის საფასეების შესწავლის საკითხში. საფუძველი ჩაეყრება ადგილობრივი თუ უცხოური მონეტების სინჯადობის ბაზის შექმნას, ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ნუმიზმატიკაში. წიგნში განხილული იქნება საკვლევი არეალის ისტორია წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. ყოველივე ამას შევაჯერებთ აღნიშნული ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან.

მიმდინარე საანგარიშო წელს მოხდა მონეტების ფოტო ფიქსაცია, მეტროლოგიური პარამეტრების დადგენა, კოლხური თეთრების ქიმიური ანალიზი რენტგენული ფლუორესცენციის მეთოდით, ანტიკური და ბიზანტიური მონეტების განსაზღვრა. მკვლევარ ნინო ინაიშვილის მიერ შესრულდა ნაშრომი, რომელშიც განხილულია საკვლევი არეალის ისტორია წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, რაც შემდგომ შეჯერებული იქნება ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან.

4	<p><b>აჭარის რეგიონიდან განსახლებული ეკომიგრანტების ადაპტაცია და ინტეგრაცია საქართველოს ადგილობრივ თემებში</b></p> <p>FR-23-488</p> <p>2024-2026 წწ.</p>	<p>სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ფუნდამენტური კვლევების კონკურსი)</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	6 მკვლევარი	ძირითადი შემსრულებელი: <b>ელზა ფუტკარაძე</b>
---	--	---	--	-------------	--

**ანოტაცია:**

წარმოდგენილი საგრანტო კვლევითი პროექტის მიზანი აჭარის რეგიონიდან განსახლებული ეკომიგრანტების საქართველოს ადგილობრივ თემებში ადაპტაციისა და ინტეგრაციის საკითხების შესწავლაა. საგრანტო პროექტის გეგმა-გრაფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დამუშავდა საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, პრესა და საარქივო ფონდის მასალები. ასევე, მოეწყო ორი ექსპედიცია ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, გარდაბნის, ვაზიანისა და სამეგრელოს სოფლებში ექსპედიცია კომპლექსური იყო და საკვლევ არეალში სოციოლოგიური, ეთნოლოგიური, დიალექტოლოგიური, კონფლიქტოლოგიური კუთხით მიმდინარეობდა საკითხის კვლევა. სამუშაოდ შეირჩა ისეთი დასახლებები, სადაც უმრავლესობაში, ასევე, უმცირესობაში არიან აჭარიდან განსახლებულები

და სახლობენ კომპაქტურადაც. კვლევის შედეგები სამომავლოდ აისახება სამეცნიერო სტატიებში, მოხსენებებსა და საბოლოოდ მონოგრაფიაში.

**II.2. უცხოური დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით:**

**II.2.ა. საანგარიშო წელს დასრულებული პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწილე პერსონალის რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურულიდან პროექტში როლის მითითებით
1					
<i>ანოტაცია:</i>					
2					
<i>ანოტაცია:</i>					
n					
<i>ანოტაცია:</i>					

**II.2.ბ მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/პროექტების საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	წამყვანი ორგანიზაცია	მონაწილე პერსონალის რაოდენობა	მონაწილენი ამ სტრუქტურულიდან პროექტში როლის მითითებით
1					
<i>ანოტაცია:</i>					
2					
<i>ანოტაცია:</i>					
n					
<i>ანოტაცია:</i>					

**III. სამეცნიერო პუბლიკაციები**

**III.1. პუბლიკაციები საქართველოში:**

( ივსება სამეცნიერო/სასწავლო ერთეულის პერსონალის ანბანური სიის მიხედვით. დუბლირებული პუბლიკაციები დატოვეთ ერთ ეგ ზემოპლარად. პუნქტი, რომელიც არასრულად იქნება შევსებული, არ ჩაითვლება.).

**!!! მსხვილი შრიფტით მითითებულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლები**

**III.1.ა. მონოგრაფია/წიგნი:**

№	ავტორ(ებ)ი	სათაური	გამომცემლობა	ISBN (არსებობის შემთხვევაში)	გვერდების რაოდენობა
1	კახიძე ნოდარ	„შუამთობა – აჭარის მთის სახალხო დღესასწაული“	ხულოს მუნიციპალი-ტეტი	–	83
<p><b>ანოტაცია:</b>            ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა მასალების საფუძველზე ნაშრომში შესწავლილია აჭარის ალპური სეზონური დასახლების ზონაში შობილი და ფართოდ გავრცელებული სახალხო დღესასწაული შუამთობა. დადგენილია მისი ადრინდელი სახელწოდება და მნიშვნელობა, ის ფუნქციები და სიახლეები, რაც დღესასწაულმა შეიძინა თანამედროვე ეტაპზე.</p>					
2	მეგრელიშვილი მერაბ, მეგრელიშვილი ნიკოლოზ	„ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“	გამომცემლობა „ფავორიტი“	–	234
<p><b>ანოტაცია:</b>            წიგნში შესულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ინიციატივით ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სხვადასხვა დროს წარდგენილი მოხსენებები.            ქალაქები ყველა ეპოქაში წარმოადგენდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს, რითაც უდიდესი როლი შეასრულეს საერთო ისტორიული პროცესის განვითარებაში. ამიტომ ქალაქთა ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანი და საპატიო საქმეა. საქართველოში ქალაქების ისტორიისადმი ინტერესი XIX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა, აქტიური მეცნიერული კვლევა კი XX საუკუნის შუახანებიდან დაიწყო. ავტორთა ჯგუფის მიერ შეიქმნა თბილისის ისტორიის სამტომეული. გამოიცა მონოგრაფიები საქართველოს სხვა ქალაქების, მათ შორის, ბათუმის შესახებაც (ვ. სიჭინავა - 1958 წ., აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე - 1996 წ., რ. უზუნაძე - 1997 წ.). ამ ნაშრომებს უდავოდ გააჩნიათ სათანადო მეცნიერული ღირებულება, მაგრამ მათში ბათუმის ისტორიის მხოლოდ ცალკეული მონაკვეთებია გაშუქებული და მთლიანობაში ვერ ასახავენ საქალაქო ცხოვრების განვითარების ერთიან სურათს.            ბათუმს საქართველოს ქალაქებს შორის საპატიო ადგილი უკავია. ამიტომ მისი წარსულის და დღევანდელი საფუძვლიანი შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიხატოს მისი მთლიანი ისტორიის შექმნით, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ დაწერილა. პრაქტიკულად, ასევე შეუსწავლელია ბათუმის ქალაქური ფოლკლორი და</p>					

<p>ეთნოგრაფია, ხელოსნობა, რეწვა, არქიტექტურა, საფორტიფიკაციო ნაგებობები, ქალაქის უბნები და სხვა საკითხები. სწორედ მათი კომპლექსური შესწავლა მოგვცემს საშუალებას ბათუმის შესახებ შეიქმნას სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც სრულიად იქნება გადმოცემული ქალაქის წარსული და უახლესი ისტორია.</p>					
3	<p><b>ნარაკიძე ციალა,</b> მგელაძე ნუგზარ, ტუნაძე თემურ, თანდილავა ლილე, თანდილავა იაშა, ჯღარკავა მზია, მგელაძე ბექა</p>	<p>„ლაზური ეთნოლოგიური ლექსიკონი“</p>	<p>გამომცემლობა შპს „საჩინო“</p>	<p>ISBN 978-9941- 9955-5-2</p>	<p>615 გვერდი</p>
<p><b>ანოტაცია:</b> ლაზური ეთნოლოგიური ლექსიკონი ისტორიულად ჩამოყალიბებული იმ ტრადიციული კულტურული ფასეულობის განზოგადების პირველი ცდაა, რომლებიც კოლხთა უშუალო შთამომავლებმა - ლაზებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნეს და შემოინახეს.</p>					
4	<p><b>ფუტკარაძე ელზა,</b> ფუტკარაძე შუმანა, ნოღაიდელი ნანული, ნარაკიძე ციალა, ახვლედიანი ნარგიზ, მიქელაძე ნაილე</p>	<p>„აჭარული დიალექტის ლექსიკონი“</p>	<p>„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი 2025.</p>	<p>ISBN 978-9941- 519-08-6</p>	<p>3-970.</p>
<p><b>ანოტაცია:</b> „აჭარული დიალექტის ლექსიკონში“ 16146 ლექსიკური ერთეულია განმარტებული. განმარტებას ახლავს სათანადო სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციო წინადადებანი (ფრაზები), რაც უფრო გასაგებს ხდის სიტყვის მნიშვნელობას. თითოეული ლექსიკური ერთეული შედარებულია ძველი ქართული ენისა და ქართული ენის დიალექტების ლექსიკონებთან და სალექსიკონო მასალასთან. ლექსიკონში წარმოდგენილი ერთეულები საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. ლექსიკონს აქვს თეორიულ - პრაქტიკული ღირებულება. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა და ლექსიკონის სახით გამოცემა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი, წარმოდგენილია დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი. მას გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.</p>					

III.1.ბ. სახელმძღვანელო:

№	ავტორ(ებ)ი	სათაური	გამომცემლობა	ISBN (არსებობის შემთხვევაში )	გვერდები ს რაოდენო ბა
1					
ანოტაცია:					
2					
ანოტაცია:					
n					
ანოტაცია:					

III.1.გ. სტატია:

№	ავტორ(ებ)ი	სათაური	DOI (არსებობის შემთხვევაში)	ჟურნალის დასახელება, გამომცემლობა, ISSN	ჟურნალის ნომერი, გვერდები
1	ახვლედიანი ნარგიზ, ფუთურიძე მარინე	ხარის კულტი და მისი გამოვლენის ასპექტები ინტერ- დისციპლინურ კვლევაში	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10384">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10384</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ. 384-431
ანოტაცია:					

საკითხით დაინტერესება გასული საუკუნიდანვე შეინიშნებოდა. საკითხს კონკრეტული მიმართულებით სწავლობდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. რობაქიძე, გ. ჩიტაია, ო. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, ა. კახიძე, ზ. თანდილავა, ვ. ბარდაველიძე, ა. ახვლედიანი, დ. ფრეზერი, ფ. კიუმონი. მ. და ნ. ტიერები და სხვ. ნაშრომში ორი სამეცნიერო დარგის შედარებით-შეპირისპირებით ჭრილში გაანალიზებულია ხარის კულტთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური კვლევის საგულისხმო შედეგები.

2	<p><b>ახვლედიანი ნარგიზ,</b> ჩოთალიშვილი ლელა, ჯორბენაძე ნინო</p>	<p>შავიზღვისპირეთი - პროტოქართვე- ლურ ტომთა განსახლების არეალი</p>	<p><a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10361">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10361</a></p>	<p>„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a></p>	<p>№ III,  გვ. 361-370.</p>
---	---	--	--	---	-------------------------------------

**ანოტაცია:**  
სტატიაში განხილული შიდამიგრაციების, ტოპონიმთა და ეთნონიმთა მონაცვლეობის, ყოფის, კულტურის, ხალხთა გადაადგილებების და ბევრი სხვა საჭირობო საკითხი, ეთნოსთა განსახლების არეალის ტოპონიმებშიც აისახება. კვლევა საშუალებას მოგვცემს, თვალი მივადევნოთ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ტომთა გადაადგილების დინამიკასა და მათ ურთიერთობას მეზობელ ტომებთან. ტოპონიმთა ამგვარი სახით შესწავლა-სისტემატიზაცია იმთავითვე გულისხმობს შემდგომი კვლევისა და საკვლევო არეალის გაფართოების პერსპექტივებს.

3	<p><b>ახვლედიანი ნარგიზ</b></p>	<p>კვლავ ტოპონიმ „ბოდიში“-ს შესახებ</p>		<p>რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები,  თსუ</p>	<p>№ XLV,  გვ. 12-17.</p>
---	---------------------------------	---	--	--	-----------------------------------

				არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერე- ბის ინსტიტუ- ტის გამოცემა,  ISBN 978-9941- 36-430-3	
<p><b>ანოტაცია:</b> სტატიაში წარმოდგენილია აჭარის მაღალმთიანეთში დადასტურებული ერთი ტოპონიმის ლინგვისტური ანალიზი, რაც ქართველური (resp. სვანური) ენის მონაცემებით მყარდება. საკვლევი მასალა მოძიებული იქნა ჩვენ მიერ 2025 წლის ივლისში, სვანეთში ინდივიდუალური ექსპედიციის დროს.</p>					
4	<b>ახვლედიანი ნარგიზ,</b> ჩოთალიშვილი ლელა	კავკასიელთა ქალღვთაებები დედა-ღვთაების არქეტიპის ჭრილში	<a href="https://doi.org/10.52340/lac">https://doi.org/10.52340/lac</a>	„ენა და კულტურა“,  გამომცემლობა „მერიდიანი“,  ISSN 1987-7323 E-ISSN 2720- 7900	№ 34,  გვ. 93-98.
<p><b>ანოტაცია:</b> სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიურ მიდგომას და განიხილავს კავკასიელთა ენასა და ყოფაში წარმოდგენილი ქალღვთაებების დედა-ღვთაების კულტთან კავშირს. კავკასიელთა მთავარ ღვთაებას, მსოფლიოს სხვა ხალხების მსგავსად, „დედა“ უნდა რქმეოდა. ამაზე მიუთითებს შედარებითი მასალის საფუძველზე გამოვლენილი მითოსური სახის ერთგვაროვნება და სახელთა იდენტურობა კავკასიის ხალხთა გადმოცემებში – ქალღვთაების სახელწოდება ნანა საერთოკავკასიურ ძირს (-ნან-/-ან) უკავშირდება.</p>					
5	<b>ბაგრატიონი ანა</b>	აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ადაპტაციის საკითხები თანამედროვე ეტაპზე	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10302">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10302</a>	„შავიზღვისპი- რეთი ცივილი- ზაციათა გზა- ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208	№ III  გვ. 663-671

				E-ISSN 2960-9267	
				<a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	

**ანოტაცია:**

საქართველოში შიდა მიგრაციული პროცესები საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზები წარმართავდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აჭარელი მოსახლეობის გადასახლების და მათი ინტეგრაცია-ადაპტაციის საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აჭარიდან შიდა მიგრაციულ პროცესებს წარმართავდა ცალკეული მიზეზები, ძირითადად კი ეკოლოგიური კატასტროფები. ნაშრომში შესწავლილია აჭარელთა გადასახლების მიზეზები, ადგილზე არსებული პრობლემები, რასაც ადგილობრივებთან და ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობების დროს აწყდებოდნენ აჭარელი მიგრანტები. წარმოდგენილია უკუმიგრაციის მიზეზები, განხილულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა პროცესის წარმატებით წარმართვაში.

6	<b>ბაგრატიონი ანა</b>	ინტეგრაცია მრავალეთნიკურ გარემოში: აჭარელი ეკომიგრანტების ადაპტაციის საკითხები სამცხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლში		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 13-24
---	-----------------------	--	--	--	-------------------------

**ანოტაცია:**

აჭარიდან ეკოლოგიური მიზეზებით გადასახლებული მოსახლეობის ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ხანგძლივ ისტორიას ითვლის. კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს, როგორ ინარჩუნებენ ეკომიგრანტები საკუთარ კულტურულ იდენტობას და რა სირთულეებს აწყდებიან მრავალეთნიკურ გარემოში. ასევე ანალიზის საგანია ის, თუ როგორ ხდება ეკომიგრანტთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ადაპტაცია, რა ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები მოქმედებს ამ პროცესში და როგორია სახელმწიფოს როლი მათი ინტეგრაციის მხარდაჭერაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ეკომიგრანტები ცდილობენ კულტურული მემკვიდრეობისა და ოჯახური ტრადიციების შენარჩუნებას, თუმცა ამავე დროს ხშირად განიცდიან „გახლეჩილობას“

ადგილობრივ საზოგადოებაში. ეთნიკური მრავალფეროვნება ზოგიერთ შემთხვევაში ქმნის ინტერკულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობებს, მაგრამ ხშირად აძლიერებს სოციალური დისტანცირების ტენდენციებს. განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა ენობრივი ბარიერები, საკუთრების დაუკანონებლობა და სამართლებრივი გაურკვეველობა, რაც აფერხებს ეკონომიკურ ინტეგრაციას და აძლიერებს დროებითობის განცდას. მიუხედავად ამისა, ოჯახური სოლიდარობა და შიდა სოციალური ქსელები მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებად იქცა.

7	<b>ბაგრატიონი ანა</b>	აჭარიდან წალკაში ჩასახლებულთა უკუმეგრაცია: პირადი მონათხრობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი		საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი - „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“,  გამომცემლობა: „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  ISSN 2449-285X  <a href="http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/779">http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/779</a>	№ XIV, გვ. 400-407
---	-----------------------	---	--	---	-----------------------

**ანოტაცია:**  
 სტატიაში წარმოდგენილია უკუმეგრაციის პროცესები წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებული აჭარის მოსახლეობის მაგალითზე, ასევე აჭარიდან წალკაში გადასახლებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის სირთულეები და უკუმეგრაციის პროცესები. ნაშრომი მიზნად ისახავს უკუმეგრაციის ძირითადი მიზეზების, სახელმწიფო სტრატეგიებისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებზე დაყრდნობით, როდესაც მიგრანტების მოლოდინები — ეკონომიკური გაუმჯობესებისა და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს მიღების — ვერ გამართლდა. კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ ანალიზს, ასევე სავლელ მასალებზე დამყარებულ მსჯელობას. შედეგები აჩვენებს, რომ წალკაში გადასახლებული აჭარის მოსახლეობის ნაწილი გადაადგილდა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი საფრთხეების, არამედ ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების მოლოდინით, თუმცა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის არარსებობამ, სამუშაო ადგილების სიმცირემ, საცხოვრებელი საკუთრების დაურეგულირებლობამ და სოციალურმა დამაბულობამ მათი ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გაართულა. კვლევა ასკვნის, რომ აღნიშნული პირობები, სახელმწიფოს შეზღუდულ მხარდაჭერასთან ერთად, იქცა უკუმეგრაციის მნიშვნელოვანი მამომრავებელი ფაქტორად, რამაც გამოიწვია ასობით ოჯახის მშობლიურ რეგიონებში დაბრუნება. ბოლო

პერიოდში ნაკლებად შეიმჩნევა უკუმიგრაცია, რადგან საცხოვრებელი და ინფრასტრუქტურული პირობები გაუმჯობესდა.

8	<b>ბერიძე ცისნამი</b>	ხატოვანი სიტყვა-თქმები ორი ხეობის მიხედვით (დანდალო, მერისი)	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10385">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10385</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ. 432-441
---	-----------------------	--	---	---	---------------------------

**ანოტაცია:**  
 სტატიაში წარმოდგენილია ხატოვანი სიტყვა-თქმები, რომლებიც ზემო აჭარის ორი ხეობის (მერისი, დანდალო) ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა. ხატოვანი სიტყვა-თქმები ასახავს ხეობების უნიკალობას, მოსახლეობის ენასა და კულტურაში ღრმად ფესვებგადგმულ ყოფით და რელიგიურ წარმოდგენებს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: გარედან ხორუმი ადვილია, გულზე ცეცხლის შენთება, დაიბჯინა ფეხები, დღე მიწაში არ წაგყვება, ენაზე კბილის დაჭერა და სხვა.  
 ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვება, საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ზემო აჭარულისთვის დამახასიათებელი ხატოვანი სიტყვა-თქმები. ეს კვლევა ხსნის გზას შემდგომი, უფრო ღრმა და დეტალური ანალიზისთვის, არა მხოლოდ აჭარული, არამედ ზოგადად, ქართული დიალექტების ხატოვანი სიტყვა-თქმების შესახებ.

9	<b>ებრალიძე კაკალა</b>	ღორჯომის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10387">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10387</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,	№ III,  გვ. 457-466
---	------------------------	---	---	--	---------------------------

				ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	
--	--	--	--	---	--

**ანოტაცია:**  
აჭარულს, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ დიალექტთა შორის. აჭარულისთვის დამახასიათებელია დიალექტური დიფერენციაცია, იგი მდიდარია კილოკავებით. დიალექტი მუდმივად იცვლება, ცვლილებები კი ძირითადად ლექსიკაში, როგორც ენის ყველაზე ცვალებად ნაწილში აისახება. დიალექტის ლექსიკაზე დაკვირვება ყოველთვის საინტერესო და სიახლის მომცემია.  
ღორჯომის ხეობის მეტყველების ლოკალური შესწავლა ავლენს მრავალფეროვან ლექსიკურ შრეებს: არქაულ სიტყვებს (ახელებს, კიდობანი, ნოქარი...), ლექსიკურ დიალექტიზმებს (ბებრევი, დაქცნილი, სხამპალი...) ზანური სუბსტრატის კვალსა (დადე, გიდელი, ოჭივარა...) და უცხოენოვან ერთეულებს (გელინი, ყაზმა, ბედიავა...), რაც მხარეში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების ანარეკლია.

10	<b>ვარშალომიძე ირინე,</b> ძნელაძე ნინო, ციური ქათამაძე	ყალბი ფულის საქმე (ბათუმი XX საუკუნის დასაწყისში)	<a href="https://doi.org/10.52340/gmg2024.01.005">https://doi.org/10.52340/gmg2024.01.005</a>	„მუზეუმი და გლობალიზაცია -2024“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  E-ISSN:2960-9526 ISSN: 2960-9518	№ IV, გვ.125-130
----	--	---	---	--	---------------------

**ანოტაცია:**  
ნაშრომი ეხება ყალბი ფულის საქმეს ბათუმში. ფულადი მიმოქცევის კვლევა XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისის ბათუმში, აქტუალური საკითხია, რადგან მჭიდროდაა დაკავშირებული აქ მიმდინარე გლობალურ ისტორიულ პროცესებთან. XIX ს-ის II ნახევრის რუსეთის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ნიშნების მრავალფეროვნება დაკავშირებული უნდა იყოს ბათუმის, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის ფუნქციასთან, რაც კიდევ უფრო გაიზარდა ბრიტანელთა ინიციატივით ქალაქის ერთი ნაწილის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ. 1878-1886 წწ-ში ბათუმში უბაჟო (თავისუფალი) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეჟიმი ფუნქციონირებდა. აქ შემოდის რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, ოსმალეთის, ირანის, ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, საბერძნეთის, გერმანიის გემები. სავაჭრო ურთიერთობებს მოჰყვებოდა ამ ქვეყნების ფულადი ნიშნების შემოდინებაც.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ და ვაჭრობის გაფართოებამ ყალბი ფულის მიმოქცევისთვის შესაფერისი გარემო შექმნა. არქივში მოვიპოვეთ დოკუმენტები აჭარაში ყალბი ფულის შემოსვლასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ყალბი ფულის ტრიალი ხშირი მოვლენა იყო.

აჭარის საარქივო სამმართველოს მასალებში დაცულია დოკუმენტები გრიფით: საიდუმლოდ, სადაც მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა ღირებულების მქონე (3, 5, 25 რუბლი), ყალბი საკრედიტო ბარათების შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ყველა კუპიურა. გარდა უცხოეთიდან შემოსული ბანკნოტებისა, ყალბი ფული იბეჭდებოდა ქვეყანაშიც. საარქივო დოკუმენტაციამ გამოკვეთა ყალბი ფულის საქმე ბათუმში (ფონ. ი-1; ანაწ.1; საქ. 344). კერძოდ, ბარცხანა-ორთაბათუმში 1908 წელს ყალბი ფულის საამქრო მოქმედებდა, აქ მოჭრილი ფული იმერეთის რეგიონში წარმატებით მიმოიქცეოდა. დოკუმენტებში მოცემულია დეტალები ყალბი ფულის მომჭრელების საქმიანობის, დაკავებისა და დასჯის შესახებ.

11	<b>ლომთათიძე თამილა, ნოღაიდელი ნანული</b>	სამზარეულო, როგორც ეთნომენტალური მარკერი თურქეთის ქართველთა ყოფაში	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10371">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10371</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ. 688-697
----	---	--	---	---	---------------------------

**ანოტაცია:**

ტრადიციული სამზარეულო, რომელიც თავის თავში მრავალ შრეს აერთიანებს, ერთნაირად იწვევს ანთროპოლოგების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მედიკოსების ინტერესს და არაერთი ნაშრომიცაა შექმნილი მასზე. წარმოდგენილი ნაშრომი თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან მრავალწლიანი სავსელე მუშაობის შედეგის ანალიზის ცდაა და ეფუძნება რესპოდენტების მიერ მოწოდებულ მნიშვნელობებსა და მათ მიერ წარმოდგენილ კონტექსტს. სტატიაში სწორედ მათზე დაყრდნობითაა გაანალიზებული სამზარეულოსთან დაკავშირებული დისკურსები და გამოვლენილია მისი, როგორც ეთნომარკერის როლი ქართული იდენტობის შენარჩუნებაში.

12	მალაკმაძე როინ, ლომთათიძე თამილა	თეთრიწყლის იაილები - ქართული იდენტობის ავთენტური ძეგლი თურქეთში	<a href="https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.08">https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.08</a>	„ქართველური მემკვიდრეობა“,  აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე- ტის გამომცემლობა  ISSN 1512-0953  <a href="https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/MalakmadzeRoin.pdf">https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/MalakmadzeRoin.pdf</a>	№ XXIX,  გვ. 78-89
----	--	--	---	---	--------------------------

**ანოტაცია:**

თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის თვითიდენტიფიკაციის მარკერებს წარმოადგენს საერთო ისტორიული მეხსიერება, კულტურული თვითმყოფადობა, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასა და ტრადიციულ ეთნოკულტურულ მემკვიდრეობასთან სულიერი კავშირი, რაც განსაკუთრებით კარგადაა შემონახული ქართველთა კომპაქტურად განსახლების არეალსა და იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობას არ განუცდია ადგილმონაცვლეობა. მართალია, აქ ყველგანაა მეტნაკლებად შენარჩუნებული წინაპართა ტრადიციები, მაგრამ ტრადიციული ეთნოკულტურის ელემენტების შემონახულობით გამოირჩევა იაილები, მესაქონლეთა სეზონური საცხოვრისები. აქ შექმნილია ერთგვარი კულტურული მიკროკოსმი, სადაც კოლექტიურმა მეხსიერებამ თითქმის სრულყოფილად შემოინახა ქართული ეთნოკულტურული ღირებულებები, ქართველთა ეროვნული იდენტობის ყველა ნიშანი. სტატიაში იაილების ტრადიციული ყოფა და საქმიანობა, რომელიც ფაქტიურად ისეთივეა, როგორც მათ ისტორიულ სამშობლოში, განხილულია თეთრიწყლის იაილების მაგალითზე. თეთრიწყლის იალაღებზე დევსქელის ხეობის სოფლების – არავეთის, დევსქელის, ბაგინის, შუახევის და სხვ. მოსახლეობის საზაფხულო სადგომებია. დევსქელის ხეობა კარჩხლის ქედიდან იღებს სათავეს და ჭოროხს ბორჩხასთან ერთვის. ხეობის ყველა სოფელს თავისი „მთა“, „იაილა“ აქვს, სადაც ზაფხულობით გადაჰყავთ საქონელი. მის მოვლა-პატრონობასა და რძის პროდუქტების დამზადებას მემორდე/მემთევრი ქალი ხელმძღვანელობს. აქ, ხანგრძლივი დროით უცხო პოლიტიკურეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრების პირობებშიც კი, ძირძველმა ქართველებმა შეინარჩუნეს მშობლიურ ერთან ეთნიკური იდენტობის განცდა და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი მარკერები: ენა, წეს-ჩვეულებები, გადმოცემები, ტრადიციები, მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთი ელემენტები, როგორცაა საცხოვრებლის სრულიად არქაული ტიპი – ყავრით გადახურული ჯარგვალური სახლი სახურავში გამოჭრილი სარკმლით, მიწური იატაკით, კერით – „ოჯადით“, „შემის“ ფიცრული ნაგებობები, საქონლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ფეიქრობის ტრადიციები, შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები, ქართული გასტრონომიული კულტურა, ზიარეთობა, მემხლიანობის//მენხლიანობის

ჩვეულება, „მარსკლავა გოლთან“ (ვარსკვლავა ტბასთან) დაკავშირებული გადმოცემები და რიტუალები, შუანთობა // მარიობის დღესასწაული თავისი დამახასიათებელი ელემენტებით (ხარების ჭედვა // ჭედობა, კარდაკარ ჩამოვლა სანოვანის შეგროვების მიზნით, თეთრწყალზე განბანვის რიტუალი, ფერხულობა, სიმღერები, ცხენების ჭენება // ხტუნაობა, შაირობა, ცეკვა // სამობა) და სხვ. და, რაც ყველაზე მთავარია, რიტუალების უმეტესობა თითქმის უცვლელი, არქაული ფორმითაა შენარჩუნებული და ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების ავთენტური ფორმით რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

13	<b>მამულაძე სულხან</b>	გონიო-აფსაროსი რომის იმპერიის კულტურათა შეხვედრის ადგილი		საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი - „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“,  გამომცემლობა: „გორის სახელ-მწიფო უნივერ-სიტეტი“  ISSN 2449-285X  <a href="http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/787">http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/787</a>	№ XIV,  გვ. 558-564
----	------------------------	--	--	---	---------------------------

**ანოტაცია:**  
 გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ არეალში, სადაც აღმოცენდა თვითმყოფადი კოლხური ბრინჯაოს კულტურა. შემდგომ კი, ეს სივრცე სხვადასხვა კულტურათა თანხვედრის ერთგვარ მნიშვნელოვან ცენტრსაც კი წარმოადგენდა. უახლესი არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ პირველი სამოსახლოები ციხის ტერიტორიაზე ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში გაჩნდა. ინტენსიური ცხოვრება გრძელდება კლასიკურსა (V-IV) და ელინისტურ (IV-I) ეპოქაშიც. უშუალოდ გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის აგება კი რომაელებს უკავშირდებათ. ფლავიუს არიანეს ცნობით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ციხე-სიმაგრეებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავად სწორედ აფსაროსი გამოიყურებოდა. მისივე ცნობით, აქ რომაული ჯარის ხუთი კოჰორტა მსახურობდა. კიდევ უფრო საინტერესოა არქეოლოგიური მონაპოვრები (ძირითადად ეპიგრაფიკული), რომლებიც ადასტურებს, რომ აფსაროსში მდგომი გარნიზონის შემადგენლობაში შედიოდა – კლავდიუსის სახელობის ორი კოჰორტა („Cohors II Claudiana“), სპეციფიკური აღჭურვილობის მშვილდოსანთა რაზმი („Sagitarii“) და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა („Cohors Aurelia“). აფსაროსში ამდენად სერიოზული სამხედრო ძალის ყოფნა განპირობებული იყო მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით – იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა ძიდრიტთა ოლქს და წარმოადგენდა ძირითად

ფორპოსტს იბერიის წინააღმდეგ. გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე განხორციელებული მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა არაერთი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რომელიც ცხადყოფს წყაროებში მოცემულ ინფორმაციას გონიო-აფსაროსის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული და, შეიძლება ითქვას, კულტურული ცენტრის შესახებ. აღმოჩენებს შორის უნდა გამოვყოთ: პრინციპია, პრეტორიუმი, ყაზარმები, თერმები, სამეურნეო-სახელოსნო უბნები, წყალგაყვანილობის სისტემები და, რაც მთავარია, სხვადასხვა სახის ნივთიერი მასალა. სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, ძალზე საინტერესოა რომაული არმიის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ნივთიერი მასალები. ჩანს რომ, მცირე აზიის რეგიონიდან გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში რეკრუტირებული სამხედროები თავიანთ სცემდნენ სერაპისისა და იუპიტერ-დოლიქენუსის კულტებს, რომლებმაც თავიანთი განვითარების ზენიტს (განსაკუთრებით იუპიტერ-დოლიქენუსმა) სწორედ რომაულ ეპოქაში მიაღწიეს. ასევე, საინტერესოა ისიც, რომ არქეოლოგიური მონაპოვრების კვლევებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ იმპერიულ ღვთაებებს ნამდვილად ჰქონდათ გავლენა ადგილობრივ წარმართულ პანთეონზე.

14	<b>მეგრელიშვილი მერაბ</b>	პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი – „ბათუმის ისტორიის მკვლევარი“		სამეცნიერო კრებული „ავთანდილ ნიკოლეიშვილი – 75 – განვლილი გზა“  აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  ISBN 978-9941-518-05-8	გვ. 260-273
----	---------------------------	--	--	--	-------------

**ანოტაცია:**  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბათუმის ისტორიის კვლევის საკითხებს. წლების განმავლობაში ბატონი ავთანდილი მონაწილეობდა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულის „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ 12 ტომულში საპატიო ადგილი უკავია პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამეცნიერო სტატიებს. გამოჩენილი მეცნიერი თავის შრომებში არა მარტო აღწერს ბათუმში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს, არამედ გამოცდილი მეცნიერისთვის დამახასიათებელი ცოდნის და დაკვირვების, ისტორიული ანალიზის და შედარების მეთოდის საფუძველზე აკეთებს ობიექტური დასკვნებს.

ნაშრომში გაშუქებულია პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამეცნიერო საქმიანობა და მისი წვლილი ბათუმის ისტორიის შესწავლის საქმეში.

15	მეგრელიშვილი მერაბ, დიდმანიძე იბრაიმ	გზები და ხიდები აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებში		საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის „ინტელექტი“ გამოცემა  ISBN 1512-0333, E-ISSN-2960-98-28.  <a href="https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/558170/1/Inteleqti_2025_N1.pdf">https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/558170/1/Inteleqti_2025_N1.pdf</a>	№ 1(78), გვ. 140-143
----	--------------------------------------	---	--	---	----------------------

**ანოტაცია:**

გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საბჭოთა პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო. 1921 წლიდან აჭარაში მოქმედებს გზათა მშენებლობის სამმართველო. 1923 წელს გზების მშენებლობასთან დაკავშირებით მიიღეს 5 წლიანი გეგმა. სამხედრო-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უჩამბის, სხალთის, მერისის გზების მოწესრიგებას.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში გზების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცეოდა, რაც საქართველოს გეო-სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარეობდა. XX საუკუნის 20-იანი წლები აჭარისთვის მნიშვნელოვანი გარდატეხის ხანა იყო. რეგიონის ინტეგრაცია საბჭოთა საქართველოსთან ახალ მოთხოვნებს უყენებდა ინფრასტრუქტურულ განვითარებას. გზებისა და ხიდების განვითარება ამ პერიოდში გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი, რადგან სწორედ სატრანსპორტო ქსელი იყო საჭირო ადმინისტრაციული მართვის გამყარებისთვის, ეკონომიკური კავშირების გამარტივებისთვის და რეგიონის სოციალ-ეკონომიკური აღმავლობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მთიანი აჭარის სოფლებისა და ბათუმის ქალაქის დამაკავშირებელი გზების გაჭრასა და მდინარეებზე ხიდების აგებას.

16	მეგრელიშვილი მერაბ, მეგრელიშვილი ნიკოლოზ	საქართველოს საზღვაო სანაოსნო ისტორიიდან (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით)	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10356">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10356</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ. 274-286
----	--	--	---	---	---------------------------

**ანოტაცია:**

საქართველოში ნაოსნობას დიდი ხნის ისტორია აქვს. აღნიშნულ საკითხს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. რუსეთის მიერ შავი ზღვის ქართული სანაპიროს დაპყრობის შემდეგ, საფუძველი ეყრება შორეული ნაოსნობის განვითარებას, იქმნება რუსული საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, დაიწყო ევროპის და აზიის დამაკავშირებელი საზღვაო გზების აღდგენა-გაფართოება. 1921 წლიდან ბათუმის პორტი გასამხედროებული იყო. ბათუმის პორტთან არსებობდა ამიერკავკასიის ზღვათა სპეციალური სამმართველო, რომელიც აწარმოებდა გემების რეგისტრაციას და დოკუმენტების შემოწმებას. შავ ზღვაზე გემების მშვიდობიან მიმოსვლას და მეზღვაურის სიცოცხლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო მნიშვნელობის კონვენციები. ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტისთვის დაწესებული იყო ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები. გემები აღჭურვილი იყო მაღალი სტანდარტის მქონე რადიოთი და გამაფრთხილებელი ხმოვანი სასიგნალო სისტემით. არსებული კონვენციით გათვალისწინებული იყო ყველა სახის საშიშროება, მათ შორის ხანძარი, გემების შეჯახება და ა. შ. შავიზღვისპირეთის სავაჭრო ფლოტის კომერციულ განყოფილებას საათებსა და წუთებში გათვლილი და დამტკიცებული ჰქონდა ბათუმის პორტში შემოსული და გასული გემების გრაფიკი. 1967-1974 წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის 75 ქვეყნის პორტში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო იქმნებოდა შიშველ ადგილზე, მას არ გააჩნდა ფლოტი, არ იყო აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო მეურნეობა, კადრები.

1969 წელს ბათუმის საზღვაო პორტში საზღვარგარეთის დროშით შემოვიდა 386 გემი (ბულგარეთი, იტალია, საბერძნეთი, ინდოეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, კვიპროსი, დანია, ესპანეთი, რუმინეთი, მექსიკა და ა. შ.) შემოდიოდა ნავთობპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, ლითონი. 1973 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გააჩნდა 395 ტონაჟის 40 ტანკერი. 1977 წელს სავალუტო მოგებამ შეადგინა 155 ათასი მანეთი. 1973 წლის 8 იანვარს ბათუმის პორტი შავი ზღვის პორტებს შორის აღიარეს საუკეთესოდ.

17	<b>მეგრელიშვილი მერაბ</b>	სამოვრებით სარგებლობით წესის საკითხისთვის აჭარაში XX საუკუნის 30-იან წლებში		„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები  აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს გამოცემა  ISSN 2298 -0776	№ XI,  გვ. 56-75
----	---------------------------	---	--	--	------------------------

**ანოტაცია:**

1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა საკოლმეურნეო მიწების პრივატიზაცია, რამაც მოსახლეობის დაპირისპირება გამოიწვია. კერძომესაკუთრული ტენდენციების გაღვივებას ხელი შეუწყო თავადაზნაურული გვარების შესახებ წიგნების გამოცემამ, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. აქედან გამომდინარე წარსულში არსებული სამოვრებით სარგებლობის წესების შესწავლას და გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პრობლემა განხილულია მეცნიერ მკვლევართა, პროფესორების თ. ავალიანის, ვ. შამილაძის, ი. სიხარულიძის, ო. თურმანიძის, ი. ბარამიძის და სხვათა ნაშრომებში. პროფ. ი. სიხარულიძის ნაშრომში “სამოვრებით სარგებლობის წესის საკითხისთვის საქართველოში“ დაზუსტებულია სამოვრებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ტყეებით და სამოვრებით სარგებლობის წესები, ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში არსებული მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები. სტატიაში წარმოდგენილია აჭარაში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აღნიშნული წესების ამსახველი სტატისტიკური მასალა.

18	<b>მეგრელიშვილი მერაბ</b>	ერთმორწმუნეობის საკითხი		„ჩვენი სულიერების ბალავარი“	№ XIV,  გვ. 182-190
----	---------------------------	-------------------------	--	-----------------------------	---------------------------

		ქართულ ისტორიოგრაფიაში		(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	
--	--	------------------------	--	--	--

**ანოტაცია:**

ერთმორწმუნეობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში აისახა სხვადასხვა ნიშნით. აღსანიშნავია ერთმორწმუნე სახელმწიფოების ურთიერთობების საფუძველზე კრიტიკული თვალთვლით აღწერილი ისტორიული ხასიათის ნაშრომები (ივანე ჯავახიშვილი „დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის მე-18 საუკუნეში“, ვახტანგ გურული „ერთმორწმუნე რუსეთი, მითი თუ რეალობა“) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა რელიგიური ხასიათის წიგნები (ანტონ ბაგრატიონი „მზამეტყველება“, მიხეილ საბინინი „საქართველოს სამოთხე“, კირიონ მეორე სამაგლიშვილი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ და ა. შ.

საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა ტენდენციური ხასიათის, სააგიტაციო- პროპაგანდისტული ისტორიული ლიტერატურა. ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორია გამაფრთხილებელი უნდა იყოს დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის. დღეს ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი უნდა იყოს ილიასეული მსოფლმხედველობა „მამული, ენა სარწმუნეობა“. სტატიაში ისტორიული ლიტერატურის და საარქივო -დოკუმენტური მასალის შეჯერების საფუძველზე განხილულია ერთმორწმუნეობის საკითხი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორიაში.

19	მეგრელიშვილი მერაბ	ღვაწლი, პერსონალია		„თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში“ (საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები)	№ IV,  გვ. 526-530
----	--------------------	--------------------	--	--	--------------------------

				<p>საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“</p> <p>ISBN 978-9941-520-86-0</p> <p><a href="https://icsconf.ge/storage/documents/shromebis%20krebuli%20-%202025_print_20.12.2025.pdf">https://icsconf.ge/storage/documents/shromebis%20krebuli%20-%202025_print_20.12.2025.pdf</a></p>	
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>ჩვენი საუკუნის ისტორიაში არიან ადამიანები, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრების გზა და ღვაწლი დასაფასებელია. ადამიანი, რომ მიდის ამ ქვეყნიდან, მაშინ უფრო ნათლად ჩნდება მის მიერ გაკეთებული საქებ-სადიდებელი საქმე. პიროვნების ამქვეყნიური ცხოვრება მიღწეული შედეგებით განისაზღვრება. ამ მხრივ ბევრი საქებ-სადიდებელი სიტყვა გვაქვს სათქმელი აწ გარდაცვლილ უფროს მეგობარზე, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორსა და აკადემიკოსზე, ალბერტ დანიელის ძე შათაშვილზე. ასევე ღვაწლმოსილ მარადიდელ მამულიშვილზე შოთა დიდმანიძესა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ იბრაიმ დიდმანიძეზე. სტატია ბიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება და მასში გადმოცემულია მათი ცხოვრება და მოღვაწეობა.</p>					
20	მიქელაძე ნაილე, მიქელაძე ჯემალ	ეგვიპტური სახე-სიმბოლოები ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1</a>	<p>„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,</p> <p>ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,</p> <p>ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267</p> <p><a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a></p>	№ III, გვ. 522-534.

<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>სტატიაში საუბარია ვეფხვის სახე-სიმბოლოზე ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში. ეგვიპტური ელემენტები ქართულ ხელოვნებაში ოდითგანვე ფართოდ იყო გამოყენებული, რომლებიც ასახავდა ამა თუ იმ კულტურის ისტორიას. კვლევათა მიხედვით, ვეფხვის სახე-სიმბოლო გვხვდება ეგვიპტურ, ბერძნულ, შუმერულ და სხვათა მწერლობასა და ხელოვნებაში. ამ სიმბოლოს საქართველოში ოდითგანვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ რელიგიაში. არსებობს მრავალი საინტერესო დეტალი, რომლებიც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებსა და ეგვიპტელებს შორის ოდითგანვე არსებობდა კავშირები, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვა ქართულ კულტურაში.</p> <p>ამდენად, ქართულ ეპოსს მრავლად მოეძებნება პარალელები მსოფლიო კულტურის ძეგლებში. იეროგლიფები, პირამიდები, ღმერთები, ფარაონები, სარკოფაგები, მათზე გამოსახული სურათები, სცენები ერთხელ კიდევ გვაახლოებს ეგვიპტური ცივილიზაციის უნიკალურობასთან. ყოველივე კი ცხადყოფს ქართულ-ეგვიპტური რეალიების უწყვეტ არსებობას.</p>					
21	მიქელაძე ნაილე	ჩვენებურთა საქორწილო ტრადიციები საქარიის პროვინციაში მოკვლეული მასალების მიხედვით		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 190-214
<p><b>ანოტაცია:</b></p> <p>წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია საქორწილო ტრადიციებზე, რომლებიც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრებას ეხება. ისტორიული ბედუკულმართობის გამო, XIX საუკუნის 80-იან წლებსა და 1937 წლის რეპრესიების დროს, აჭარიდან (ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხულო) ქართველები საცხოვრებლად მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში გადავიდნენ, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. მათ ქართული ტრადიციები დღესაც აქვთ შემონახული, თუმცა ბევრი მათგანი კონტამინირებული სახითაა წარმოდგენილი. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა, საქორწილო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული რიტუალები, რომელთაც „ჩვენებურები“ შორეულ თურქეთში დღესაც ასრულებენ.</p> <p>საქორწილო ტრადიციების შესწავლას როგორც ოჯახური სიწმინდის, ასევე ყოფაცხოვრებითი თვალსაზრისით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ნაშრომში სწორედ ამ და სხვა საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.</p>					

22	მიქელაძე ნაილე, ჩურკვეიძე თამილა, ხერგიანი ინგა	აჭარა ივანე გომართელის პუბლიცისტურ წერილებში(სტამბ ოლის სავანის მასალების მიხედვით)	<a href="https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.11">https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.11</a>	„ქართველური მემკვიდრეობა“,  აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე- ტის გამომცემლობა  <a href="https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/MikeladzeNaile.pdf">https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/MikeladzeNaile.pdf</a>	№ XXIX,  გვ. 99-117
----	--	---	---	---	---------------------------

**ანოტაცია:**

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ივანე გომართელის მოგზაურობას აჭარაში. ის ამ კუთხეში მოგზაურობდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მან მოინახულა როგორც ზემო აჭარის სოფლები, ასევე ქვემო აჭარა. თავისი შთაბეჭდილებები, მოსაზრებები გამოაქვეყნა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. აღნიშნული მასალები შესულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო გუნდის როინ მალაყმადის, შუშანა ფუტყარაძისა და ელზა ფუტყარაძის ძალისხმევით გამოცემული წიგნში „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი III.

ივანე გომართელი აღნიშნულ წერილებში დეტალურად აღწერს ამ კუთხის ბუნებას, მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მსჯელობს კუთხის საჭირობოროტო საკითხებზე, თუ როგორ და რით შეიძლება ამ კუთხის გაძლიერება. იხსენებს სამხრეთ დასავლეთი საქართველოს უძველეს ისტორიას. ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ დანიშნულებას. საუბრობს აჭარის მერმისზე.

ამდენად, წარმოდგენილი მასალა ღირებულია შინაარსითა და წერილებში წარმოდგენილი დეტალებით.

23	ნარაკიძე ციალა	ზოგიერთი ლაზური ხატოვანი სიტყვა თქმებისა და იდიომების შესახებ		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 227-234
----	----------------	--	--	---	---------------------------

<p><b>ანოტაცია:</b>  სტატიაში საუბარია იმ ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ფრაზეოლოგიზმების შესახებ, რომელიც ჩაწერილია გაღმა სარფში, თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ლაზებისაგან.  საყურადღებოა, რომ დღეს დედასამშობლოს, საქართველოს მოწყვეტილმა ლაზებმა ბოლომდე შემოინახეს ის სიტყვა-თქმები და იდიომები, სადაც სხარტად ასახულია ლაზი ხალხის გონებრივი და სულიერი ცხოვრების გამოცდილება.</p>					
24	<b>ნარაკიძე ციალა</b>	საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების შესახებ ლაზურში	<a href="https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.12">https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.12</a>	„ქართველური მემკვიდრეობა“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  ISSN 1512-0953  <a href="https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/NarakidzeTsiala.pdf">https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXIX/NarakidzeTsiala.pdf</a>	№ XXIX,  გვ. 132-142
<p><b>ანოტაცია:</b>  ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ უძველესმა ქართველურმა ტომმა შექმნა და შემოგინახა ზღაპრის ყველა სახეობა. სტატია ეხება საყოფაცხოვრებო ნოველისტური ზღაპრების განხილვას. ნაშრომი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც საკვლევ მასალად გამოყენებულია გაღმა ანუ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სოფელ სარფში მცხოვრები ლაზებისაგან ჩაწერილი ზღაპრები, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავანალიზოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ლაზური საზღაპრო ეპოსი. კერძოდ, საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, სადაც საუბარია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.  საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან და საზოგადოების თითქმის ყველა ფენას წარმოადგენენ. ზღაპრებში საუბარია იმ ზნეობრივ თუ მანკიერ თვისებებზე, რაც იმთავითვე თან სდევს ყოველ საზოგადოებას.  ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, როგორცაა: ცოლ-ქმრული ერთგულება და სიყვარული, რძალ-დედამთილის ურთიერთობა, ძმობა-მეგობრობა, კეთილ-გონივრული რჩევები, მანკიერ მხარეთა წარმოჩენა და სხვ.  მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი სარფელების (გაღმა სარფი) ისტორიულ მეხსიერებაში დღემდე ცოცხალია საყოველთაო-</p>					

ნოველისტური ზღაპრები, რომლებშიც წარმოჩენილი სენტენციები ხალხური დიდაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა.

ლაზურ ხალხურ საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხალხური ეპოქის ეს უბანიც, ზეპირსიტყვიერ სხვა ჟანრებთან ერთად, საერთოქართველურია.

25	<b>ნოღაიდელი ნანული</b>	ხატოვან გამოთქმათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის აჭარულ და კლარჯულ დიალექტებში		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 282-289
----	-------------------------	--	--	--	---------------------------

**ანოტაცია:**

ხატოვანი თქმები ერის იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ქართული ენა და მისი დიალექტები მდიდარია ხატოვანი გამოთქმებით. დღეს მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები, რომლებიც ხატოვანი სიტყვა-თქმების ანუ იდიომა-ფრაზეოლოგიზმების შესწავლას ეხება, რადგან მათში კარგად ჩანს სხვადასხვა ეთნოსის ისტორია, ყოფა, კულტურა, თანამედროვე რეალობა. მითუმეტეს, როცა კვლევა ეხება ეთნოსს, რომლის ნაწილებს განსხვავებულ სოციოკულტურულ ველში უხდება ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმების კვლევით შესაძლებელია გამოიკვეთოს როგორც უცხო გარემოში მშობლიური ენის სიღრმისეული ცოდნის დონე, ასევე, ინტერკულტურული გავლენები ამ ენაზე. ხატოვანი გამონათქვამები გვიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას მშობლიური გარემოდან მოწყვეტილი ეთნოსის ნაწილის ზნეობრივი ღირებულებების, სოციო-კულტურულ ყოფის ტრანსფორმაციის, კულტურული მეხსიერების მახასიათებლების შესახებ. სტატიაში ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია აჭარულ და კლარჯულ დიალექტებში შემონახული ხატოვანი გამონათქვამები, რომლებიც მეტად საინტერესო მასალას იძლევა უცხო გარემოში მენტალობისა და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების შესწავლისათვის. სტატიაში მოტანილი ლექსიკური მასალიდან კარგად ჩანს, რომ კლარჯულ ჩვენებურებს არ ავიწყდებათ ქართველთათვის დამახასიათებელი ხატოვანი გამოთქმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქაურთა სულიერი და მატერიალური კულტურის ამსახველი ენობრივი ფაქტების გაგებისათვის.

26	<b>ოქროპირიძე უჩა, ფარტენაძე ვაჟა</b>	აკავრეთა-ნამონასტრევის ქვის წარწერა		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო	№ XIV,  გვ. 290-297
----	---------------------------------------	-------------------------------------	--	--	---------------------------

				კონფერენციის მასალები)	
				ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,	
				ISSN 1987-5916	

**ანოტაცია:**

ნაშრომში „აკავრეთა-ნამონასტრევის ქვის წარწერისათვის“ განხილულია აღნიშნული წარწერისადმი გამოთქმული დასაშვები თვალსაზრისი, თუ რა შეიძლება ეწეროს აღნიშნულ ქვაზე, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ეს ამოკითხვა პირობითია. ამან გვიბიძგა ამოკითხვის შინაარსის დაზუსტებისაკენ. წარწერის მართებული ვერსიის (შინაარსის) გასახსნელად გადავიღეთ მისი ფოტოსურათი. კომპიუტერზე წარწერის გადიდებისა და მასზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ მასში ნუსხურნარევა ნამდვილად არის, მაგრამ ძალზე მცირე ( „II“ და შესაძლოა, „E-ე8 ასო), ხოლო წარწერა შეიცავს შემდეგ შინაარსს: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ი(ოვან)ე ღვდ(ელი)“, რასაც ვამტკიცებთ შესაბამისი მასალის განხილვისა და ანალიზის შედეგად.

ამასთან გამოთქმული გვაქვს ვარაუდი, რომ სახელი აკაურთა, სოფელ ნამონასტრევის ძველი, სანამ იქ მონასტერი არსებობდა, სახელია; შემდეგ კი, აქ ოსმალთა ბატონობის დამყარებისა და მონასტრის დანგრევის შედეგად, სოფელს ნამონასტრევი დაერქვა, ხოლო სახელი აკავრეთა, მთელი ხეობის, სადაც ეს ტაძარი იდგა, სახელად შემორჩა. აქედან გამომდინარე კი, მის ქვაზე გაკეთებული ნუსხურნარევიანი (II-დ და E-ე8) ასომთავრული წარწერა, დიდად სავარაუდებელია, მისი აგების თარიღს, V საუკუნეს განეკუთვნებოდეს. ხოლო აკაურთა, ნამონასტრევის ძველ, სანამ აქ მონასტერი იდგა, ისტორიულ სახელად უნდა მივიჩნიოთ; ამით კი დავაზუსტოთ „მონასტრის“ აგების დრო - V საუკუნე. რაც გვადლევს საშუალებას, რომ გამოვთქვათ ვარაუდი - ახლანდელი ნამონასტრევის ყოფილი ეკლესია „აკაურთა“, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძართაგანი იყო.

27	ოქროპირიძე უჩა	პარალელური აზრები: მერაბ კოსტავა და ანდრეი სახაროვის წიგნი „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“		„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები  აჭარის ავტონომიური	№ XI, გვ. 47-55
----	----------------	---	--	--	--------------------

				<p>რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს გამოცემა</p> <p>ISSN 2298 -0776</p>	
--	--	--	--	--	--

**ანოტაცია:**

ნაშრომში, საქართველოს უახლესი ისტორიის ფონზე, გაშუქებულია საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას წერილი, რომელიც ეძღვნება ცნობილი რუსი აკადემიკოსის, დისიდენტის და ადამიანთა უფლებების დამცველის, ნობელის პრემიის ლაურეატის ანდრეი სახაროვის წიგნის „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“ კრიტიკულ ანალიზს.

28	<b>ფუტკარაძე ელზა</b>	მუჰაჯირი ქართველის - ნური ეფენდი თავდგირიძის პოეზია	<a href="https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.18">https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.18</a>	<p>„ქართველური მემკვიდრეობა“,</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</p> <p>ISSN 1512-0953</p> <p><a href="https://ejournals.atstu.ge/Kartvelology/issues/XXIX/PutkaradzeElza.pdf">https://ejournals.atstu.ge/Kartvelology/issues/XXIX/PutkaradzeElza.pdf</a></p>	№ XXIX, გვ. 217-226
----	-----------------------	---	---	--	------------------------

**ანოტაცია:**

ანოტაცია: როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად, ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა დატოვა მშობლიური სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. მათ იქაც გაანედღეს ქართული მხატვრული სიტყვა, შექმნეს ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშები. ნაშრომში, სწორედ, ერთი მუჰაჯირი ქართველის - ნური ეფენდი თავდგირიძის პოეზიის შესახებაა საუბარი. კვლევის

მიზანია მისი ლექსების შესწავლა, შეფასება-ანალიზი და მისი პოეზიის გაცნობა მკითხველისათვის. სამწუხაროდ, ჩვენამდე მისი ლექსების ნაწილია მოღწეული და მიკვლეული, მოძიებული მასალით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება მისი პოეზიის შესახებ და შესაძლებელია მისი პოეზიის მთავარი თემისა თუ ქვეთემების გამოკვეთა. არის რამდენიმე ლექსი, რომელიც თქმის ფორმითა და შინაარსით სახასიათოა და ნური ეფენდი თავდგირიძეს ემოციური ხელწერის ავტორად წარმოგვიდგენს.

ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსები ტკივილიან-სევდიანი ამონაკვნესებია. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა ისტორიულ ადგილებსა და პიროვნებებს, ზოგჯერ სიყვარულსაც, მაგრამ ლექსების ძირითადი ნაწილი სამშობლოს მოშორებით გამოწვეული განცდებისა და მშობლიური სამოსახლოს ზღვარდაუდებელი მონატრების ტკივილიანი ეპოპეაა. ლექსები მისი სულიერი ბიოგრაფიის ეპიზოდებია და ღრმად გვახედებს მის შინაგან სამყაროში. გვაცნობს მუჰაჯირი კაცის სულის მოძრაობას. კერძოდ, სამშობლოს დატოვებით გამოწვეული განცდების წუთებიდან დაწყებული, უკვე გაჭაღარავებული, თმაგათეთრებული მუჰაჯირის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. სათქმელი უდიდესი ემოციითაა მოტანილი მკითხველამდე ისე, რომ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით არაა განებივრებული. მიგვაჩნია, რომ არც საჭიროებს სათქმელი სხვა ხერხს, რამეთუ მის მაგივრობას ტკივილი ასრულებს.

ამდენად, ნაშრომში ნური ეფენდი თავდგირიძის სევდითა და განცდებით დამძიმებულ სულიერ მდგომარეობაზეა საუბარი. მისი ლექსების გაცნობა კი გვამღვებს იმის თქმის საშუალებას, რომ მისი პოეტური ნააზრევი ოდენ ემიგრანტული პოეზიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს და მას უნდა იცნობდეს მისი ნატრული სამშობლო, მკითხველთა ფართო წრე. აქვე დავძენთ, შესაძლებელია, რომ რამდენიმე ლექსმა ქართული პოეზიის ისტორიაში მოკრძალებული ადგილიც დაიჭიროს.

29	<b>ფუტკარაძე ელზა</b>	ემენ დავითაძის შემოქმედების ზოგიერთი ენობრივ-სტილური თავისებურება		რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები,  თსუ-ს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა  ISBN 978-9941-36-430-3	№ XLV,  გვ. 103-110
----	-----------------------	---	--	--	---------------------------

**ანოტაცია:**  
სტატიაში საუბარია ემენ დავითაძის შემოქმედების ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური თავისებურების შესახებ. შემოქმედის ენაზე დაკვირვება, ენობრივ-სტილურ თავისებურებათა

გამოვლენა ყოველთვის აქტუალური საკითხია. სტილური თავისებურება ავტორის მხატვრული აზროვნების, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების ამსახველი ფორმაა. სათქმელის გადმოსაცემად შერჩეული ენობრივი ფორმა ავტორის ესთეტიკური გემოვნების მაჩვენებელიცაა. ამ კუთხით საინტერესოა ემენ დავითაძის შემოქმედება.

ბუნებრივია, ე. დავითაძის შემოქმედებაშიც მოჭარბებულად გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური დიალექტიზმები, მაგრამ ჩვენი მიზანია, გაგვეჩვენოთ, ენობრივ ფორმას რა ფუნქციური დატვირთვა აქვს მის პოეზიაში. შესაბამისად, სტატიაში საუბარია სახელთა გაზმნავენის, განმეორების, სასვენი ნიშანთა და კუთხისათვის დამახასიათებელი ლექს-სიმღერების სტილური გამოყენების შესახებ. ავტორის მიერ გამოყენებული ენობრივი ფორმები საშუალებაა ქვეტექსტების წაკითხვისა და მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისათვის.

30	<b>ფუტკარაძე ელზა, აბაშიძე ფატი</b>	სიმონიკა ბერეჟიანის შეუმდგარი „პაემანი მთაწმინდაზე“	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10397">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10397</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა, ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III, გვ. 582-589
----	-------------------------------------	---	---	---	--------------------

**ანოტაცია:**  
ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი, რომლის მრავალმხრივი შემოქმედება თითქმის უცნობია საქართველოში. მისი პოეზია კი ნამდვილად არის ქართული პოეტური სიტყვიერების განუყოფელი ნაწილი და სახასიათო ემიგრანტული ხმა ქართული პოეზიისა. ს. ბერეჟიანის შემოქმედების მთავარი სათქმელი სამშობლო ქვეყნის სატკივარია. სამშობლოს მოშორებული პოეტი ფიქრით, საქმით და ყოველდღიურობით სამშობლოს სატკივარის მოყურადე და თავგანწირული დარაჯია. წუხს საქართველოს სადარდებელ-სატკივარზე. ესაა მისი ფიქრის და მოუსვენრობის საგანიც. შესაბამისად, მისი შემოქმედების სათქმელი სამშობლოს აწმყო და მომავალია. თავისუფლებადაკარგული ქვეყანა, თებერვლის სუსხი მწარე რეალობაა პოეტისათვის. მისი შემოქმედება ერის უბედურების ანარეკლია, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს მშობლიურ საბუდარს, მშობლიურ მიწას მოშორებული პოეტის ყოველდღიური ტკივილის, სამშობლოს უკიდევანო სიყვარულის, უსაზღვრო მონატრების, მშობლიური ეზო-კარის ნახვის წყურვილით

გამოწვეული განცდები. ეს ემოცია გადამდებია მკითხველისათვისაც. ტკივილი ხმიანდება მისი შემოქმედებით და სათქმელის მხატვრული სამოსელიც ისევ ტკივილია პოეტისათვის. სწორედ, ეს სათქმელია წარმოდგენილი სიმონ ბერეჟიანის პოემაში „პაემანი მთაწმინდაზე“. ნაშრომის მიზანიც ამ პოემის იდეა-მიზანდასახულობის ჩვენება და მისი ჩვენეული შეფასებაა. ამასთანავე, ხაზგასმა იმისაც, რომ ს. ბერეჟიანის შემოქმედება მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განუყოფელი ნაწილია და თავისი შემოქმედებითი ხელწერით იმსახურებს სათანადო ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

31	<b>ფუტკარაძე ელზა, აბაშიძე ფატი</b>	საქართველოს ბედისწერის ნაწილი და რუსთაველის ფეხთა მტვერის მეთასედი (გ. ყიფიანის ცხოვრება-მოდგაწეობის ეპიზოდებიდან)		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 358-373
----	-------------------------------------	--	--	--	---------------------------

**ანოტაცია:**  
 ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია გ. ყიფიანი. მისი პოეზია ღრმა განცდებით, ვიზუალურ-მუსიკალური სახეებითაა გამორჩეული და სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ტკივილითაც ნასაზრდოები.  
 სამწუხაროა, რომ გ. ყიფიანის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი უცნობია ქართველი მკითხველისათვის. შესაბამისად, საკითხი აქტუალურია. ნაშრომში მისი პოეზიის მთავარი სატკივარის შესახებაა საუბარი. ბუნებრივია, ეს სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის მის ლიტერატურულ საქმიანობაზე, თუმცა გვაჩვენებს, როგორი გემოვნების, ღრმა აზრისა და თქმის ხელოვანია პოეტი.  
 გ. ყიფიანის შემოქმედების თემატიკაა ეროვნულ-პატრიოტული პრობლემატიკა, 1921 და 1924 წლების ტრაგედიით გამოწვეული ავბედითობა, თავისუფლებადაკარგული სამშობლოს ტრაგიკული მდგომარეობა. ჩვენი კვლევის მიზანი გ. ყიფიანის ერთ-ერთი მთავარი სათქმელის - სამშობლოს მოშორებით გამოწვეული განცდებისა და ტკივილის შესახებ საუბარია. თითქმის ყველა ლექსში ხმიანდება ეს საკითხი და მთელ მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს. პოეტი მძაფრი განცდებით, თქმის კულტურით, დახვეწილობით ნათლად წარმოგვიდგენს მის სულიერ მდგომარეობას. უდავოა, ის ქართული პოეტური ტრადიციების გამგრძელებელი და ორიგინალური შემოქმედიცაა.

32	<b>ფუტკარაძე ელზა, ნოღაიდელი ნანული</b>	აჭარული დიალექტის		„აჭარული დიალექტის ლექსიკონი“,	გვ. 3-12
----	---	-------------------	--	--------------------------------	----------

		ლექსიკონის წინასიტყვაობა		ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტე- ტის გამომცემლობა,  ISBN 978-9941- 519-08-6	
--	--	-----------------------------	--	--	--

**ანოტაცია:**

სტატიაში საუბარია აჭარული დიალექტის ლექსიკის შესწავლის ისტორიისა და დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ. განხილულია დიალექტის ლექსიკაში გამოვლენილი საერთოქართველური ლექსემები, არქაული ლექსიკური ფენა, ზანიზმები, საკუთრივ დიალექტიზმები, უცხოენოვანი ნასესხობანი ლექსიკაში, ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ასევე საუბარია, „ვეფხისტყაოსნის“ ენაში წარმოდგენილი აჭარული კილოსათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აჭარული დიალექტის ლექსიკის ეთნოლინგვისტური ასპექტების შესახებაც.

33	<b>ჩელეზაძე ნაილა</b>	არტანელთა მეხსიერებაში ასახული წარსულის ფურცლები კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) ჩანაწერების მიხედვით	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10405">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10405</a>	„შავიზღვისპი- რეთი ცივილი- ზაციათა გზა- ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960- 9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ.707-725
----	-----------------------	---	---	--	--------------------------

**ანოტაცია:**

ნაშრომში წარმოდგენილია კ. ოდიშარიას მიერ 1913-1920 წლებში სტაციონარული კვლევით ჩაწერილი მასალების საფუძველზე არტანის მხარის ისტორიული წარსულის ასახვის ცდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია აპრობირებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამჟამად არტანის

დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული, რაც კიდევ მეტად ზრდის მისი შესწავლის მნიშვნელობას. ნაშრომში გამოკვლეული კ. ოდიშარიას მიერ ვრცლად წარმოდგენილი არტაანის მხარის რეა-ლურ ისტორიასთან დაკავშირებული ამბები და მდიდარი სტატისტიკური მონაცემები – 600-მდე ტოპონიმი, ეთნიკური ვითარებისა და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ასპექტები, ზედმიწევნით ზუსტად აღწერილი, ხშირად რისკის ფასად მოძიებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები თუ მათი ნაშთები, მათ შორის 40-მდე ქართული საისტორიო წარწერით შემონახული 500-მდე ეკლესია, ასზე მეტი ციხე-სიმაგრე, 8-ზე მეტი არხი და მილი (მათ შორის რძის სატრანზიტო მილი), 5 ხიდი და სხვა მრავალი, მეტ დამაჯერებლობას სძენს იმ გარემოებას, რომ არტაანის კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციული ქართული კულტურის ფესვებზეა დაფუძნებული. ნაშრომში განხილულია რამდენიმე ისტორიული ფაქტი და მოვლენა ისტორიული მხარის ქართული მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციების, თქმულება-გადმოცემების შედარებათა საფუძველზე. მაგალითად, გამოვლენილია საინტერესო ინტერპრეტაცია თამარ მეფის ანდერძისა თავისი შვილისადმი – ლაშა-გიორგისადმი. დაზუსტებულია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვერსიაში მთავარი გმირების მიერ თამარ მეფის ხსოვნისადმი პატივის მიგების – ღამით 30 აპრილს 1 მაისის გარიჟრაჟამდე ლოცვის თარიღისა და საეკლესიო კალენდრის 15 მაისს დაწესებული თამარ მეფის გარდაცვალების დღის იგივეობა. ასევე, მოცემულია ინფორმაცია ოთარ-ბეგ შერვაშიძის საოჯახო რელიქვიაში პერგამენტზე გადაწერილი 1436 წლით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის შესახებ.

34	<b>ჩელებაძე ნაილა,</b> შაქარიშვილი სულხან	ბიბლიური ჭეშმარიტების გამოვლინება ქობულეთის ისტორიიდან	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10374">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10374</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ.736-757
----	---	--	---	---	--------------------------

**ანოტაცია:**  
 ზაქარია ჭიჭინაძის, დიმიტრი ბაქრაძის, სერგო ვარდოსანიძის, ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მიხედვით. შესწავლილია, ქრისტიანობის მდგომარეობა ოსმალეთის ოკუპაციისა და პოსტოსმალურ პერიოდში, ქობულეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. სადაც გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დიდი ზეწოლისა და განსაცდელისა ქრისტიანობა მაინც არ გამქრალა. ადგილობრივ

მოსახლეობაში მინავლებული ნაკვერჩხლის სახით, მაინც იყო შემორჩენილი ქრისტიანული წარმოდგენები რის გაღვივებასაც ხელი შეუწყო გულანთებული მამულიშვილების აქტიურმა მოქმედებებმა.

35	<b>ჩხაიძე ნუგზარ</b>	ძველი ბათუმის მცხოვრებთა თვალსაზრისი ქალაქის არქიტექტურის იერსახის და მისი ურბანული განვითარების პერსპექტივებზე		„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 1987-5916	№ XIV,  გვ. 407-419
----	----------------------	---	--	--	---------------------------

**ანოტაცია:**

ქალაქი, როგორც მოსახლეობის განსახლების ისტორიული ტიპი, მრავალი პარამეტრით შეიძლება შეფასდეს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქალაქის არქიტექტურული იერსახე ბათუმს ქალაქის სტატუსი მიენიჭა, აჭარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს. ბათუმი შენდებოდა იმდროინდელი, ძირითადად ევროპული ქალაქმშენებლობის სტანდარტების გათვალისწინებით, რის შედეგადაც ის მოკლე დროში იქცა ევროპული ტიპის ურბანულ დასახლებად, სადაც მრავლად იყო კულტურული ფასეულობის მქონე შენობები (როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე სხვა დანიშნულების ნაგებობები).

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, ქ. ბათუმის ძველ, ისტორიულ უბნებში ადგილი აქვს მრავალი შენობის და არცთუ ისე იშვიათად კულტურულ-არქიტექტურული მნიშვნელობის ნაგებობების ნგრევას ან გადაკეთებას და მათ ადგილას უსახური, მრავალსართულიანი, ქალაქისათვის შეუფერებელი ობიექტების აშენებას. ასეთი ქმედება, არც თუ ისე იშვიათად „იფუთება“ შემდეგნაირად – რომელიმე ისტორიული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობის ფასადი ნარჩუნდება, ხოლო ინტერიერი მთლიანად ნადგურდება. ჩვენი აზრით, საბოლოო ჯამში, ასეთი ქმედება ისტორიული შენობის ლიკვიდაციის ტოლფასია (ასეთი არქიტექტურული „მოდერნიზაციის“ თვალნათელი მაგალითია, მ. აბაშიძის გამზირზე განლაგებული ძალიან დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელოვანი ნაგებობის, რომელშიც ფუნქციონირებდა ქ. ბათუმის ფოსტა, ინტერიერის მოსპობა და მხოლოდ გარე ფასადის დატოვება).

ქ. ბათუმის არქიტექტურული იერსახე და მისი განვითარების პერსპექტივები დღემდე შესწავლილია ძირითადად საინჟინრო-ტექნიკური და ესთეტიკური კუთხით, მაგრამ არ იყო ასახული ქალაქების შეხედულება ქ. ბათუმის ურბანული განვითარების თაობაზე. ჩატარებული ემპირიული სოციოლოგიური კვლევით, ჩვენ შევეცადეთ გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი.

36	<b>ჩხაიძე ნუგზარ</b>	ქალაქ ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი)	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10373">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10373</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,  ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	№ III,  გვ.770-784
----	----------------------	---	---	---	--------------------------

**ანოტაცია:**

საკვლევი თემის აქტუალობა, ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აზარტულმა თამაშებმა, ბოლო პერიოდში, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი მრავალი თანაქალაქელის ცხოვრებაში. ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ინდუსტრიისადმი არაერთგვაროვანია, გამომდინარე ასეთი მოცემულობიდან, ჩვენი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ძირითადი მიზანი იყო, შესაბამის ანკეტაში დასმულ კითხვებზე, რესპონდენტების მიერ გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, გაკეთებულიყო ისეთი სახის დასკვნები, რომელთა ცხოვრებაში გატარება გარკვევდა, ამ სფეროში არსებულ ვითარებას და გარკვეულწილად მოაგვარებდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების საჭირობოტო საკითხს. სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, ძირითადად იკვეთება ხელისუფლების დამოკიდებულება ამ ბიზნესისადმი, მოსახლეობის აზრი კი სათამაშო ბიზნესისადმი თითქმის ყოველთვის იგნორირებულია. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ბათუმელი რესპონდენტების სოციოლოგიურ გამოკითხვაზე დაყრდნობით, ჩვენ, კომპლექსურად შევისწავლეთ და წარმოვაჩინეთ მათი სათამაშო სფეროსადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტი. აღნიშნულ სოციოლოგიურ კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნა შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე: აზარტულ თამაშებში მონაწილეობის ინტენსიობა; რესპონდენტების მიერ აზარტული თამაშების მათთვის პრიორიტეტული სახეობების დაფიქსირება; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის ძირითადი მიზანი (მიზნები); სათამაშო ბიზნესში მონაწილეობის დაწყების ასაკი; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის პირველი რეკომენდატორი (სოციალური სტატუსი); გამოკითხულთა ვარაუდი ქ. ბათუმში აზარტულ თამაშებში ჩართულთა რაოდენობის თაობაზე; აზარტულ თამაშებში მონაწილეობის სიხშირე კვირის განმავლობაში; რა დრო ეთმობა საათობრივად აზარტულ თამაშებში მონაწილეობას; აზარტულ თამაშებში მონაწილეობისას, როგორია მოგება-წაგების ბალანსი; იწვევს თუ არა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება (ლუდომანია) ასეთი ადამიანების ცხოვრების წესის შეცვლას; ინფორმაციის ძირითადი წყაროები) აზარტულ თამაშებში ჩართულ პირებისთვის; სათამაშო ბიზნესის სავარაუდო მფლობელები (უცხოელები, საქართველოს

მოქალაქეები, ამ ბიზნესის წილობრივი მესაკუთრეები და ა.შ.); არალეგალური სათამაშო ბიზნესის არსებობის შესაძლებლობა; შედის თუ არა საკმაო თანხა საქართველოს ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან; როგორია სათამაშო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

37	<b>ჭიჭილეიშვილი მაია</b>	აჭარის ხის მეჩეთების მხატვრული გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი	<a href="https://doi.org/10.61671/hos.8.2025.9844">https://doi.org/10.61671/hos.8.2025.9844</a>	საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „აღმოსავლეთ-მცოდნეობის მაცნე“  ISSN 2587-490X E-ISSN 2720-8168  <a href="https://hos.openjournals.ge/index.php/hos">https://hos.openjournals.ge/index.php/hos</a>	ტომ. 8, № 2,  გვ. 596-625
----	--------------------------	---	---	--	---------------------------------

**ანოტაცია:**  
სტატია ეხება აჭარაში შემორჩენილ XIX-XX საუკუნეების ხის მეჩეთების - ჯამეების არქიტექტურას. მეჩეთებისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციური ნაგებობების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ისლამის საკულტო ნიმუშების მოთხოვნებსა და ქართულ, ადგილობრივ ტრადიციებს ეფუძნება. მათი არქიტექტურა ავლენს საეკლესიო, საერო და საცხოვრებელი ნაგებობების მხატვრულ თავისებურებებს. ეს ნიშანი მჟღავნდება შენობათა გარეგნულ იერში, შიდა სივრცის გადაწყვეტაში, ცალკეულ დეკორატიულ მოტივებში. მეჩეთის არქიტექტურა გვაგონებს აჭარული ტიპის „ოდა-სახლს“, თუმცა, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ქვის სამირკველზე აღმართული ხის ორი ან სამსართულიანი შენობა ხასიათდება ერთგვარი ავტონომიურობით. მეჩეთის გეგმას, ძირითადად, საფუძველად უდევს სვეტებზე დამყარებული სამმხრივი ანტრესოლით შემოსაზღვრული დარბაზის ცენტრის აქცენტირების თემა, რაც ქართული ტრადიციისათვის ნაცნობ კონცეფციას ეფუძნება. ინტერიერი გამოირჩევა ნათელი სივრცულ-მოცულობრივი სტრუქტურით, მდიდარი დეკორატიული შემკულობით, ხეზე კვეთილი ჩუქურთმებითა და გადახურვის მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებშიც ქართული ხითხურობის უძველესი ტრადიციები იკითხება. XIX-XX საუკუნეების აჭარის ხის მეჩეთების არქიტექტურა ეროვნული ხალხური ხელოვნების ტრადიციებითა და თანადროული ხანის ოტომანური ხელოვნების მხატვრული სიახლეებითაა ნასაზრდოები. ისინი აგებულია ადგილობრივი და სხვადასხვა კუთხეებიდან (შავშეთი, ჭანეთი) მოსული ქართველი ოსტატების მიერ.

38	<b>ჭიჭილეიშვილი მაია</b>	ბათუმის ურბანული განვითარების	<a href="https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10372">https://doi.org/10.61671/bsrcc.v3i1.10372</a>	„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზა-ჯვარედინზე“,	№ III,  გვ. 785-799
----	--------------------------	-------------------------------	---	---	---------------------------

		ზოგიერთი ასპექტი		ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის გამოცემა,  ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267  <a href="https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036">https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/1036</a>	
--	--	------------------	--	--	--

**ანოტაცია:**

ნაშრომში განხილულია ბათუმის ურბანული განვითარების საკითხები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის საქალაქო დასახლება, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, რეგულარული დაგეგმარების პრინციპით წარიმართა. ბათუმის განაშენიანება არ ეფუძნებოდა წინასწარ შედგენილ გეგმებს. იგი განსაზღვრული იყო არა ერთიანი, მთლიანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული განვითარების იდეით, არამედ, ზოგადად, იმპერიის ქალაქებისათვის დამახასიათებელი რეგლამენტაციის წესებითა და ნორმებით. ბათუმის ძველი უბნები ჩამოყალიბდა მოწესრიგებული კვარტალური სტრუქტურის მქონე პერიმეტრის ზოლზე განვითარებული ურბანული ქსოვილის სახით. ქალაქის გეგმიანი რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროცესები საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. 1927, 1933, 1956, 1986 წლებში შედგენილი გეგმის პროექტები წარმოადგენდა ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებს. 2008 წლიდან ბათუმი სწრაფად ვითარდება. არქიტექტურა ტურიზმის პოლიტიკის ნაწილი გახდა, თუმცა ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისა და ახალი განაშენიანების „კონცეფცია“ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ბათუმის რეგულირებადი გეგმარების, წესრიგის, ზომიერი მასშტაბის, კამერული სივრცისა და გარემოსთან შერწყმის ტრადიციულ პრინციპებთან.

**III.2. პუბლიკაციები უცხოეთში:**

**III.2.ა. მონოგრაფია/წიგნი:**

№	ავტორ(ებ)ი	სათაური	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი	ISBN (არსებობის შემთხვევაში)	გვერდების რაოდენობა
1					

ანოტაცია:					
2					
ანოტაცია:					
n					
ანოტაცია:					

**!!! მსხვილი შრიფტით მითითებულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლები**

**III.2.ბ. სტატია:**

№	ავტორ(ებ)ი	სათაური	DOI (არსებობის შემთხვევაში)	ჟურნალის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, ISSN	ჟურნალის ნომერი, გვერდები
1	<b>Akhvlediani Nargiz, Inaishvili Nino,</b> Kutateladze K., Chotalishvili L., Akhvlediani D., Dzneladze T., Akhvlediani N., Margiani K., Akhvlediani Z.	The Effectiveness of Research-based Learning and Interdisciplinary Approaches in Higher Education : A Case Study.	doi: 10.21125/edulearn.2025	IATED Digital Library,  Palma (Spain).  ISSN :2340-1117	EDULEARN 25,  pp. 1073-1078.

**ანოტაცია:**

ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის კვლევა აუმჯობესებს სასწავლო პროცესს და მის შედეგებს. შესაბამისად, ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული კვლევაზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდებში და ვახალისებთ სტუდენტებს დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებაში. ინტერდისციპლინარული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც სწავლებისთვის, ასევე კვლევისთვის, რადგან იგი ხელს უწყობს მაღალი ხარისხის კვლევის განხორციელებას. ინტერდისციპლინარული მეთოდების შედეგად, სტუდენტებს შეუძლიათ აღიქვან სხვადასხვა სფეროს შორის კავშირები, დასვან კითხვები და განივითარონ აუცილებელი კვლევითი უნარები – როგორცაა ინფორმაციის შეგროვება და შეფასება მრავალმხრივი წყაროდან. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების და ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიების ეფექტურობა სასწავლო კონტექსტში წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითის მეშვეობით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებმა, როგორც სწავლისა და სწავლების ცენტრებმა, ხელი შეუწყონ კვლევითი საქმიანობის ზრდასა და განვითარებას და ხელი შეუწყონ სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევებში.

2	<b>Akhvlediani Nargiz,</b> Samnidze N., Diasamidze M., Akhvlediani D., Nakashidze- Makharadze T., Akhvlediani N., Chotalishvili L.	Bridging Pedagogy and Technology in Pre-Service Teacher Education.	doi: 10.21125/ic eri.2025	IATED Digital Library,  Seville (Spain).  ISSN: 2340-1095	ICERI 2025,  pp. 0583- 0586.
---	---	--	---------------------------------	--	---------------------------------------

**ანოტაცია:**

